საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ჰ. კუპრაშვილი

რუსეთის კოლონიური პოლიტიკა და ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი XIX საუკუნის პირველ ნახევარში



რეკომენდებულია სტუ-ის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს
მიერ. 29.07.2011, ოქმი №3

თბილისი
2011

წინამდებარე დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ბაკალავრების, მაგისტრებისა და დოქტორანტებისათვის. მასში თანმიმდევრულად არის გაანალიზებული რუსეთის მიერ საქართველოს ძარცვისა და ეროვნული ჩაგერის კოლონიური პოლიტიკა, ეროვნული სახელმწიფოს აღდგენისათვის ბრძოლის ხასიათი, მისი მამოძრავებელი ძალები და XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის განვითარების საკვანძო საკითხები.

Russian Colonial Policy of Robbery and National Humiliation in Georgia and Georgian social-political ideas in I half of XIX c.

During Russian Colonial Policy of Robbery and National Humiliation in Georgia (The Great Rusianoba), Georgian historical science had two hundred years of political burden of conquerors. History was consciously simulated ... for example, according to it an aggressor was a hero and a victim a betrayer of motherland.

In the book is sequentially given the Russian colonial policy of robbery and national humiliation, character of struggle for reconstruction of national state; the moving forces and key points of Georgian social-political idea development of the I half of XIX century.

Колониальная политика России и общественно-политическая мысль в Грузии I половины XIX века

В грузинско-русских взаимоотношениях уйма блестящих и положительных моментов. Невозможно этого не видеть, но они никак не смогут перевесить вероломность России по отношению к Грузии – нецивилизованные и захватнические действия, самовольные и односторонние нарушения международных соглашении и юридических документов со стороны северного соседа, очень дорого обошлись Грузии, она потеряла многовековую государственность и была стерта с политической карты мира. А такую утрату ничем невозможно компенсировать.

И в XXI веке Грузия вынуждена искать «убежище» в евроатлантическом пространстве, чтобы защищаться от России. Это определяет не симпатия или антипатия грузин к русским или личностные амбиции руководителей Грузии, а вышеуказанные факты, т.е. исторически проявленная ненадёжность и вероломность со стороны российского государства как политического партнёра, болезненная ненасытность в завоевании соседних территории, беспощадность в истреблении малочисленных народностей (Черкес, Убихов, Абхаз, Чеченцев и т.д.) на этих территориях и т.д.

სამეცნიერო რედაქტორი სრული პროფესორი, ისტორიის
მეცნიერებათა დოქტორი
იგორ კვესელავა

რეცენზენტები: სრული პროფესორი,
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი
ვაჟა შუბითიძე,

ასოცირებული პროფესორი,
ისტორიის აკადემიური დოქტორი
ეპიფანე გვენეტაძე

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი", 2011

ISBN 978-9941-14-978-8

http://www.gtu.ge/publishinghouse/

Verba volant, scripta manent

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.
საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

შესავალი——3
I თავი. რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დაპყრობა ——7
1. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება——7
2. იმერეთის სამეფოს ტრაგედია——10
II თავი. ქართველი საზოგადოების სოციალური შემადგენლობა——15
1. ქართველი თავადაზნაურობა—— 15
2. ქართველი გლეხობა——16
3. ინტელიგენცია, ქალაქის მოსახლეობა, ხელოსნები, ვაჭართა ფენა——18
4. სასულიერო წოდება——19
III თავი. შეთქმულება-აჯანყებების ცეცხლის ალში გახვეული საქართველო—26
1. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ხასიათი და მამოძრავებელი ძალები XIX საუკუნის I ნახევარში——26
2. 1801 წლის შეთქმულება და გამოსვლები——28
3. 1802 წლის შეთქმულება——30
4. 1804 წლის მთიანეთის აჯანყება——33
5. აჯანყება კახეთსა და მთიანეთში 1812-1813 წ.წ——35
6. 1819-1820 წლების აჯანყება დასავლეთ საქართველოში (იმერეთი, რაჭა, გურია, მღელვარება სამეგრელოსა და აფხაზეთში)——38
7. აფხაზების აჯანყება რუსების წინააღმდეგ, ბრძოლები გურიაში——39
IV თავი. XIX საუკუნის პირველი ნახევრის ძართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის განვითარების სათავეებთან——42
1. სოლომონ ლიონიძე——42
2. ალექსანდრე ბატონიშვილი——44
3. სოლომონ დოდაშვილი——48
4. ფილადელფოს კიკნაძე ——51
5. ალექსანდრე ჭავჭავაძე ——55
V თავი. 1832 წლის შეთქმულება——60
1. ფარული საზოგადოების ჩამოყალიბება——60
2. ფარული საზოგადოების საქმიანობა, მიზნები და ამოცანები——66
3. სახელმწიფოებრივ მოწყობის საკითხი——72
4. პოლიტიკური მიმართულებები——76
VI თავი. 1832 წლის შეთქმულების პოლიტიკური გაკვეთილები——81
1. კოლონიური ძარცვისა და ეროვნული ჩაგვრის პოლიტიკა XIX საუკუნის 40-50-იან წლებამდე——81
2. სარეფორმო დილემა, "სამართალი" რუსულად——87
3. სამხედრო რეჟიმის სამოქალაქოთი ჩანაცვლება——90
VII თავი. ქართველი საზოგადოება XIX საუკუნის 30-50-იანი წლებში—97
1. 1832 წლის დიდი მარცხის შემდეგ——97
2. რუსული ხელისუფლების ტაქტიკური მანევრი და ქართველი საზოგადოებრიობა——103
დასკვნა——111
გამოყენებული ლიტერატურის სია——118

შესავალი

საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორია მრავალი ბრწყინვალე და დადებითი მომენტით არის საესე, ამის არდანახვა არ შეიძლება (საქართველოს ეროვნული გამთლიანების პროცესი, მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნება, მთელი რიგი სამეურნეო, კულტურული თუ აღმშენებლობითი მონაპოვარი და სხვ.), მაგრამ ყველაფერი ეს ვერანაირად ვერ გადაწონის საქართველოს წინაშე ჩრდილოელი მეზობლის მიერ ჩადენილი ვერაგობის შედეგებს. რუსეთის არაცივილიზებული და იმპერიულ-მტაცებლური ქმედებები, მის მიერ თვითნებურად და ცალმხრივად დარღვეული საერთაშორისო ხელშეკრულებები, საერთაშორისო იურიდიული დოკუმენტები, საქართველოს ძალიან ძვირად დაუჯდა, რადგანაც, მან ქართული მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობა შეიწირა,[1] ანუ მოხდა ის, რაც ვერ შეძლო ვერცერთმა სხვა დამპყრობელმა (რომაელები, ბიზანტიელები, სპარსელები, არაბები, თურქ-სელჩუკები, მონღოლები, თურქები, ირანელები). ამით რუსეთი არსებითად გამოირჩა მათგან, როგორც საქართველოსთვის ყველაზე დიდი უბედურების მომტანი. როდესაც მაეანი საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში განსაკუთრებულ ყურადღებას დადებით შედეგებზე ამახვილებს, არ უნდა დაავიწყდეს, რომ ასეთი აუნაზღაურებელი დანაკარგის (ქართული სახელმწიფოს მოსპობა, საქართველოს მსოფლიოს პოლიტიკური რუკიდან წაშალა) კომპენსირება რუსეთის მხრიდან რაიმე სიკეთის ქმნით (რა შინაარსისა და მასშტაბისაც არ უნდა იყოს იგი) შეუძლებელია.[2]

---

[1] მიუხედავად იმისა, რომ საქართველო თითქმის მუდამ დიდ იმპერიათა შუაგულ ჭიდილში იყო მოქცეული, იგი მათ შორის ლავირებდა და თავის გადარჩენის ოპტიმალურ გზას თითქმის ყოველთვის პოულობდა. უფრო მეტიც, გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი, რაც უნდა გასაკვირი იყოს, ცდილობდა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, საერთაშორისო ვითარებაზეც კი მოეხდინა გავლენა. თუ რეგიონში მხოლოდ ერთი იმპერია დომინირებდა და საქართველო, ძალთა აშკარა უთანასწორობის პირობებში, მასთან პირისპირ მარტო რჩებოდა, აქ უკვე უჭირდა გამოსავლის პოვნა, თან ლავირების საშუალებაც აღარ ეძლეოდა. მაგრამ, თუ საერთაშორისო ვითარება მის სასარგებლოდ იცვლებოდა, მაშინ იგი მარჯვედ იყენებდა მას, ასე შექმნა ღვთით აღმაშენებლის, თამარისა და გიორგი ბრწყინვალეს ეპოქები. ქართველები ბრძოლებში კი დარჩენებულან, მაგრამ მათ გადარჩენისთვის აუარმოებული ომები არ წაუგიათ. საქართველო, იმპერიების შემადგენლობაში მოქცეულიც კი, თვით ამავე იმპერიების ისტორიაში თამაშობდა უმნიშვნელოვანეს როლს. ცნობილია ქართველთა გავლენა სპარსეთის სახელმწიფოში, ან თუნდაც რუსეთის იმპერიაში პეტრე ბაგრატიონის, სტალინისა და მისი გუნდის, შევარდნაძის და სხვების როლი. (სხვათა შორის, შეიძლება, არც რუსეთის იმპერატორ პეტრე პირველის ქართული წარმოშობის ვერსია იყოს სიმართლეს მოკლებული. [იხ., 53, 56]).

[2] ყურადსაღებია ლევან ურუშაძის მოსაზრება, რომელსაც გვთავაზობს ნაშრომში "რუსეთი და საქართველო: მე-18 საუკუნე": მე-19 საუკუნის 90-იან წლებში ვ. ითონიშვილმა სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა რუსეთის ანტიქართული პოლიტიკის აღმნიშვნელი ტერმინი "რუსიანობა" ("რუსობა"), რაც მეტად დროული და მნიშვნელოვანი გახლდათ. "რუსიანობა" (ან "რუსობა") სწორედ ქართველი ერის ხანგრძლივი ეთნოპოლიტიკური ევოლუციის ამ ორსაუკუნოვან (უფრო

XIX საუკუნის პირველ ნახევარში, სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის პირობებში ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების სრული შეცნობა, საზოგადოებრივი აზრის და ჩვენი საზოგადოების მაშინდელი მდგომარეობის სრულყოფილი სურათის წარმოდგენა გაძნელებულია იმის გამო, რომ ქართული ენა განდევნილი იყო სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სიერციდან, ქართული საზოგადოებრივი აზრის გამომზეურების ერთადერთი საშუალება შეიძლება ჟურნალ-გაზეთი გამხდარიყო. იმ ხანაში კი, გასაგები მიზეზების გამო, ქვეყანაში ნაკლებობაა[3] ან საერთოდ არ არის გაზეთი, ჟურნალი, არ არის თეატრი ან მსგავსი საზოგადოებრივი თავშეყრის რაიმე ადგილი. თანაც იმ სასტიკი რეჟიმის პირობებში ბევრი ერიდებოდა დაეწერა მემუარები, დღიურები და, შესაბამისად ნაკლებად მოიპოვება რაიმე სახის სხვა ნაწერები, რაც აძნელებს საზოგადოებრივი ცხოვრების სრული სურათის აღდგენას.

გაზეთი და ჟურნალი თუ გაჭაჭანდებოდა, ისიც უსასტიკეს ცენზურას გადიოდა. „ცარიზმს დაუშვებლად მიაჩნდა კავკასიის დაპყრობისა და კოლონიური ძარცვის შესახებ მამხილებელი ცნობების გამოქვეყნება დას. ევროპის პრესაშიც

ზუსტად 214 წლოვან) ქრონოლოგიურ მონაკვეთთან მისადაგებული ტერმინია, რომელიც თავისი ფრიად სუსხიანი სემანტიკით "გეერდს უმშვენებს" ისეთ ავბედითი ჟღერადობის ცნებებს, როგორიცაა "არაბობა", "თურქობა", "თათრობა" (ან "თათრიანობა"), "ყიზილბაშობა", "ურუმობა", "ოსმალობა", "ლეკიანობა" (ან "ლეკობა") და "ოსიანობა" (ან "ოსობა")"- (ე. ი ონიშვილი. რუსიანობა (რუსობა).- ჟ. "საკეთაგ-ის წელიწდეული- 2001, 2002", თბილისი, 2003). ეფიქრობთ, უფრო მართებულია "რუსიანობა", რომელიც თავისი განსაკუთრებულად სასტიკი, ყ კიდურესად დამთრგუნველი ხასიათიდან გამომდინარე, საგრძნობლად ჩრდილავს ზემოხსენებულ ა ავტორის მიერ ჩამოთვლილ ყველა ცნებას. დასტურად გამოდგება ამონარიდი დავით ბატონიშვილის თხზულებიდან: "საცა გაელიდიან რუსნი, ამჭვირვებდიან სოფლელთა ცემით, ტ ცებით და რთმეითა, თვინიერ თათრისა. საცა მიეიდიან რუსნი, იყო ეაებაი მათი ზედა მო , რამეთუ ჰსცემდიან დედაკაცთა და ართ ევდიან პურთა ძალითა" (დავით ბატონიშვილი. ახალ ისტორია; ბაგრატ ბატონიშვილი. ახალი მ ხრობა, თამარ ლომოურის გამოცემა, თბილისი, 1941).

[3] პირველი ყოველკვირეული ქართული გაზეთი გამოდიოდა 1819-1821 წ.წ., მას ჯერ "საქართველოს გაზეთი" ეწოდებოდა, შემდეგ – "ქართული გაზეთი". იგი რუსულად იწერებოდა და ქართულად ითარგმნებოდა. ამ გაზეთს პირობითად თუ ვუწოდებთ ქართულ გაზეთს, მის შინაარს ქართულთან საერთო არაფერი ჰქონდა. (აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის პირველი მეოთხედის დასასრულამდე მთელ რუსეთის იმპერიაში გარდა სატახტო ქალაქებისა, მოსკოვსა და პეტერბურგსა, გამოდიოდა მხ ლოდ სამი გაზეთი: ხარკოვისა და ყაზანის უნივერსიტეტების ორგანოები და კერძო გამოცემა ქ. ასტრახანში). "ტფილისის უწყებანიც" უმთავრესად პირველი რუსული გაზეთის "ტიფლისკიე ვედომოსტის" ქართულ თარგმანს წარმოადგენდა, რომელიც 1828 – 1832 წლებში გამოიცემოდა. 1832 წელს ს. დოდაშვილმა "ტფილისის უწყებანის" დამატების სახით გამოსცა ხუთი ნომერი ჟურნალისა "სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებანიანი". 1832 წლის შეთქმულებით შეშინებულმა მთავრობამ იგი დახურა. "კავკასიის ობლასტნიე ვედომოსტის" და "საქართველოს ფუტკრის" გამოცემის ცდამ 1834 და 1838 წლებში უნაყოფოდ ჩაი ირა. 1838 – 1841 წლებში პლატონ იოსელიანი ყოველწლიურად ბეჭდავდა ქართულ კალენდარს. 1838 წლიდან გამოდიოდა გაზეთი "ზაკავკასკი ვესტნიკი", რომლის ქართული თარგმანი 184 წლიდან იბეჭდებოდა. 1846 წელს თბილისში გამოსვლა იწყო ყოველკვირეულმა რუსულმა გაზეთმა "კავკაზმა", რომელიც მთელი XIX საუკუნის მანძილზე მთავრობის ოფიციალურ ორგანოს წარმოადგენდა. 40-იან წლებში ქართველი ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა სცადა გამოეცა პოლიტიკურ-ლიტერატურული ჟურნალები "სინათლე" გორში და "არე" პეტერბურგში, მაგრამ მიზანი ვერ განახორციელა. 50-იან წლებში ერთადერთი ქართული პერიოდული ორგანო იყო ჟურნალი "ცისკარი", რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1852 წლის იანვარში.

კი; ამდენად გასაგებია, თუ როგორი პირობები იქნებოდა შექმნილი თვითმპყრობელობის ცენზურის ბრჭყალებში მგმინავი ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთებისათვის“ [19, გვ. 24]. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა დიდი მთავრის კონსტანტინე ნიკოლოზის ძის მიმართვა კავკასიის მეფისნაცვალ ბარიატინსკისადმი, სადაც იგი წერს, რომ იგი საზღვარგარეთ ყოფნის დროს კიდევ უფრო დარწმუნდა „თუ რა დიდი მნიშვნელობა მოიპოვა უკანასკნელ ხანებში სახელმწიფო საქმეების მიმართ ჟურნალ-გაზეთებმა, რომლებიც ავრცელებენ მართალ ან ცრუ ცნობებს და ამით ახდენენ დიდი გავლენას საზოგადოებრივ აზრზე“. იმის გამო, რომ ამჟამად უკვე არ შეიძლება მათი უგულველყოფა „უნდა ვისარგებლოთ იმავე იარაღით, რითაც შესაძლებელია მივცეთ მას (საზოგადოებრივ აზრს) ესა თუ ის მიმართულება.“ ამიტომ კი საჭიროა იბეჭდებოდეს, როგორც ადგილობრივ ისე უცხოეთის პრესაში სტატიები, რომლებიც გამოხატავენ იმას, რაც ჩვენ გვაწყობსო [19, გვ. 24].

ისიც გასათვალისწინებელია, რომ რუსეთის მიერ თავისი დამპყრობლური მიზნების განხორციელების შემდეგ ოფიციოზი შეუდგა ისტორიის დაწერას იმ მიზნით, რომ სინამდვილე შეენიღბაო და იმპერიის ტერიტორიის გაფართოება დაეხატათ, როგორც ქართველობის გადარჩენა – მფარველობის მიზნით გაღებული მსხვერპლის შედეგი [44, გვ. 40]. შესაბამისად საქართველოს ისტორიულ მეცნიერებას დამპყრობლის ორასწლოვანი პოლიტიკური უღელი ედგა კისერზე, იმჟამინდელი კონიუნქტურის დამღით იყო დაღდასმული და ობიექტური ვერც იქნებოდა, რადგან მას უფლება ჰქონდა ეარსება მხოლოდ რუსული დიქტატის ქვეშ.[4] აქედან გამომდინარე, ქართველ ისტორიკოსებს უნდა ეწერათ არა იმის შესახებ, რაც სინამდვილეში მოხდა, არამედ მხოლოდ იმის შესახებ, რაც ხელს აძლევდა რუსეთის ოფიციოზს (თუმცა ბევრი მათგანი იდეოლოგიური შირმის აფარებით რეალური ინფორმაციის ჯაპარებას ზოგჯერ მაინც ახერხებდა და მომზადებულ მკითხველს მისი ამოკითხვა შეეძლო). ლ. ურუშაძის ნაშრომში „რუსეთი და საქართველო“, გეხვდება მოსაზრება, რომელიც ნათლად ასახავს სინამდვილეს: “საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორია შეგნებულად გაყალბებულია... მისი ყველაზე მძიმე, სისხლიანი, დრამატული წლები ბნელითაა მოცული. ამ ისტორიის მიხედვით აგრესორი, დამპყრობი, ჯალათი გამოყვანილია კაცთმოყვარე, ზნეკეთილ, უმწიკვლო პიროვნებად, მსხვერპლი კი გარეწრად, ყაჩაღად, სამშობლოს მოღალატედ [58].

[4] ლ. ჩიქოვანს სტატიაში “როგორ იწერებოდა ისტორია” ეს თვალსაზრისი საფუძვლიანად აქვს განხილული.

ინფორმაციის მოძიების თვალსაზრისით შეიძლება არა, მაგრამ მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების წარმოსახვისთვის საინტერესოა ე.წ. "ზეპირი გაზეთი", რომელიც ჩვენში მსგავსად სხვა ქვეყნებისა წინ უსწრებდა ჟურნალ-გაზეთების წარმოშობას. პრესის წარმოშობამდე ზეპირსიტყვიერი ამბების გასავრცელებლად და გასაგებად ზოგიერთ ხალხში იყო სპეციალურად შერჩეული ადგილები და ხშირად შენობებიც ჰქონდათ აგებული. ძველ თბილისში ამგვარ "ზეპირ გაზეთს" ეწოდებოდა "სალაყბო", რომელიც ბატონის მოედანზე მდებარეობდა.[5] იგი ყველა ფენისთვის უაღრესად პოპულარული იყო და იმ პერიოდში წარმოადგენდა ინფორმაციის გავრცელების ერთადერთ საშუალებას. ყურადღების ღირსია ის გარემოებაც, რომ ამგვარი "გაზეთი" გავრცელებული ყოფილა საქართველოს პროვინციებშიც (მაგალითად, საფიხენო ხევსურეთში) [19, გვ. 48].

არსებული წყაროები, კვლევები, პუბლიკაციები, მაინც იძლევა საშუალებას გაირკვეს, თუ რას წარმოადგენდა ქაროული საზოგადოება, როგორი იყო საზოგადოებრივი აზრი, ანუ საქართველოს მოსახლეობის, გარკვეული სოციალური ჯგუფების დამოკიდებულება, საზოგადობრივ-პოლიტიკური ცხოვრების უმთავრესი პრობლემებისადმი – კოლონიურ რეჟიმთან ურთიერთობისა და ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი.

[5] 1828 წლიდან – გუბერნატორის მოედანი, შემდეგ – ეგზარხოსის, ამჟამად – ერეკლე II-ის მოედანი.

პირველი თავი

რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დაპყრობა

1. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება

რუსეთის ხელისუფლებამ საერთაშორისო იურიდიული დოკუმენტით აღებული ვალდებულებების იგნორირებით, 1783 წლის ხელშეკრულების თვითნებურად და ცალმხრივად დარღვევის შემდეგ, 1801 წელს დაიპყრო ქართლ-კახეთის სამეფო და, ახლა მას, თბილისის, კავკასიის ამ უმნიშვნელოვანესი საკვანძო გეოპოლიტიკური ცენტრის, ხელში ჩაგდების შემდეგ, ესაჭიროებოდა ამ ახლად შემოერთებულ ტერიტორიებზე დამკვიდრებულიყო მყარად და შეექმნა მტკიცე დასაყრდენი ბაზა დანარჩენი საქართველოსა და მთლიანად კავკასიის დამორჩილების, თურქეთ-ირანის წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლისა და ახლო აღმოსავლეთში შემდგომი ფართო ექსპანსიისთვის.

"რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობა ქართველი ერის ისტორიაში ტრაგიკული ფურცელია. ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობა რუსეთმა ისე ოსტატურად მოამზადა და განახორციელა, რომ ყველა ცნობილ დამპყრობელს (რომაელებს, ბიზანტიელებს, სპარსელებს, არაბებს, თურქ-სელჩუკებს, მონღოლებს, თურქებს, ირანელებს) შეშურდებოდა" [23].

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში, ცალსახად იკვეთება რუსეთის მხრიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, საერთაშორისო ხელშეკრულებათა მრავალგზის უხეშად დარღვევის ფაქტები (ამ შემთხვევაში ჩვენ არ ვეხებით "წერილმან" ცოდვებს: რუსული სიმუხთლის შედეგად ვახტანგ VI-ის და მთლიანად ქართლის ელიტარული საზოგადოების რუსეთში გადახვეწა; გენერალ ტოტლებენის მიერ რუსეთსა და ქართლ-კახეთს შორის დადებული შეთანხმების უხეშად დარღვევა და სხვ.). რუსეთმა თვითნებურად, ცალმხრივად დაარღვია საქართველოსთან (ქართულ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებთან) დადებული აბსოლუტურად ყველა საერთაშორისო ხელშეკრულება (1783 წელს დადებული ქართლ-კახეთის სამეფოსთან, 1803 წელს – სამეგრელოს სამთავროსთან, 1804 წელს - იმერეთის სამეფოსთან, 1810 წელს - გურიის, 1810 წელს - აფხაზეთის, 1833 წელს - სვანეთის სამთავროებთან, 1920 წლის - საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და სხვ.). ეს კი იმის დადასტურებაა, რომ ჩვენ სიმართლეს

რუსეთთან დაპირისპირებაში საერთაშორისო სამართლებრივი და იურიდიული საფუძვლები გააჩნია.

რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის 1783 წელს დადებული ხელშეკრულება საფუძვლიანადაა გაანალიზებული პარიზის უნივერსიტეტის (სორბონი) საერთაშორისო სამართლის პროფესორის, ლუი ლე ფურის (Luis Le Fur, 1870-1943) 1932 წელს პარიზში, ფრანგულ ენაზე გამოცემულ შრომაში "საქართველო და საერთაშორისო უფლება" [37].

ფრანგი ექსპერტი, მსჯელობს რა ამ ხელშეკრულების, ე.წ. "გეორგიევსკის ტრაქტატის" შესახებ, ასაბუთებს, რომ ხელშეკრულებით "ორივე მხარე აღიარებს ურთიერთის განსაზღვრულ უფლებებს და იღებენ ვალდებულებებს ერთმანეთის მიმართ. მე-12 მუხლი გადაჭრით აცხადებს, რომ ხელშეკრულების ყოველგვარი შეცვლა "შესაძლებელია მხოლოდ ურთიერთთანხმობით". აქედან უდავოა, რომ ჩვენ წინაშეა საერთაშორისო ხელშეკრულება, დადებული ორ სწორუფლებიან სახელმწიფოს შორის და საერთაშორისო უფლების ორ სუვერენულ პიროვნებას შორის". ამის შემდეგ, ლუი ლე ფური ამომწურავ იურიდიულ შეფასებას აძლევს რუსეთის მხრიდან ამ ხელშეკრულების დარღვევის ფაქტებს.

ფრანგი ავტორი ავითარებს რა ამ მოსაზრებას ეყრდნობა საერთაშორისო სამართლის მაშინდელ, სხვა ცნობილ ევროპელ ავტორიტეტებს: ვატელს [120], ა. ეერდროსს [121], ჯ. კუნცს [117], ფ. ფონ ლისტს [118], ლ. ოპენჰაიმს [119], და სხვ.

რუსეთმა არ შეასრულა ამ ხელშეკრულებით ნაკისრი არცერთი ვალდებულება. მაგალითად, 1795 წელს სპარსეთის ქართლ-კახეთზე თავდასხმის დროს, რუსეთი ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებას არ ასრულებს და არ მიეშველა საქართველოს. აღიარებული საერთაშორისო ნორმებით ერთი მხარის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა ათავისუფლებს მეორე მხარეს საკუთარი ვალდებულებებისაგან. ვატელმა, რომელიც თითქმის ამ ამბების თანამედროვე იყო, განსაკუთრებული სიღრმით შეისწავლა პროტექტორატის ხელშეკრულების გაუქმების საკითხი და დაასკვნა: "როდესაც რომელიმე ერი სდგება მეორე, უფრო ძლიერის, ერის პროტექტორატის ქვეშ, ან კიდევ დაექვემდებარება მას მფარველობის მისაღებად, და ეს უკანასკნელი არ გაუწევს ნამდვილ მფარველობას, და ამიტომ ჰკარგავს ყველა უფლებას, რომელიც ხელშეკრულებამ მიანიჭა, ხოლო მეორე მხარეც თავისუფლდება ყოველი მოვალეობისაგან, რომელიც თავის თავზე მიიღო, იბრუნებს ყველა თავის უფლებებს და აღიდგენს თავის დამოუკიდებლობას და თავისუფლებას" [37].

საბჭოთა ისტორიოგრაფია კი, პირიქით, საერთაშორისო სამართლის ევროპელი სპეციალისტების საპირისპიროდ, ტენდენციურად ცდილობდა დაესაბუთებინა, რომ ეს ხელშეკრულება წარმოადგენდა არათანასწორუფლებიან სახელმწიფოთა შეთანხმებას და, აქედან გამომდინარე, რუსეთის მხრიდან ხელშეკრულების დარღვევას თელიდა ლოგიკურად. იხილე, სურგულაძე ივ. "ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან". თბ., 1965, გვ. 291; ებანოიძე ლ. "ნიკოლოზ ბარათაშვილი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზოგიერთი საკითხი საქართველოში". თბ., 1968, გვ. 28, 36 და სხვ.

როგორც ლე ფური და ნიპოლდი აღნიშნავენ: "ჩვენს წინაშეა საერთაშორისო შეთანხმება ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის დადებული. იგი აწესებს მათ შორის პროტექტორატის წყობილებას, რომელიც განსაზღვრულ უპირატესობას ანიჭებს რუსეთს, სახელმწიფოს, პროტექტორს. ხოლო ეს უპირატესობა სრულებით არ შელახავს საქართველოს სახელმწიფოებრივ ხასიათს; იგი სტოვებს, თუმცა შესუსტებულად, ამ სახელმწიფოს საერთაშორისო პიროვნებადაც (ხაზი ჩვენია-ჰ.კ.), რომელიც სდგება მხოლოდ მფარველობის ქვეშ. მ აგრამ 1783 წლის ხელშეკრულობა მეტია ვიდრე პროტექტორატის ხელშეკრულობა, ის იმავე დროს კავშირისა და მეგობრობის ხელშეკრულობაა (იხილე მისი შესავალი), რომელიც აწესებს არბიტრაჟს იმ შემთხვევისთვის, თუ მხარეთა შორის რამ უთანხმოება ჩამოვარდა. ასეთი დებულებანი საზოგადოდ შესაძლებელია მარტო იმ სახელმწიფოთა შორის, რომლებიც დამოუკიდებელნი არიან და სარგებლობენ თავის სუვერენობას" [37]. ეს არის საქართლის დარგში აღიარებული ევროპელი ექსპერტების კომპეტენტური დასკვნა და არა პოლიტიკურად ანგაჟირებული საბჭოთა მეცნიერების მიერ გამოთქმული, ხელმპყრობელი რუსეთის ხელისუფლებისათვის მისაღები ტენდენციური აზრი [58].

ქართველ საზოგადოებაში 1783 წლის საერთაშორისო ხელშეკრულების დარღვევით გამოწვეული პროტესტის გრძნობა იმდენად ძლიერი იყო, რომ მათი რისხვა არა მხოლოდ "ტრაქტატის" დამრღვევ რუსებს, არამედ ქართველ დიპლომატებსაც დაატყდათ. მათ ადანაშაულებდნენ რუსეთის ხელისუფლების ეერაგული ზრახვების ეჭვ ამოცნობაში და მიღებულ ტრაგიკულ შედეგებში მათაც დებდნენ ბრალს, როგორც დანაშაულის თანამონაწილეებს. პეტერბურგიდან დაბრუნებული ქართველი ელჩები გ. ჭავჭავაძე (1777-1811), გ. ავალიშვილი და ე. ყალაფანდიშვილი (1759-1824) რუსეთის მთავრობაში, ეიცეკანცლერ თავად კურაკინს სწერდნენ: "ჩვენ თავს უბედურად ვთვლით, ...ასეთი შეერთების წყალობით დაკარგეთ თანამემამულეთა ნდობა და პატივისცემა" [107].

ბაგრატ ბატონიშვილი (1776-1841) პირდაპირ ბრალს სდებდა გარსევან ჭაჭავაძეს (1757-1811) საქართველოს გაყიდვაში. ელჩებს ადანაშაულებს იოანე ბატონიშვილიც (1768-1830), რომ მათ ბოროტად გამოიყენეს მეფის რწმუნება და გაყიდეს საქართველოო.

სიძულვილი დაიმსახურა და შერისხული აღმოჩნდა ამ საქმეში მეტ-ნაკლებად გარეული ბევრი სხვა პირიც. საყურადღებოა არქიმანდრიტ ექვთიმეს[6] (?-1804) მიერ გენერალ კნორინგისათვის 1802 წლის 23 აპრილის გაგზავნილი წერილი. "აქამდე მონასტრის ბერები - წერს იგი უსიტყვოდ მემორჩილებოდნენ, ახლა კი რუს ხელმწიფეს საქართველო ამან მიართვაო, ბერები ამიტეხეს და ამ მიზეზით მტანჯავენ. ჭეშმარიტია ... მეფე გიორგი ვაწუხე, დიდხანს დავშეერ სამღვთოს მადლითა, საქართველო მისის დიდებულებისათვის მივართმევინე. ჭეშმარიტება მოწამეა, თუ არა ჩემი დიდი შრომით, ეს საქმე არ მოხდებოდა. ახლა ამის მიზეზით ვიტანჯები. ... ჩემი მოხსენება საიდუმლო იყოს, უარესს მიყოფენ" [81, გვ. 443].

2. იმერეთის სამეფოს ტრაგედია

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება მხოლოდ შესავალი იყო საქართველოს ტრაგედიის დასაწყისისა. რუსეთის ხელისუფლებას მთელი საქართველოს დაპყრობა ჰქონდა განზრახული. სტრატეგიული ობილისის ხელში ჩაგდებისა და აქ დასაყრდენი ბაზის გაჩენის შემდეგ, რუსეთმა თანმიმდევრულად დაიწყო დასარჩენი სახელმწიფოებრივი ერთეულების მოსპობა. უკვე 1802 წელს, საქართველოს მთავარსარდალსა და ასტრახანის გენერალ-გუბერნატორს, გენერალ პაველ ციციანოვს (1754-1806) დაევალა ყველა ღონე ეხმარა დანარჩენი საქართველოს სამეფო-სამთავროების რუსეთთან მიერთებისათვის. გრაფი თ. როსტოპჩინი მას წერდა: «შენ თუ წარმატებას მიაღწევ... იმერეთის შემოყვანაში, ამით არსებით და მნიშვნელოვან სარგებლობას მოუტან... რუსეთს, ეს გზა შეიძლება უფრო საიმედოც კი იქნეს, ვიდრე თერიდაზე (ყირიმზე) გაკეთებული გზა ცარგრადისაკენ» (კონსტანტინოპოლისაკენ) ['06].

[6] ელჩებისა და ექვთიმე არქიმანდრიტის შესახებ კოვალენსკი მოახსენებდა კნორინგს 1802 წლის 15 ნოემბერს: "თავადი ჭავჭავაძე... ძმებით აეალოვებით... და უანსაკუთრებით არქიმანდრიტი ექვთიმე იყვენ და არიან ხალხის მერყეობის მიზეზი" [81, გვ. 405].

XVIII-XIX სს. მიჯნაზე იმერეთი საქართველოს სამეფო-სამთავროთა შორის ყველაზე ძლიერ სახელმწიფოებრივ ერთეულს წარმოადგენდა [6, გვ. 41]. რუსეთის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების ვერაგულად დარღვევამ და ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიამ იმერეთის მეფე სოლომონ II (1772-1815) აღაშფოთა. იგი დაუინებით ცდილობდა მიეღწია ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენისათვის, არაერთხელ მიმართა რუსეთის იმპერატორს იულონ ერეკლეს ძის (1760-1816) ქართლ-კახეთის მეფედ დამტკიცების შესახებ. მაგალითად, 1801 წლის ივლისში იმერეთის მეფის დესპანები სოლომონ ლიონიძე და როსტომ ნიჟარაძე აცნობებენ რუსებს, რომ სოლომონ II მზადაა შევიდეს რუსეთის მფარველობაში, მაგრამ იმ პირობით თუ ქართლ-კახეთის მეფედ იულონი იქნება დამტკიცებული. სოლომონ II კარგად ხედავდა, რომ კავკასიის ქედს გადმობიჯებული რუსეთი მიღწეულს არ დაიჯერდებოდა, მან პლაცდარმი შეიქმნა მთელი ამიერკავკასიის დასაპყრობად.


უკანასკნელი ქართველი მეფე -

ასეთ სიტუაციაში დამღუპველი იყო ქართული სამეფო-სამთავროების დაქსაქსულობა და ურთიერთდაპირისპირება, რადგან რუსეთი თეითოეულ მათგანს ცალ-ცალკე ბოლოს. საჭირო იყო გაერთიანებული ძალებით დახვედროდნენ მოახლოებულ საფრთხეს. სოლომონ მეფე ცდილობდა რუსეთთან ურთიერთობაში მთელი დასავლეთ საქართველოს სახელით გამოსულიყო... ქართული სამთავროები შემოემტკიცებინა, სამეფო გაეძლიერებინა, სახელერები განემტკიცებინა. გურიის მთავარი კი აღიარებდა მის უზენაეს ხელისუფლებას, მაგრამ სამეგრელო დიდ წინააღმდეგობას უწევდა.

რუსეთის მთავრობამ 1803 წლის დეკემბერში სამფარველო ხელშეკრულება დაუდო სამეგრელოს მთავარს გრიგოლ დადიანს, რითაც იგი იმერეთის სამეფოს წინააღმდეგ წააქეზა. რუსეთი ყველა ხერხს მიმართავდა, რათა აღეკვეთა დასავლეთ საქართველოს გაერთიანების ტენდენცია. იგი ცდილობდა მფარველობის "სატყუარა" სოლომონ მეფისათვის თაესმოეხვია, მაგრამ რაკი იმერეთის მეფეს ეშინოდა სჯეროდა რუსების, ცდილობდა თავი აერიდებინა. "ტკბილი

სიტყვებით" რომ ვერ დაიყოლიეს სოლომონ მეფე, მთავარმართებელი სხვა გზას დაადგა. მან მეფის კარისკაცების, საერო და სასულიერო პირების მოქრთამვა დაიწყო, ამავე დროს სამხედრო ძალის გამოყენების მუქარასაც არ მოერიდა. იმერეთის მეფე სოლომონ II ხედავდა, რომ "ძალა აღმართს ხნაედა", ამიტომ "ძალით ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა" და შეეცადა საშინაო დამოუკიდებლობა მაინც მიეღო, მაგრამ რუსეთი მისგან მხოლოდ უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდა.

რადგან იმერეთის მეფემ ქართლ-კახეთის მაგალითიდან კარგად იცოდა, რომ რუსეთისათვის საერთაშორისო ხელშეკრულების დარღვევა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, ცდილობდა, იმერეთ-რუსეთის ხელშეკრულების შესახებ რაც შეიძლება მეტ სახელმწიფოს გაეგო, რაც შეიძლება მეტი მოწმე ჰყოლოდა, მისთვის საერთაშორისო რეზონანსი მიეცა. სოლომონ მეფე დიდი მოხერხებით ცდილობდა დაეცვა თავისი სამეფო საშიშროებისაგან, რომელიც მას კარს მოსდგომოდა. მეფის პირველი სათხოვარი ის იყო, რომ ხელმწიფეს ყველა ქვეყნისთვის ეცნობებინა, რომ იმერეთის მეფის და მისი ქვეყანის თავის სამფლობელოში მიღება. "ამ ხერხით სოლომონი, თითქოს და სიხარულით ცას ნაწევი, ვითომ ქვეყანას თავის გაბედნიერებას ატყობინებდა, ნამდვილად კი ამით ის თავისი წამხდარი საქმის შველას აპირებდა. სხვა ქვეყნებს, მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზს, რომელსაც რუსეთის მთავრობა ოფიციალურად დიდ ანგარიშს უწევდა, იმერეთის მეფე თავის საქმის მოწმედ იხმობდა იმ პატრონთან ურთიერთობაში, რომელიც პირმტკიცეობას იჩემებდა, მაგრამ მისი ნდობის საფუძველი იმერეთის მეფეს არ ჰქონდა" [9, 289].


პავლე ციციანოვი

1804 წელს საქართველოს მთავარსარდალი გენერალი პავლე ციციანოვი (1754-1806) ჯარით შეიჭრა იმერეთში და სოლომონ II აიძულა, რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობა მიეღო [25, გვ. 34-35]. სოლომონ II იძულებულით თანხმდება ციციანოვის მიერ ნაკარნახევ სამფარულო პირობებს. 1804 წლის 25 აპრილს დადებული ელაზნაურის ტრაქტატის საფუძველზე სოლომონ II ყველაფერში უნდა დამორჩილებოდა რუსეთის ხელმწიფეს და მთავარმართებელს. ამ ტრაქტატის

მიხედვით რუსეთის მფარველობა ერცელდებოდა გურიის სამთავროზეც. იმერეთში მუდმივად უნდა მდგარიყო რუსის ჯარის ნაწილი.

რუს გენერლებს ტრაქტატი არაფრად მიაჩნდათ და დაიწყეს სოლომონ II-ის საქმეებში უხეშად ჩარევა. სოლომონ მეფისათვის ცხადი ხდებოდა, რომ რუსეთი ტრაქტატის პირობების შესრულებას არ აპირებდა და განზრახული ჰქონდა იმერეთის სამეფოს გაუქმება. თანდათან უფრო გამწვავდა იმერეთის მეფის ურთიერთობა რუსეთის ხელისუფლებასთან. 1810 წელს რუსებმა მოტყუებით შეძლეს მეფის დატყვევება და თბილისში ჩაყვანა, მაგრამ იმავე წლის 11 მაისს სოლომონი ახალციხეში გაიქცა.

რუსეთის ხელისუფლების მხრიდან ხელშეკრულების დარღვევის და რუსული მმართველობის ძალით დანერგვის ცდების შედეგად, იმერეთის სამეფოში 1810 წლის მაისში რუსეთის წინააღმდეგ დაიწყო საომარი მოქმედებები, რომელსაც სათავეში სოლომონ II ჩაუდგა. იმერეთის მოსახლეობა საკუთარი სახელმწიფოს გადარჩენისათვის საბრძოლველად დაირაზმა. შექმნილ კრიტიკულ სიტუაციაში, რუსეთი პრობლემის გადასაჭრელად გამოსავალს ეძებს, ტორმასოვი სიმონოვიჩს ავალებს მოისყიდონ მკელელი და როგორმე თავიდან მოიცილონ სოლომონ მეფე, რომელსაც ხალხის დიდი მხარდაჭერა ჰქონდა. მიუხედავად რუსეთის ხელისუფლების მხრიდან დიდძალი თანხის გამოყოფისა, რუსეთის გამოცდილმა სპეცსამსახურებმა ვერ მოახერხეს განზრახვის სისრულეში მოყვანა [42, გვ. 384].

იმერეთის მეფე ხედავდა, რომ ძალთა თანაფარდობა რუსეთის მრავალრიცხოვანი ჯარების სასარგებლოდ იყო, ამიტომ იგი მოლაპარაკებას აწარმოებდა სპარსეთთან და თურქეთთან, ცდილობდა დახმარება მიეღო საფრანგეთიდანაც, რათა მათი ბრძოლაში ჩარიცხვით რუსეთი აეძულებინა დათმობებზე წასულიყო.

1811 წლის 6 იანვარს მან წერილი გაუგზავნა ნაპოლეონ I-ს, რომელშიც იგი მას სწერდა: "მრავალგზის წარმოვაგზავნეთ არზა დამჭირნეობისა ჩვენისა, უდიდებულესობისა თქვენისადმი და ერთსაცა პასუხსა ვერ ღირს ეიქმენით". სოლომონ მეფე აცნობებდა ნაპოლეონს, რომ ტახტი უკვე წაართვეს, თხოვდა დახმარებას და სანაცვლოდ სთავაზობდა მის მფარველობაში შესვლას. იგი საფრანგეთის იმპერატორისგან პასუხს მაინც ვერ ეღირსა. იმ დროს ნაპოლეონს საქარიველოსთვის არ ეცალა - რუსეთზე შეტევისთვის ემზადებოდა [55].

თითქმის ოთხი თვე მიმდინარეობდა იმერეთში რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ სისხლისმღვრელი ომი. ქართველები მოდგრად ებრძოდნენ მომხდურ მტერს. ბევრი ქართული სოფელი მთლიანად განადგურდა. რუსეთი კი დამატებით

სამხედრო ძალებს გზავნის იმერეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. რუსეთის იმპერიასთან უთანასწორო ომში იმერეთის სამეფო დამარცხდა. სოლომონ მეფე ახალციხეში გადაიდა. მას კარგა ხანს არ შეუწყვეტია აჯანყების მოწყობისა და იმერეთის სამეფოს აღდგენის მცდელობა. მხოლოდ მას შემდეგ დაკარგა სოლომონმა წარმატების იმედი, რაც რუსეთმა საზავო ხელშეკრულება დადო თურქეთთან (1812 წ.) და სპარსეთთან (1813 წ.), რომელთა ძალითაც საქართველო რუსეთის ნაწილად იქნა ცნობილი.

ქართველთა უკანასკნელმა გმირმა მეფემ, თავისუფლებისათვის თავდადებულმა მებრძოლმა, 1815 წელს, 41 წლისამ, უცხოობაში, დალია სული. მისი დამორჩილება კავკასიის სამ მთავარმართებელს: ციციანოვს (1803-1806), გუდოვიჩსა (1806-1809) და ტორმასოვს (1809-1811) ჰქონდათ დაევალებული. მესამემ კი შეძლო იმერეთის სამეფოს გაუქმება, მაგრამ სხვა დავალებები ვერ შეასრულა, სოლომონ II ვერ დაიმორჩილა, ვერც მოკლა და ვერც რუსეთში გადაასახლა.

რუსეთმა კიდევ ერთი დაპყრობილ ქართულ ტერიტორიაზე საკუთარი მმართველობა დაამყარა. რაკი ამ უკანასკნელი ქართული სამეფოს დაპყრობაში სამეგრელოსა და გურიის მთავრებიც აქტიურად ეხმარებოდნენ, ამიტომ დროებით გადადო ამ სამთავროების გაუქმება და გადაწყვიტა ცოტახნით გაეხანგრძლივებინა იქ მთავართა შეზღუდული ხელისუფლება. გურიის სამთავროსთან დამოუკიდებლადაც კი გააფორმა ხელშეკრულება (1810 წ.). იმავე წელს სამფარველო ხელშეკრულება აფხაზეთის მთავართანაც გააფორმეს, მოგვიანებით კი (1833 წ.) სვანეთის მთავარ დადეშქელიანთანაც დადეს ანალოგიური ხელშეკრულება.

მთავართა ხელისუფლების არსებობას დასავლეთ საქართველოში რუსეთი, ჯერჯერობით, იმიტომ ურიგდებოდა, რომ მას აქ საკმაო სამხედრო ძალა ჯერ კიდევ არ გააჩნდა. მით უმეტეს, რომ თვალსაჩინო მაგალითი სახეზე ჰქონდა, ირან-ოსმალეთთან საომარ მდგომარეობაში მყოფმა, მან იმერეთის სამეფოს დაპყრობა სამეგრელოსა და გურიის მთავართა არსებითი დახმარების გარეშე ვერ შეძლო. თანაც ამ მშფოთვარე რეგიონის მორჩილებაში ყოლას აადვილებდა მთავრების ერთმანეთთან წინააღმდეგობრივი ურთიერთობა. საქართველოს მთავარმართებელი ტორმასოვი 1810 წელს რუსეთის იმპერატორს მოახსენებდა: დასავლეთ საქართველოში "... მაშინ, როცა საშუალება გეექნება, აუცილებელ შემთხვევაში, ერთი მთავრის ძალა მეორეს დაუპირისპიროთ" [იხ., 43, გვ. 867-868].

მეორე თავი

ქართველი საზოგადოების სოციალური შემადგენლობა

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართველ საზოგადოებას შეადგენდა თავადაზნაურობა, გლეხობა, ქალაქის მოსახლეობა (წვრილი ხელოსნები), ვაჭართა ფენა და ამათ ემატებოდა რუსეთის ხელისუფლების მიერ ახლად შექმნილი სასულიერო წოდება და ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ინტელიგენცია.

1. ქართველი თავადაზნაურობა

რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ ქართველი თავადებისა და აზნაურების (სამეფო, სათავადო, საეკლესიო) მრავალსაუკუნოვანმა საგვარეულო წყობამ რღვევა იწყო. რუსეთის მთავრობამ რუსეთის ფეოდალურ-ბატონყმურ წყობილებასთან ქართული წყობილების სოციალური უნიფიკაციის მიზნით ჩაატარა მთელი რიგი ღონისძიებები. 1803 წელს, რუსეთის გუბერნიების თავად-აზნაურთა ორგანიზაციების მსგავსად, თბილისში დაარსდა ქართველ თავად-აზნაურთა პირველი წოდებრივი ორგანიზაცია – თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულო სათანადო დებულებით. დეპუტატთა საკრებულო ირჩევდა სამაზრო და საგუბერნიო თავად-აზნაურთა წინამძღოლებს (მარშლებს). რუსეთის მთავრობის შემდეგი ღონისძიება იყო ვასალურ-სენიორული დამოკიდებულების მოსპობა საქართველოში და რუს თავადებთან ქართველი თავადების უფლებრივი გათანაბრება. ამასთან, ქართველ თავადებს მემკვიდრეობითი ფეოდალური თანამდებობები და საგადასახადო იმუნიტეტი მოუსპო, 1833 წლის კანონით სათავადო აზნაურები გაათავისუფლეს თავადებისადმი ვასალური დამოკიდებულებისაგან, რის შედეგადაც დაიწყო მათი ქონებრივი გამიჯვნაც. 1838 წლის კანონით კი თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში არჩევნებისას და თანამდებობების დაკავებისას უფლებრივი განსხვავება თავადებსა და მათ ყოფილ სათავადო აზნაურებს შორის მოისპო, მოხდა მათი უფლებრივი ნიველირება.

შეუქცევადი გახდა ოჯახებად საგვარეულოების დაშლის პროცესი. რუსეთის მთავრობა დაინტერესებული იყო საქართველოში მსხვილი ფეოდალური მიწათმფლობელობის მოსპობით და მსხვილი ფეოდალების დაკნინებით. ამ

საკითხის შესახებ, მაგალითად, ერთ-ერთი რუსი მოხელე გულახდილად გამოთქვამს თავის აზრს: "განა ხელსაყრელი იქნება თვითმპყრობელობის პოლიტიკისათვის? გაუყოფელი მამულის მქონე მსხვილ თავადაზნაურობას, მატერიალურ საშუალებებთან ერთად გააჩნეს ხმაც, მაშინ როდესაც მთავრობას ესაჭიროება მხოლოდ სმენის ორგანო" [28, გვ. 233], ხოლო დოკუმენტზე, რომელშიც სახელმწიფო სამსახურის და ქართველი თავადაზნაურობის შესახებაა ლაპარაკი, იმავე მოხელემ ასეთი შენიშვნა გააკეთა: "ყოველი წოდება, რომელიც თავისი მდგომარეობით არაფრით არაა დამოკიდებული მთავრობაზე, ამ უკანასკნელისათვის შეიძლება საშიში იყოს, და არც უსაფუძვლოდ" [28, გვ. 218, 233]. რუსეთის ხელისუფლების მიერ განხორციელებული სოციალურ ღონისძიებებს ჰქონდა გამოკვეთილი მიზანი – საქართველოს რუსეთთან შერწყმა და გარუსება.

2. ქართველი გლეხობა

ქართველი გლეხობა უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობით არ იყო ერთგვაროვანი. ქართული სამეფოს გაუქმების შემდეგ სამეფო და საუფლისწულო გლეხები რუსეთის სახელმწიფო (სახაზინო) გლეხებად გადაიქცნენ. XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში რიცხობრივად ჭარბობდა საბატონო გლეხები, შემდეგ მოდიოდნენ სახელმწიფო გლეხები, ბოლოს კი – საეკლესიო გლეხები.

გამუდმებულ ომიანობაში მყოფი საქართველო ეკონომიკურ სიძნელეებს განიცდიდა, შესაბამისად ყმა გლეხიც უმძიმეს ეკონომიკურ გაჭირვებაში ცხოვრობდა. ამას ემატებოდა აქეთ ლეკების თარეში, იქეთ თათრების შემოსევის შიში. რუსების შემოსვლას შემდეგ, ერთი შეხედვით, ქართველ გლეხობას იმედი უნდა ჰქონოდა (და ამ მოსაზრებას ამკვიდრებდა საბჭოთა ისტორიოგრაფიაც), რომ ძალიან სწრაფად, საქართველოში ქრისტიანული რუსეთის ძლიერი ხელმწიფე მშვიდობას დაამკვიდრებდა, ყიზილბაშებს მოაცილებდა ქვეყანას, ლეკიანობას ალაგმავდა, მის მებატონესაც შეზღუდავდა, ერთი სიტყვით, გაჭირვებულის მხსენელი და მფარველი ძალა იქნებოდა. მაგრამ ისე არ მოხდა, როგორც ამას რუსული ისტორიოგრაფია ხატავს. მოხდა უარესი, იმპერიოდული სპარსიანობა, ოსმალობა და ლეკიანობა შეცვალა მუდმივმა და მოუსორებელმა რუსიანობამ.

მანიფესტის უეცარ გამოცხადებას ქართველ გლეხთა უდიდესი ნაწილი დასაწყისშივე ერთგვარი გარინდებით შეხვდა. გაკეირებულ გაუგებრობას იწვევდა მასში ის, რომ ამ უცხო ძალამ ასე თვითნებურად გაუუქმა მასში საუკუნეებით შესისხლხორცებული ეროვნული სახელმწიფოებრიობა და მისი ეროვნული სიმბოლო – მეფობა. ეს სახელმწიფო და მეფე მისი საკუთარი იყო და ქვეცნობიერად თავის თავსაც მასთან აიგივებდა (ახდენდა იდენტიფიცირებას). თანაც ეს ახალი შეუჩვეველი ჭირის შიში მასში დიდ სიფრთხილეს ბადებდა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ერთმორწმუნე ქვეყანას წარმოადგენდა, რუსი მაინც ქართული ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცისა და მენტალიტეტისათვის არა ტრადიციული, რაღაცნაირად უცხო ჯილაგისა იყო. მართალიც აღმოჩნდა. რუსი მოხელეები თავიდანვე დიდი მონდომებით და გაუმაძღარი მადით შეუდგნენ ქვეყნის ძარცვას. მათმა ზღვარგადასულმა უზნეობამ, აღვირახსნილობამ, სიხარბემ, ხალხის ძარცვამ და მასთან დაკავშირებულმა ძალადობამ მასობრივი და აუტანლად მძიმე ხასიათი მიიღო. ამასოან, ახალი ბეგარა-გადასახადი დაემატა ყველა იმ ვალდებულებას, რომლებსაც გლეხი თავის მებატონეს უხდიდა. მისი ჩაგერა გაორკეცდა, მაგრამ ეროვნული ჩაგერა უფრო ძნელად ასატანი აღმოჩნდა. და ყველაფერმა ამან ისეთი არნახული მასშტაბები მიიღო, რომ თვით გენერალი ლაზარევიც კი ვეღარ მალავს სიმართლეს, 1802 წელს მის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, ოფიციალურ დოკუმენტში ნათქვამია: „ჯარისკაცები პირად შეურაცხყოფას აყენებენ მოსახლეობას, სტაცებენ მათ ჯოგს, შინაურ ფრინველებს, ხილს, ანადგურებენ მათს ბაღებს და ბოსტნებს. თავს ხდიან ჭურებს და რაც დაულეველი ღვინო რჩებათ მიწისა და უსუფთაობის (ფეკალიების - ჰ. კ.) ჩაყრით აფუჭებენო“ [19, გვ. 5]. „მოხელეებსა და ოფიცრებს სოფლებიდან ძალად მიჰყავდათ ქალები და ქალიშვილები და აუპატიურებდნენ მათ“ [93, გვ. 461]. ეროვნულმეობაშელახული ქართველი გლეხი მალე გამოერკვა და უცხო დამპყრობლის წინააღმდეგ საბრძოლველად აღსდგა. XIX საუკუნის პირველი ნახევრის ყველა ანტირუსულ აჯანყებაში იგი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითად, ყველაზე ეროვნულ და მასობრივ დასაყრდენ ძალად იქცა.

3. ინტელიგენცია, ქალაქის მოსახლეობა, ხელოსნები, ვაჭართა ფენა

საქართველოში ინტელიგენციის[7] სახელით ცნობილი, გონებრივი შრომის, კვალიფიციური ცოდნისა და კულტურის გამომხატველი, მაკონცენტრირებელი ელიტა, როგორც ცალკე ფენა, რუსეთის იმპერიის სინამდვილისათვის დამახასიათებელი ფორმითა და შინაარსით, ახლად იწყებს ჩამოყალიბებას. რუსეთის ბატონობის პერიოდის საქართველოში მისი ღვაწლი შეუფასებელია. იმ ძნელ პერიოდში, საკუთარი ხელისუფლებისა და სულიერი მწყემსის გარეშე დარჩენილ, გადაგვარებისა და გაქრობის საშიშროების წინაშე აღმოჩენილ, სხვის სახელმწიფოში მოქცეული ქართველი ხალხის პატრონობას კისრულობს, თვითონ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ქართველი ინტელიგენციის პატრიოტული ფრთა. მან ეს საპატიო ტვირთი ღირსეულად ატარა XX საუკუნის 90-იან წლებამდე.[8]

საქალაქო ცხოვრება ყველაზე მეტად განვითარებული იყო თბილისში, რომელიც მთელი ამიერკავკასიის პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა. ქალაქურად ცხოვრებდა იმდროინდელი მასშტაბებით: ქუთაისი, გორი, თელავი, სიღნაღი, სოხუმი, ზუგდიდი, ოზურგეთი და სხვ.

საქართველოს მრეწველობა იმ დროს არსებითად ხელოსნობაში გამოიხატებოდა. ხელოსნობის უმთავრესი ცენტრი იყო თბილისი, სადაც 1825 წლისთვის 21 ათასი კაცი ცხოვრობდა. აქედან სხვადასხვა დარგის ხელოსნები შეადგენდნენ 2500-ს. ხელოსნობა განვითარებული იყო აგრეთვე, თელავში, გორში, ქუთაისში, სიღნაღში, ახალგორში, ანანურში და სხვ. მაშინდელ წყაროებში

---

[7] ტერმინი რუსეთში უნდა იყოს გაჩენილი (მე 19 საუკუნის მწერალ ბობორიკინის მიერ შემოღებული). მასში ზოგადად მოიაზრება: ფენა, რომელიც ყველაზე კვალიფიციური ცოდნისა და კულტურის კონცენტრირებას ახდენს თავის თავში. ინტელიგენციის წარმომადგენელი; პირი, რომელიც გონებრივ შრომას ეწევა (მასწავლებელი, ინჟინერი, ექიმი, აგრონომი, მწერალი, მხატვარი, მსახიობი და სხვ.); სოციოსტატისტიკა კულისხმობს ყველა უმაღლესი განათლების მქონე პირს, ხოლო ცხოვრებაში - საპატიოცემულო, განათლებული, შეგნებული, კულტურული ადამიანი და სხვ.

[8] XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან მკაფიოდ მწვავდება. ურთიერთდაპირისპირება ინტელიგენციასა და „დაბადების" პროცესში მყოფ ახალ ეროვნულ პოლიტიკურ ძალებს შორის. ამ დაპირისპირების ერთ-ერთი ობიექტური მიზეზი ისიც იყო, რომ თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში ერის წინამძღოლობასა და პატრონობაში პირველობას ჩვეული ინტელიგენცია ამ მონოპოლიური მდგომარეობის დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, ამჯერად მისი ხვედრი მხოლოდ შემოქმედებითი საქმიანობა უნდა გამხდარიყო, რადგანაც მოსალოდნელი დამოუკიდებლობის პირობებში ქვეყანას პროფესიონალი პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური პარტიების სახით უკვე რეალურად მმართველი ძალა უნდა მოევლინოდა, რათა უკვე თავის ხელისუფლებასა და პოლიტიკურ ძალებს პროფესიონალ დონეზე ემართა. შესაბამისად ძველ ინტელიგენციას ისტორიის მიერ ძნელბედობის ჟამს მინდობილი ერის პატრონობის „დამატებითი" საპატიო ფუნქცია უნდა ჩამოცილებოდა. უფრო მეტიც, რუსული იმპერიის სინამდვილეში შექმნილი ინტელიგენციის ინსტიტუტი (ძველი შინაარსით) მალე ისტორიას უნდა ჩაბარებოდა. დამოუკიდებელ საქართველოს წიაღში ერის ახალი სახეშეცვლილი ელიტის ჩასახვის ბუნებრივი პროცესი იწყებოდა, ხოლო ერის საპატრონოდ ისტორიას ასპარეზზე – პროფესიონალი პოლიტიკოსები და პოლიტიკური ძალები გამოჰყავდა

„ფაბრიკებად" და „ქარხნებად" იწოდებიან მაგალითად, XVIII საუკუნიდან შემორჩენილი. შედარებით მსხვილი სარეწაოები: სამღებროები, თოჯისწამლის ქარხანა, მინის საწარმო, ალავერდ-შაამბლულის და ახტალის სამთო მანუფაქტურები და სხვ. 1826 წლს ფრანც კასტელას აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკაც დაუარსებია, სადაც 1828 წლიდან დაქირაებული მუშებიც კი მუშაობდნენ.

ვაჭრობა ირანთან და თურქეთთან ჯერ კიდევ ძველი, ტრადიციული წესებით გრძელდებოდა. საქართველოდან ვაჭრები უკვე მოსკოვისა და ნიჟეგოროდის ბაზრებზეც გადიან, მაგალითად, 20-იანი წლებისთვის იქ 14500 ფუთი აბრეშუმის პარკი გაუსაღებიათ. თბილისში ძლიერია კონკურენცია და ბრძოლა ადგილობრივ[9] და უცხოელ ვაჭრებს შორის, მაგალითად, უცხოელებს შეზღუდები დაუწესეს და მხოლოდ ბითუმად ვაჭრობა შეეძლოთ. ვაჭართა ფენა დასაწყისში რუსული მმართველობის შემოღებას აღტაცებით შეხვდა. მაგრამ დრტვინვა დაიწყო, როცა მთავრობა მათგან გადასახადების ამოღებას შეუდგა.

4. სასულიერო წოდება

XIX საუკუნემდე "ქართველობისა და საქართველოს გადარჩენისათვის ბრძოლაში წარმოუდგენლად დიდ როლს ასრულებდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია" [24]. იგი ისტორიულად სუდამ მედგრად იდგა ეროვნული ძეობისა და ქართული სულიერების საგუშაგოზე, საუკუნეების განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა ეროვნულ ინტერესებს.

მართლმადიდებლობა ქართველთა ეროვნული სარწმუნოება იყო, ცხადია, რუსების კაგ[illegible]სიაში გამოჩენამდე. საქართველოში მოციქულთა მიერ დანერგილმა ამ სარწმუნ[illegible]ებამ, რომელსაც საქართველოს სამოციქულო ეკლესია წმიდად იცავდა, უაღრესი გაჭირვების ჟამს, განსაკუთრებით XVII–XVIII საუკუნეებში, გადაარჩინა ქართველი ერი და ქართველობა. ეს არ გახლავთ ლიტონი სიტყვები. რა სარწმუნ[illegible]ებრივი მიმართულებისაც უნდა იყოს ისტორიკოსი, შეუძლებელია აღიაროს, რომ მართლმადიდებლობა და ქართველობა აღნიშნულ საუკუნეებში გაერთმნიშვნელიანებული იყო და ერთის უარყოფა, ძირითადად, მეორის დაკარგვასაც იწვევდა [11, გვ. 1087].

---

[9] ადგილობრივ ვაჭართა ფენას ძირითადად ეთნიკურად სომეხები ქმნიდნენ და გაბატონებული მდგომარეობაც ეკავათ, მაგალითად, იმ პერიოდში, ი. ბეგთაბეგოვი კარნახობდა თბილისში საქონლის ფასებს და ფულის კურსს [20, გვ. 7]

სამწუხაროდ, ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელებმა ვერ შეძლეს რუსული საშიშროებისთვის თავისდროზე ალღო აეღოთ და ქართველებზე დატეხილ ეროვნულ ტრაგედიას, სულიერ კატაკლიზმებსა და პოლიტიკურ ქარტეხილებს მომზადებული შეხვედროდნენ. [10]

რუსეთის ხელისუფლება პოლიტიკური მიზნების განსახორციელებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას რელიგიას რომ ანიჭებდა, ამის ნათელი დადასტურებაა რუსეთის ანექსიონისტურ-კოლონიური პოლიტიკის მთელი ისტორია. ცხადია, საქართველოსთან მიმართებაშიც ქრისტიანობის დაცვის საფარქვეშ ინიღბებოდა ცარიზმის დამპყრობლური მიზნები და კოლონიური პოლიტიკა [105].

ცარიზმი, როგორც ზემოთ აღინიშნა, აღმოსავლელი დამპყრობლებისგან განსხვავებით, ძირფესვიანად სპობდა დამოუკიდებლობის, თვითმყოფადობისა და სახელმწიფოებრიობის ყველა ნაშთს, მას უნდოდა გაექრო ქართველთა მეობა და იერსახე. ხელისუფლების აზრით, ამ საქმეში მისთვის ეკლესიას უმნიშვნელოვანესი დამხმარე როლი უნდა შესრულებინა. რუსულმა ხელისუფლებამ ერთმორწმუნოების საფარქვეშ საქართველოს დაპყრობის, ქართული ეროვნული სახელმწიფოებრივი აპარატის მოშლისა და რუსული მმართველობის დამკვიდრების კვალდაკვალ,


ანტონ I

[10] ჯერ კიდევ მიქაელ თამარაშვილმა აღნიშნა, რომ ქართული ეკლესიის თავისთავადობის შერყევა დაიწყო ერეკლე II-ის მეფობისას, კათალიკოს ანტონ I-ის დროს. „ანტონ კათალიკოსი პირველი შეეცადა რუსულ ეკლესიასთან დაახლოებასა და მისი ზოგიერთი წესის შემოღებას საქართველოში. ანტონ კათალიკოსი სინოდის წევრადაც კი იყო არჩეული". არ შეიძლება რომელიმე ავტოკეფალური ეკლესიის მეთაური იყოს სხვა, უცხო ეკლესიის სინოდის წევრი, ამით, სხვა რომ არა ვთქვათ, ავტოკეფალური ეკლესიის ღირსება კნინდება. ჩვენ, ნაშრომში „საქართველოს ადგილობრივი საეკლესიო კრებები" გამოკვლეული გვაქვს, რომ ქართული ეკლესიის ზოგნით არსებულმა ქაოსმა და მტრულმა ურთიერთდამოკიდებულებამ სამღვდელოებათა შორის ანტონ I აიძულა კათალიკოსობიდან გადაეყენების შემდეგ სამართალი ეძია რუსეთში, სადაც იგი სრულებით გაამართლეს, ვითარცა ჭეშმარიტი მართლმადიდებელი, დანიშნეს ერთ-ერთი ცენტრალური ეპარქიის მმართველად არქიეპისკოპოსის ტიტულით. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ანტონი კვლავ ავიდა საკათალიკოსო ტახტზე და შეეცადა ქართული ეკლესია მოეწესრიგებინა რუსულ ეკლესიაში არსებული წესების შესაბამისად, ყოველმხრივ დაუახლოებინა ქართული ეკლესია რუსულთან. ასე აღწერს ამ ვითარებას მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე [111, გვ. 1091]. ასევე, ანტონ მეორეც რუსეთის წმინდა სინოდის წევრი იყო 1793 წლიდან [111, გვ. 1094].

უპირველეს სამიზნედ ქართული ეკლესია ამოიღო და მას ეერაგულად შეუტია.[11]

რუს ხელისუფალთა აზრით, საქართველოს ეკლესია, რომ დამოუკიდებელი დარჩენილიყო, იგი ხელს შეუშლიდა რუსიფიკატორულ პოლიტიკას, რუსულ ზნეჩვეულებათა სწრაფ გადმონერგვას, და საერთოდ, როგორც ისტორიული გამოცდილება მოწმობდა, იგი კოლონიზატორების მოწინააღმდეგეთა მძლაერი თავშესაფარი გახდებოდა. ანგარიშგასაწევი იყო ქართველთა განსაკუთრებული დამოკიდებულებაც ქრისტიანული სარწმუნეობისადმი.[12]

XIX საუკუნის პირველ მესამედში რუსეთის მთავრობამ საქართველოში შექმნა თავადაზნაურთაგან განსხვავებული, პრივილეგიური საზოგადოებრივი ჯგუფი – სასულიერო წოდება. წინათ მაღალ სამღვდელო პირებად თავადები და აზნაურები გევლინებოდნენ, სოფლის დაბალი სამღვდელოება (მღვდლები, დიაკვნები, მედავითნეები და სხვ.) კი ყმა-გლეხთა ბანაკს ეკუთვნოდნენ და ისეთივე უუფლებონი იყვნენ, როგორც გლეხები. 1808 წლის კანონით დაბალი სამღვდელოება განთავისუფლდა მებატონეთა როგორც ყმური დამოკიდებულებისაგან, ისე ყოველგვარი საბატონო გადასახადებისა და ვალდებულებებისგან. საეკლესიო ქონება და მამულები ცარიზმმა თანდათან

---

[11] ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ქართული ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ავტოკეფალიის განადგურებაში აქტიურად მონაწილეობდნენ მშობელი ერის და ეკლესიის მოღალატე ეიაქართველები, მათ შორის ვარლამ ერისთაევი, რომელსაც დაევალა "საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის" პროექტის შემუშავება. მან ეს დავალება დიდის გულმოდგინებით აღასრულა და 1811 წლის 30 ივნისს პროექტი დაამტკიცა იმპერატორმა. იმპერიამ სათანადოდ დააფასა ერისთავის მოღალატეობრივი საქმიანობა: იგი დაამტკიცეს საქართველოს პირველ ეგზარქოსად.

[12] ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, გარშემო მუსლიმანების რკალი გვერტყა და სრულ იზოლაციაში ვიყავით, ქრისტიანობამ (მართლმადიდებლობამ) ქართველობის გადარჩენაში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა. იმ პერიოდში ქრისტიანი მართლმადიდებელი და ეთნიკური სახელი "ქართველი" სინონიმებად იყო ქცეული. შესაბამისად, რაღაც გაიგივებათა გამო ქართველი ადამიანი, თუ სხვა სარწმუნოებას აღიარებდა, იგი უკვე არაქართველად აღიქმებოდა. ეს ფენომენი იმდენად ძლიერი იყო, რომ არა თუ ზოგადად ქართველი, არამედ ერთი გვარის ადამიანებიც კი, სარწმუნოების შეცვლის კვალობაზე, სხვადასხვა ეროვნებასა ხდებოდნენ. მაგალითად, ამაზე მეტყველებს ალ. ნაზღაიძის სტატიაში მოყვანილი ფაქტი: „მაისურაძეთა დიდი უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია, მაგრამ საქართველოს მძიმე ისტორიული ბედის გამო მაისურაძეებშიც გვხვდებიან სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის წარმომადგენლები, ასე მაგალითად: ქვემო ქართლში თეთრიწყაროელი მაისურაძეების ერთი ნაწილი გრიგორიანი ქრისტიანია და მათ სომხებს უწოდებენ, იმერეთში, ხონელი მაისურაძეების ნაწილი კათოლიკე ქრისტიანია და მათ ფრანგებს უწოდებენ. ხოლო სამცხეში, ადიგენის რაიონის სოფლებში მესხთა გასახლებამდე ცხოვრობენ მაჰმადიანი მაისურაძეები, რომლებსაც თათრებს უწოდებდნენ" (იხილე, გაზ. „ახალი საქართველო" № 7, 1999 წლის 18-24 თებერვალი). რუსების საქართველოში შემოსვლის შემდეგ, ტერორნს „მართლმადიდებელი ქრისტიანი", ძველი დატვირთვა ამ ასპექტში თანდათან ჩამოცილდა და ქართველის ცნობიერებაში მისი მხოლოდ ზოგადი შინაარსი დარჩა. ე.ი. იმ პერიოდიდან მართლმადიდებლურმა სარწმუნოებამ, ადრე შეძენილი (განსაკუთრებით გვიან შუა საუკუნეებში) ქართველი ერის შემკრები, მისი ქართველთან გაიგივების მკვეთრად გამოხატული შინაარსი თანდათან დაკარგა. იგი ქართველის სინონიმად აღარ აღიქმებოდა. მართლმადიდებელი ხომ რუსიც იყო, რომელმაც, სხვათაშორის, ერთმორწმუნე ქართველებს თავისუფლებაც წაართვა და სახელმწიფოებრიობაც. უფრო მეტიც, 1811 წელს, ექვსი საუკუნით მასზე ადრე შექმნილ საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალიაც კი გაუუქმა და იგი ქართველთ მოძულე რუსი ეგზარხოსების ხელში ჩააგდო.

სახასინო საკუთრებად გადააქცია,[13] ხოლო სამღვდელოება სახასინო ანაზღაურებაზე გადაიყვანა, რითაც ეს წოდება მთლიანად ხელისუფლებაზე დამოკიდებული და ადვილად სამართავი გახადა. ხოლო 1811 წელს, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, საქართველოში ეკლესიის მართვის სათავეები მთლიანად საკუთარ ხელში აიღო.

რაც შეეხება ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელ კათალიკოსს, როგორც მიტროპოლიტი ა. ჯაფარიძე აღწერს: ანტონ II-ის საქართველოში ყოფნისას... ეკლესიის უმთავრეს იერარქთა შორის გაჩაღებული კინკლაობის გამო ქაოსი სუფევდა, თითქოსდა ისევ ქართული ეკლესიის დასამშვიდებლად – „იმპერატორმა ალექსანდრე I-მა 1811 წლის 10 ივნისს წერილი მისწერა ანტონ კათალიკოსს, დაჰპირდა მისი ღირსების შეულახაობას წმ. სინოდის ავტორიტეტის მეშვეობით და მიიპატიჟა რუსეთში, სადაც მისი საკადრისი პატივით იცხოვრებდა, მიიღებდა პენსიას და ამასთანავე დაიკავებდა მეხუთე ადგილს წმ. სინოდში“. 1811 წელს ანტონი გამოეთხოვა თავის სამწყსოს და გაემგზავრა პეტერბურგს [111, გვ. 1093].

მთავრობამ სასულიერო წოდების შექმნით ახალი და საკმაოდ ძლიერი დასაყრდენი გაიჩინა [45, გვ. 277]. მან მიაღწია იმას, რომ ეკლესია რუსული იმპერიული შოვინისტური იდეოლოგიის სამსახურში ჩაიყენა[14] და ცარიზმის საერო დაწესებულებანი რუსულ ყაიდაზე რეფორმირებულ ეკლესიასთან ერთად იღწვოდნენ ადგილობრივთა ეროვნული ენის, კულტურის ამოძირკვისა და სანაცვლოდ რუსულის დამკვიდრებისათვის [54].

საზოგადოების განვითარების იმ პერიოდის სპეციფიკიდან გამომდინარე (ცხადია, მაშინ არ იყო ტელევიზია და არც პრესა იყო მასობრივი), ხელისუფლებამ თავისთვის ეფექტური და მომგებიანი გათვლა გააკეთა იმ თვალსაზრისით,

---

[13] საქართველოს ეკლესია ამ დროისათვის ფლობდა დიდძალ ქონებას, სახნავ-სათეს მიწებს, ტყეებს, სხვადასხვა ქარხანას, სათევზაო ადგილებს, წისქვილებს, შენობებსა და სხვა ქონებას. იგი იყო ეკონომიკურად დამოუკიდებელი ერთეული, ამით იგი მკვეთრად განსხვავდებოდა რუსული ეკლესიისაგან, რომელიც იმ დროისათვის რუსეთის ხელისუფლების მიერ სახელმწიფოს ნაწილად იყო გადაქცეული და საერო ხელისუფლებისადმი დამორჩილებული. საქართველოში კი პირიქით – სახელმწიფო ხელისუფლება არ იყოფოდა საეროდ და სასულიეროდ. ქვეყნის ხელისუფლების სათავესთან იდგნენ ეკლესიის უმაღლესი იერარქები [111, გვ. 1093].

[14] ერთ-ერთ ნიმუშად გამოდგება, მოგვიანებით, 1897 წელს, თბილისში გახსნილი რუსეთის სამხედრო დიდების ტაძრის მაგალითი. იგი მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური დანიშნულებისთვის აიგო, თვითონაც პირდაპირ აღიარებდნენ: იგი უნდა ყოფილიყო კავკასიაში რუსეთის სამხედრო ბატონობის მარადიული სიმბოლო. ტაძარი დამთრგუნავად მოქმედებდა ქართველ პატრიოტთა ეროვნულ სულზე, თავისუფლებისაკენ სწრაფვაზე. იგი ხომ რელიგიური მოტივით სპეკულაციის გზით „მარადიულობისათვის“ იყო შენებული და მას სამუდამოდ უნდა „ემუშავა“ ქართველთა ფსიქოლოგიაზე. სხვათაშორის, საბჭოთა იმპერიაში გაჩაღებული საკულტო ნაგებობების არნახული მასშტაბის ნგრევის ფონი ლავრენტი ბერიამ რუსული იმპერიულ-შოვინისტური სულის ამ სიმბოლოს დასანგრევად ოსტატურად გამოიყენა. იხ., ჰენრი კუპრაშვილი. ეიღაკას პარლამენტის დანგრევა და რუსული „სამხედრო დიდების ტაძრის“ აღდგენა მოუნდა. გაზ. „რეზონანსი“. № 043. 2001 წლის 15 თებერვალი.

რომ ადგილებზე უშუალოდ ხალხთან კომუნიკაციის კუთხით, პოლიტიკური მიზნების რეალიზებისათვის საჭირო პოლიტიკური ინფორმაციის ფართო მასებამდე "ეფექტურად დაყვანა" ყველაზე უკეთ სამღვდელოების საშუალებით შეიძლებოდა. თანაც მღვდლის, როგორც საქართველოს ქრისტიანულ მოსახლეობის სრულად მომცველი და ყველაზე კონტაქტური პირის საშუალებით გადაცემული ინფორმაცია ხომ მოსახლეობისთვის ყველაზე დამაჯერებელი და სარწმუნო იყო.

გარდა ამისა, როდესაც ქვეყანაში თითქმის არ არსებობდა სკოლა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, ცხადია, რეფორმირებულ ეკლესიას რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებაში სხვა, განსაკუთრებული, დატვირთვებიც ჰქონდა.


რუსი მოხელეები ხარბად შეუდგნენ დაპყრობილი ქვეყნის ახლა უკვე ქართული ეკლესიის სულიერ და ნივთიერ ძარცვას. ეკლესიებიდან ეზიდებოდნენ განძეულს და ისტორიულ არქივებს, ქართულ მხატვრობას, კედლებიდან ფხეკდნენ უძველეს, მრავალსაუკუნოვან ფრესკებს და მათ კირით ათეთრებდნენ.

ხელისუფლებამ მიზნად დაისახა ეკლესიიდან ქართული ენაც განედევნა. ქართული საეკლესიო გალობის რუსულით შეცვლა, ისევე, როგორც ღვთისმსახურების რუსულ ენაზე წარმართვა, საქართველოში რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენდა [21]. სასულიერო სასწავლებლებში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, ცდილობდა ქართული ენა დაბალ სასულიერო ფენებშიც ამოეძირკვა.

საქართველო ეროვნა-არყოფნის პირას იყო მისული - საქართველოში წირვა-ლოცვა რუსული იმპერიული სულისკვეთებით აღევლინებოდა, რის გამოც ისედაც უმძიმეს ყოფით პირობებში ჩაყენებულ ქართველ ერს ეკლესიისთვისაც ზურგი ჰქონდა შექცეული [59]. ერთი სიტყვით, რუსულმა ხელისუფლებამ: „რაც საქართველოს მარჯო საეკლესიო ხასით დამართეს, ვერც ერთი მუსლიმანი მმართველი ვერ დაიკვეხნის: ქართულ (ძაღლის) ენაზე წირვის აკრძალვა; თვით წმინდანთა საფლავების წაბილწვა; ერის დაწყევლა..." [75].

დამოუკიდებლობადაკარგული, უსახელმწიფოდ, საკუთარი ხელისუფლების გარეშე, უპატრონოდ დარჩენილი, სხვის სახელმწიფოში მოქცეული ქართველი ხალხი ეროვნული გადაგვარებისა და ასიმილირების კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. ქართველ ხალხს სწორედ ასეთ ვითარებაში ყველაზე მეტად სჭირდებოდა მისი ენა, მანამდე ყოველთვის უღალატო, სულიერი წინამძღვარი, რომელიც მოასულიერებდა, ტკივილებს დაუყუჩებდა, მისი ეროვნული სახისა და მეობის გადარჩენაზე იზრუნებდა. ბედის ირონიით, ასეთ მძიმე ვითარებაში

რუსულ ყაიდაზე რეფორმირებული ეკლესია ქართული ეროვნული ინტერესებიდან დისტანცირებული აღმოჩნდა. რუსეთის ხელისუფლებამ მიზანმიმართული ვერაგული პოლიტიკის გატარების წყალობით შეძლო სასულიერო წოდება იმპერიის ინტერესების სამსახურში ჩაეყენებინა. საკუთარი სახელმწიფოებრიობის არქონამ, ეკლესიის მსახურთა მოღვაწეობის შინაარსიდან ამოაგდო სახელმწიფოებრივი ინტერესების სფერო.


წმიდა მღვდელმთავარი გაბრიელი

ახალ ვითარებაში, დაკარგა რა ძველი ფუნქცია, მართლმადიდებლობა ვეღარ იქცა ერის შემკრებ, მაორგანიზებელ და გადამრჩენელ ძალად. ფაქტია, რომ ქართულმა ეკლესიამ რუსიფიკაციის ამ პოლიტიკას ვერ გაუწია ჯეროვანი წინააღმდეგობა, ვერ დადგა სათანადო სიმაღლეზე და მხარი ვერ აუბა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას (ეს ტვირთი მან მრავალ გარკვეულ ობიექტურ და სუბიექტურ მიზეზთა გამო, ვეღარ ზიდა, არა მარტო მე-19 საუკუნეში, არამედ ვერც საბჭოთა პერიოდში). ეს გასაკვირი არც არის, რადგანაც მოტყუებული, უცხო, რუსული სახელმწიფოს კლანჭებში მოქცეული, უფლებებგამორთმეული, ღირსებაშელახული მართლმადიდებლური ეკლესიის მსახურნი, ძლიერი, მიზანმიმართული პოლიტიკური ზემოქმედების ქვეშ აღმოჩნდნენ.[15]

დამპყრობელი რუსეთისათვის საქართველოს "ათვისებაში" ყველაზე წარმატებული ეს პროექტი აღმოჩნდა. მაშინ, როდესაც ქართველი საზოგადოების უდიდესი ნაწილისგან (თავადები, აზნაურები, გლეხები) დამპყრობელი რუსეთი უსასტიკეს წინააღმდეგობას წააწყდა და საქართველო შეთქმულებებისა და აჯანყებების ცეცხლის ალში იყო გახვეული. რუსული ხელისუფების პოლიტიკას ერთგულად ემსახურებოდა რუსულ ყაიდაზე რეფორმირებული სასულიერო წოდება. ამის მაგალითი თვითონ ქართული ეკლესიის მეთაურმა ანტონ მეორე

[15] ქართულ ეკლესიაში რუსული კოლონიური პოლიტიკის ორასწლოვანი უმძიმესი, უარყოფითი შედეგების აღმოფხვრას ძალისხმევას არ აკლებს საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, ილია II. მისი უდიდეს ძალისხმევის შედეგად ეკლესია ისტორიულ როლს და დანიშნულებას თანდათან იბრუნებს.

კათოლიკოსმაც[16] მისცა - დ. ფურცელაძე წერს: „მანიფესტის ქქლესიაში წაკითხვის შემდეგ ანტონ II კათალიკოსმა პარაკლისი გადაიხადა და დააფიცა რუსეთის ერთგულებაზე ყველა მცხოვრები მის ხელქვეით ეპარქიებისა, მცხეთისა, სამთაეროისა და ალაეერდისა და როდესაც... ზოგიერთმა ბატონიშვილებმა მოინდომეს საქართველოს ტახტის დაჭერა, კათალიკოსი მიუბრუნდა მათ დარიგების სიტყვით და ურჩევდა, მშვიდობიანათ ეცხოვრათ და მადლობა მოეხსენებინათ რუსის ხელმწიფისათვის, რადგანაც ინება მან იმ სიკეთის ჩადენა, საქართველო მიიღო თაეის მფარველობის ქეშ" [111, გე. 1092].

ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ იმ სიტუაციაშიც, სასულიერო წოდებაში იყო მრავალი ადამიანი, რომლებიც არ მიეყიდნენ ოკუპანტებს და სამშობლოსათვის უძგერდათ გული, მაგალითად, "1830-1844 წლებში ქართველ სამღვდელოებაში არის რაღაც წრე, რომელიც წიგნების გადაწერით უპირისპირდება რუსიფიკატორულ პოლიტიკას და ამით ქართულ საქმეს ემსახურება" [7, გე. 37]. მაგრამ ხელისუფლებამ სპეციალურად შექმნილი სასულიერო წოდების სახით აამუშავა მთელი სისტემა და ცალკეული სასულიერო მოღვაწის პატრიოტული ქმედება სისტემის მიერ ადვილად ითრგუნებოდა. თორემ ცხადია, სახელმწიფოებრიობადაკარგულ საქართველოში, საბედნიეროდ, ამ თეალსაზრისით არ იყო მხოლოდ სრული სიბნელე. იყო პიროვნული ნათელი გამოელინებები და საქართველოს ისტორია არასდროს დაივიწყებს მათ წმინდა სახელებს: შუამთის მონასტრის მღვდელმონაზონი მამა ფილადელფოს კიკნაძე, წმიდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე), მღვდელმოწამე წმიდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე), წმიდა მღვდელმონაზონი ალექსი (შუშანია), წმინდა კირიონ II, წმიდა ამბროსი აღმსარებელი . სასულიერო ეროვნულ ბრძოლაში ერთგული გარდატეხა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან იღებს სათაეს, როდესაც სასულიერო ანტირეჟიმულ ბრძოლას სათაეში ჩაუდგა გამოჩენილი მოღვაწე, წმიდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე).

[16] სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II აღიარებულ იქნას წმინდანად და ეწოდოს მრავალნებული ანტონ II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მისი ხსენება დაწესდეს 7 დეკემბერს (ახალი სტილით 3 იანვარი). ასევე დაიწეროს წმიდანის ხატი და შეიქმნას შესაბამისი საღვთისმსახურო განგება. წმიდა სინოდის განჩინება. სხდომის ოქმი (11.07.2011)

მესამე თავი
შეთქმულება-აჯანყებების ცეცხლის ალში გახვეული საქართველო

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა დაიწყო რუსეთის მხრიდან 1783 წლის საერთაშორისო ხელშეკრულების, ე. წ. "გეორგიევსკის ტრაქტატის" უხეშად დარღვევისთანავე, როდესაც მან თვითნებურად მიიერთა ქართული სამეფო-სამთავროები და განახორციელა მათი ანექსია.

1. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ხასიათი და მამოძრავებელი ძალები XIX საუკუნის I ნახევარში

როგორც ზემოთ აღინიშნა, რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლას განაპირობებდა არა რუსებისადმი სიყვარული ან სიძულვილი, არამედ ის, რომ ქართველი ხალხი სხვის სახელმწიფოში, სხვა ხალხის კანონებითა და სხვის ნება-სურვილზე ცხოვრებას ვერ შეეგუა. საქართველოს მხოლოდ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების პირობებში ექნებოდა შესაძლებლობა მაქსიმალურად გამოიყენებინა ქართველი ერის სულიერი ენერგია, ინტელექტუალური, ბუნებრივი და პოლიტიკური პოტენციალი და შეექმნა საკუთარი კულტურული თვითმყოფადობის შესატყვისი სოციალური ორგანიზაციისა და პოლიტიკური წყობის შესაბამისი სისტემა. მაშასადამე, დამოუკიდებლობა ეროვნული სტრატეგიული მიზნის მიღწევის აუცილებელი და ყველაზე ოპტიმალური საშუალება გახდა, ამიტომ იქცა მისი მოპოვება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უპირველეს ამოცანად.

ამავე დროს, როდესაც საქართველოში, XIX საუკუნის პირველი ნახევრის შეიარაღებულ აჯანყებებსა და გამოსვლებზეა ლაპარაკი, უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ მიუხედავად რუსეთის მიერ ჩადენილ დანაშაულობებისა და თვითნებობისა, ქართველი საზოგადოების წარმომადგენლები, საქართველოს ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურნი ხელში იარაღს აღებამდე ცდილობდნენ, სამართლებრივ ენაზე ესაუბრათ რუსეთის ხელისუფლებასთან, მოითხოვდნენ, შეესრულებინა რუსეთს საერთაშორისო ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებები. მაგრამ, როდესაც რწმუნდებოდნენ, რომ ოკუპანტებთან

სამართლის ენაზე ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა, მხოლოდ ამის შემდეგ მიმართავდნენ ძალისმიერ მეთოდებს. ამას მოწმობს შემორჩენილი უამრავი დოკუმენტური მასალა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მამოძრავებელ ძალებში ძირითადად ორი ფრთა გამოიყოფა:

პირველი, ე.წ. **ტრაქტატისტები** (საერთაშორისო სამართლის დარღვევის მოწინააღმდეგეები). იგი მოიცავს რუსეთის მიერ 1783 წლის ხელშეკრულების დარღვევითა და საქართველოს დაპყრობით უკმაყოფილო ქართველი საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს: თავადაზნაურობის, გლეხობისა და ქალაქის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას. მათი მიზანია ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა და რუსეთთან ურთიერთობა ე.წ. "გეორგიევსკის ტრაქტატის", ანუ ამ საერთაშორისო სამართლის დოკუმენტის საფუძველზე.

მეორე შეურიგებელი რადიკალები.[17] რუსეთის მოწინააღმდეგეთა შეურიგებელ-რადიკალთა ფრთას შეადგენდა სოლომონ ლიონიძე, ალექსანდრე ბატონიშვილი და მისი თანამგრძნობნი, აგრეთვე, იულონ, ფარნაოზ, ოქროპირ (გიორგის ძე), დიმიტრი (იულონის ძე) და თამარ (იულონის ასული) ბატონიშვილები, ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე ორბელიანი, იმერეთის დაპყრობის შემდეგ სოლომონ მეორე და მისი მომხრეები, ქვეყნიდან იძულებით გაქცეული თავადაზნაურები [18] აგრეთვე ქვეყნის შიგნით ხელსაყრელი მომენტის მომლოდინე ოპოზიციონერები. მათი საერთო დევიზია "სადაც თავისუფლება არ არის, იქ უკვე სიცოცხლე არ არის" [15. გვ. 222].

მეორე ფრთის წარმომადგენლები რუსეთის პოლიტიკას უნდობლობას უცხადებდნენ და ფიქრობდნენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის ყოველგვარი საშუალება გამოდგებოდა. ის, რომ ამ მიზნის მიღწევაში ცდილობდნენ გამოყენებინათ მუსლიმანური სახელმწიფოების (ირანის, თურქეთის) მხარდაჭერა, არ ნიშნავდა იმას, რომ საქართველოს

---

[17] შემოგრომში შეურიგებელ-რადიკალურმა ფრთამ დასაბამი მისცა უკომპრომისო – რადიკალურ მიმართულებას, რომელიც სხვადასხვა ვითარებასა და პერიოდში სხვადასხვანაირად აელენდა თავს. იგი რომანტიკული იდეებით საზრდოობდა და შინაარსით ექსტრემისტული და დისიდენტური იყო. რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში კონფორმისებს გამორიცხავდა და მიზნის მიღწევას ხელისუფლებასთან დაუფარავი კონფრონტაციის გზით ცდილობდა. სიტუაციიდან გამომდინარე ეს მიმდინარეობა ხან დომინირებდა, ხან თვალთა ეფექიდან ქრებოდა. ამ ფრთის პოპულარობას ხელს უწყობდა მისი კეროიკული შეფერილობა, მრწამილეთა უანგარო, გმირული პატრიოტიზმი და თავგანწირული სულისკვეთება, ამასთან, ხალხის მიერ მათი საქმიანობის, ბრძოლის ფორმებისა და მეთოდების „წაკითხვის სიადვილე".

[18] იყო რამდენიმე ტალღა, მაგალითად, 1800 წლის ივნისში ალექსანდრე ბატონიშვილთან ერთად წასული თავად-აზნაურობა, 1802 წელს მათ და მატა იოსებ ანდრონიკაშვილი 40 თავადთან ერთად, 1803 წელს ირანში გაქცეულ თეიმურაზ ბატონიშვილსაც გაჰყვნენ ერთგული თავად-აზნაურები და სხვ.

სახელმწიფოს აღდგენას მათ საფარქვეშ აპირებდნენ. ამ თვალსაზრისით, ყურადსაღებია გენერალ კურნატოვსკის ერთი გადმოცემა: ახალციხის ფაშა იმ პერიოდში რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ ქართველ პატრიოტებს ახასიათებდა, როგორც ცბიერ და ეერაგ ადამიანებს, რომლებსაც "ახლა არ სურთ რუსეთის მორჩილება და თურქებს ერთგულებას აღუთქვამენ, მაგრამ შემდეგ ძალ-ღონეს არ დაზოგავენ, რომ ისინიც თავიდან მოიცილონ" [83, გვ. 568].

XIX საუკუნის პირველ ნახევარში საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ტრაქტატისტები და შეურიგებელი რადიკალები[19] ადვილად პოულობდნენ საერთო ენას, ორივე დაპირისპირებული იყო ხელისუფლების ერთგულთა დასის წარმომადგენლებთან – მერუსეთეებთან (რუსეთუმეებთან). მაგალითად, 1806 წელს სათავადაზნაურო წინამძღოლის ასარჩევად თბილისში შეკრებილი იყვნენ ქართლ-კახეთის წარჩინებული წოდების წარმომადგენლები. რუსული საოკუპაციო რეჟიმით უკმაყოფილო თავადების ჯგუფს საიდუმლო თათბირი მოუწყვია, რომელიც, ცხადია, რომ რუსეთის პოლიტიკის ერთგულ მომხრე თავადებისგან განცალკევებით მიმდინარეობდა. როდესაც მათ ეს შეიტყვეს სასტიკად განაწყენებულან და საქმე იქამდე მისულა, რომ ჰეხლა-შემოხლა კინაღამ სისხლისღვრაში გადაზრდილა. როგორც იყანე ჯავახიშვილი წერდა: "მართალია, ეს პარტია (რუსეთუმეების – ჰ. კ.) არ იყო მრავალრიცხოვანი, მაგრამ საშიში იყო პირველი ხარისთვის რუსული ჯარის ყოფნის გამო" [91].

2. 1801 წლის შეთქმულება და გამოსვლები

როგორც ცნობილია, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების მანიფესტს პაველ I-მა ხელი მოაწერა 1800 წლის 22 დეკემბერს (ამ დროს გიორგი XII ჯერ კიდევ ცოცხალია. იგი 28 დეკემბერს გარდაიცვალა გაურკვეველ ვითარებაში[20]). მანიფესტი პეტერბურგში გამოქვეყნდა 1801 წლის 18 იანვარს, ხოლო თბილისში გამოაცხადეს 16-17 თებერვალს რუსულ, ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. მანიფესტის შესახებ მისი თბილისში გამოცხადებამდე გახდა ცნობილი. ქართული პოლიტიკური ელიტა მაშინვე შეუდგა წინააღმდეგობის ფრონტის

[19] შეიძლება ამ მიმართულების უკანასკნელ მოჰიკანებად (შთამომავლებად) ჩაითვალონ 1991 წლის დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე მოღვაწე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა, გ. ჭანტურია, ი. წერეთელი და სხვა მათი მიმდევრები.

[20] არ არის გამორიცხული, რომ მოეწამლათ კიდეც. ცნობილია, მაგალითად, როგორ ცდილობდა რუსეთის ხელისუფლება იმერეთის მეფე სოლომონ II-ის, ალექსანდრე ბატონიშვილისა და სხვა მისთვის არასასურველი პირების მოწამვლას.

შექმნას. დარეჯან დედოფალმა (1738-1807) და იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებმა ირანის შაჰს წერილები გაუგზავნეს და შესთავაზეს რუსეთის თვითნებობის აღსაკვეთად ერთობლივად ებრძოლათ [81, გვ. 240]. მაგრამ რუსეთის სპეცსამსახურმა ამ მიმოწერაზე კონტროლის დაწესება მოახერხეს.[21] შაჰისადმი გაგზავნილი წერილების შესახებ ინფორმაციას იგი ერევნის მეჰმედ ხანისგან იღებდა [81, 685]. ხოლო შაჰისგან გამოგზავნილი 20 წერილი 1801 წლის მარტში ჩაიგდო ხელში და სხვ [81, გვ. 284].

მალე პაველ I-ის სიკვდილისა და ალექსანდრე I-ის გამეფების შემდეგ 1801 წლის 12 სექტემბერს, უკვე მისი ხელმოწერით, გამოვიდა მანიფესტი საქართველოში რუსული მმართველობის შემოღების შესახებ, რომელიც 1802 წლის 12 აპრილს გამოცხადდა თბილისში სიონის ტაძარში. ამის შემდეგ


გიორგი XII

გენერალმა კნორინგმა დამსწრე საზოგადოებას რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე ფიცის დადება მოსთხოვა. ამან ქართველების აღშფოთება გამოიწვია. ბევრმა მათგანმა უარი თქვა ფიცის დადებაზე. ცხადია, ამას ვერ შეეძლო მოელენათა განეითარების შეცვლა. კნორინგის ბრძანებით უკმაყოფილონი დააპატიმრეს (მაჩაბელი, ამირაჯიბი...) [43, გვ. 818-819]. დარეჯან დედოფალმა კი მაშინვე დაიბარა გენერალი კნორინგი, მანიფესტთან დაკავშირებით პოლიტიკური განცხადება გააკეთა და

[21] რუსეთის ხელისუფლებამ თავიდანვე დიდი ყურადღება მიაქცია სპეცსამსახურების საქმიანობის სათანადო დონეზე აწყობას. ამისთვის სახსრებიც არ დაიშურა. თუ როგორ დონეზე იყო გაშართული ეს საქმე კარგად ჩანს თეიმურაზ ბატონიშვილის აღმზრდელ პეტრე ლალაძის მაგალითზე, ირანში მყოფი ბატონიშვილის გადმობირება რომ ვერაფრით მოხერხდა, ხელისუფლებამ, წინასწარი გაანგარიშით, ლალაძეს ხარების საყდარი სახელებიანად ჩამოართვა, ამის შემდეგ, ლალაძეს აღუთქვეს ქონების დაბრუნება თეიმურაზ ბატონიშვილის ირანიდან ჩამოყვანის სანაცვლოდ, პ.ლალაძე იძულებული გახდა დათანხმებოდა ტორმასოვის პირობას, მაგრამ თეიმურაზის ხელში ჩაგდების შემდეგ ხელისუფლებამ დანაპირები არ შეასრულა, ქონება მას არ დაუბრუნეს. სპეცსამსახურები ფულს განსაკუთრებით მსტოვრების მოსყიდვას ახმარდა. მაგალითად, ირანში ლტოლვილ ბატონიშვილებს ციციანოვისაგან ჰყავდათ მიჩენილი აგენტები ზაქარია ჯორაევი (ჯორაშვილი) და სიმეხი გოგია კალუსოევი (ყალუაშვილი). ოფიციალურ დოკუმენტებში უამრავი მაგალითია დაფიქსირებული. მაგალითად, 1802 წლის აპრილში ნინია პაატაშვილმა რუსებს მიაწოდა მნიშვნელოვანი ცნობები, იმის შესახებ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი მიემგზავრება ირანში ფათ ალი შაჰთან, რომ მანამდე იგი იმყოფებოდა ხალიციხეში შერიფ ფაშასთან, რომლისაგანაც საჩუქრად მიიღო ცხენი, საათი და 12 ქისა ფული, აქვე იმყოფებოდა 400 ლეკი [81, გვ. 286]. 1805 წლის იანვარში ბაბახანის 11 ფირმანი (დოკუმენტი: ფარანაოზ ბატონიშვილი, თანმდევი კონსტანტინე ბაგრატიონი, თამაზ ორბელიანი და სხვ.) ციციანოვს მიართვეს, ხოლო იმავე ბაბა ხანის 36 ფირმანი რუსების ხელში აღმოჩნდა [82, გვ. 822, 848]. ასევე ცნობილია ალექსანდრე ბატონიშვილის 100-მდე წერილი, როლებიც რუსეთის დაზვერვას ჩაუვარდა ხელში და სხვ.

შეთანხმების დარღვევისა და თვითნებობის გამო პროტესტი გამოთქვა. აღშფოთებულმა დედოფალმა გენერალს პირში მიახალა: "შენგან აღთმულის წინააღმდეგად იქცევი აქა და საქმობ?!" [43, გვ. 818].

ქართული სახელმწიფოებრიობის უკანონოდ მოსპობით უკმაყოფილო ქართველი საზოგადოების აზრს ყველაზე თვალსაჩინოდ გამოხატავს 1832 წლის შეთქმულების აქტიური წევრის (რომელიც საგამოძიებო კომისიამ მესამე თანრიგის "დამნაშაულედ" ცნო), დიმიტრი ერისთავის მიერ ალექსანდრე I-ის მანიფესტის შესახებ გამოთქმული შენიშვნები. იგი მანიფესტს უსამართლო აქტს უწოდებს. მისი აზრით რუსეთის მონარქმა დაარღვია საერთაშორისო შეთანხმება, ეერაგულად მიიტაცა საქართველოს სამეფო და თავისი სამეფო კეერთხის ქვეშ მოაქცია, საქართველო გარყვნილი რუსი მოხელეების გადასახლების ადგილად გადააქცია. მანიფესტში ნათქვამია, რომ ქართველმა ხალხმა თითქოს ნებაყოფლობით დათმო დამოუკიდებლობა და შეუერთდა რუსეთს. თუ შეერთება ნებაყოლობით მოხდა, შენიშნავს დიმიტრი ერისთავი, რუსეთს გაგზავნილ სამადლობელო დეპუტაციაში რატომ შედიოდა მხოლოდ 6-8 კაცი, ხოლო რუსეთის საწინააღმდეგო აჯანყებანი რატომ ატარებდა საყოველთაო ხასიათს? ალექსანდრე I-ის მანიფესტი ამბობს, რომ შინაბრძოლა დაღუპვას უქადდა სამეფოს და საქართველო შეეიერთეთ არა ისედაც ეებერთელა იმპერიის საზღვრების გაფართოებისათვის, არამედ ერთმორწმუნე ხალხის დაღუპვისგან გადარჩენის მიზნითო. "აი, კიდეე სისულელე", თუ ტერიტორიის შემატება არ უნდოდათ, დაემტკიცებინათ ერთ-ერთი ბაგრატიონი მეფედ და შინა ბრძოლაც შეწყდებოდა, მაგრამ რუსეთს სურდა საქართველოს დაპყრობაო, შენიშნავს დ. ერისთავი [15, გვ. 117-119]. გულისწყრომა და პროტესტი წითელ ზოლად გასდევს იმ პერიოდის ყველა დოკუმენტს, რაც ნათლად ადასტურებს, რომ ქართველი საზოგადოება რუსეთის ხელისუფლების თვითნებობას ვერ ურიგდებოდა.

მანიფესტის გამოცხადებისთანავე იღებს საბაოეს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ხოლო, უკვე სულ რაღაც, 3 თეეში სერიოზული აჯანყების განხორციელებისთვის არის მზად.

3. 1802 წლის შეთქმულება

რუსული საოკუპაციო რეჟიმის დამყარების წინააღმდეგ შეთქმულების ხელმძღვანელი იყო ერეკლე მეორეს ქვრივი დარეჯან დედოფალი (1738-1807). მის

სასახლეში მუშაედებოდა დამოუკიდებლობის აღდგენის ღონისძიებანი. მანამდე მასთან დაპირისპირებული მარიამ დედოფალიც (1768-1850) აქტიურად ჩაება შეთქმულებაში. მზადება მიმდინარეობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. დავით ბატონიშვილი (1767-1819),[22] რომელიც მანამდე რუსეთის თანხმობით ტახტის მემკვიდრედაც იყო დამტკიცებული, ბორჩალოში ამზადებდა ჯარს და ერევნის ხანთან კავშირის გაბმას ცდილობდა, თავიანთ საუფლისწულოებში ქმნიდნენ საბრძოლო დანაყოფებს თეიმურაზ და ეახტანგ ბატონიშვილები. ამ უკანასკნელს დაკისრებული ჰქონდა ჩაეკეტა დარიალის ხეობა. ბატონიშვილი ალექსანდრე ერეკლეს ძე ცდილობდა მუსლიმურ ქვეყნებში ანტირუსული კოალიცია შეექმნა. იგი, ჯერ კიდევ, 1801 წლიდან აწარმოებდა მოლაპარაკებას ფათალი შაჰთან და ახალციხის ფაშასთან (სხვათა შორის, იმ მომენტში თურქეთი ეგვიპტისათვის საფრანგეთთან საომარ მდგომარეობის გამო, რუსეთთან თბილ ურთიერთობაში იყო და მასთან მოკავშირეობას ეძებდა, მიუხედავად ამისა, ახალციხის ფაშა სულთანს არ დაემორჩილა და დამოუკიდებლად მოქმედებდა. იგი, ალექსანდრე ბატონიშვილი და სოლომონ II ერთობლივად აწყობდნენ გეგმებს რუსებთან საბრძოლველად). იმერეთის მეფე, რომელსაც თავისთან ოჯახებით (300 კაცით) შეფარებული ჰყავდა იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები, საომრად ემზადებოდა.

სანამ აჯანყებამდე მიეიდოდა საქმე, კახეთში შეკრებილმა თავადებმა საგანგებო წერილი შეადგინეს, რომელშიც დაგმობილი იყო სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი და მოითხოვდნენ 1783 წლის საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის აღდგენას. საქართველო, - ნათქვამია წერილში, პატარა ქვეყანა არის. ჩვენ გვებრძოდა თურქეთის ხონთქარი, ირანის ყაენი, მაგრამ მათ ვერაფერი დაგვაკლეს. "ვერც მოშალეს მეფობა, ვერც მოშალეს ეპისკოპოსობა, ვერც მოშალეს თავადობა და ვერც მოშალეს გლეხობა". მტრებისგან შევიწროვებულმა ჩვენმა მეფემ რუსეთის ხელმწიფეს შესთხოვა მფარველობა. ინება ყოვლადმოწყალე ხელმწიფემ და საქართველო რუსეთს შეაერთა და მანიფესტები გვიბოძა". მაგრამ აქაც მოგვატყუეს, მანიფესტებით აღთქმული დაპირება-წყალობანი არ სრულდებაო. გულიაკოვმა პასუხი არ გასცა და რეპრესიები გააძლიერა.

---

[22] დავით ბატონიშვილი, როგორც პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე ნამდვილად უნიათო გამოდგა, მას რომ სათანადო პოლიტიკური ალღო და მოხერხებულობა გამოეჩინა, შეეძლო ტახტი კანონიერად დაეკავებინა და როგორც კანონიერ მეფეს დაეცვა ტახტისა და ქართული სახელმწიფოს ინტერესები. იგი არ უნდა დალოდებოდა რუსეთის იმპერატორის გადაწყვეტილებას, რადგანაც 1783 წლის ხელშეკრულება ბათილი გახდა მას შემდეგ, რაც იგი რუსეთის მხრიდან ცალმხრივად იქნა დარღვეული. შესაბამისად ქართლ-კახეთს რუსეთთან არანაირი იურიდიული ვალდებულება არ აკავშირებდა და დავითს შეეძლო რუსეთისგან დამოუკიდებლად ემოქმედა...

კახეთიდან მეორე წერილიც გაიგზავნა. ჩვენ გვინდა, რომ "იულონ მეფედ გვიჯდეს და ხელმწიფის ერთგულნი ვიყენეთ. რაც ხელმწიფეს ჩვენგან სამსახური ენებებოდეს, ჩვენს მეფეს უბრძანოს და ჩვენმა მეფემ ჩვენ გვიბრძანოს და ისე ჩვენის შეძლებით ხელმწიფეს ვემსახურებით" [81, გვ. 368-369].

მიუხედავად იმისა, რომ ხედავს რუსეთის თვითნებობას, საქართველოში საზოგადოებრივი აზრი მაინც იქითკენ იხრება, რომ იარაღის ხელში აღებამდე, უნდა შეეცადოს რუსებს შეაგნებინოს, რომ რუსეთის ხელისუფლება საერთაშორისო სამართლის დოკუმენტის იგნორირებას ახდენს. წერილებში ნათლადაა გამოთქმული ქართული საზოგადოებრიობის სურვილი, სამართლებრივ ენაზე ესაუბროს რუსეთის ხელისუფლებას, თხოულობს შეასრულოს რუსეთმა საერთაშორისო ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებები. მოძრაობის მეთაურები მალე რწმუნდებიან, რომ პეტიციების მირთმევა და ოკუპანტებთან სამართლის ენაზე ლაპარაკი შედეგს არ იძლევა. ამის შემდეგ შემუშავდა ფიცის ტექსტი, რომელშიც ეწერა: "ჩვენ ერთობით კახეთსა შინა მცხოვრებელთა... ესე წიგნი და პირობა დავდევით, რომ... რუსეთის იმპერატორს მოვახსენოთ... მეფის ირაკლის ანდერძი დაგვიმტკიცოს და იმ ანდერძის წესით მეფე დაგვისვას... ვინც ამაში უკან განსდგეს, წმინდის სამების უარისმყოფელიც იქნება, ბაგრატიონთა ოჯახის მუხანათიცა და ჩვენც ერთობით გარდავახდევინოთ." კახეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა დაიფიცა ამ ტექსტზე.

შეთქმული თავადაზნაურობა და გლეხობა (ერთი ცნობით 40 ათასი კაცი) 25 ივლისს შეიკრიბნენ ქიზიყში, სოფელ მაღაროს მახლობლად, კელმენჩურს, რათა იულონ ერეკლეს ძის ტახტზე აყვანის დაფიცების რიტუალი შეესრულებინათ. სიღნაღიდან გაგზავნილი ჯარის ნაწილი შეთქმულებმა უკან გააქციეს. საგრძნობმა ნაწილმა ფიცი დასდო იულონის ერთგულებაზე (სხვათა შორის, ფათალი შაჰმა სპეციალური ფირმანი გამოუგზავნა იულონს და აღიარა იგი საქართველოს მეფედ [81, გვ. 693]), თან პოწოდება გააერცელა მთელ კახეთში [6, გვ. 32-33]. კახეთი მღელვარებამ მოიცვა, იმდენად სერიოზულად იყო საქმე, რომ დამფრთხალი რუსული რაზმის მეთაური, მაიორი ალექსეევი 1801 წლის 3 აგვისტოს გენერალ ლაზარევს შეშფოთებული წერდა "აქ ვარშავაზე უარესი მოგველისო" [81, გვ. 340] (იგულისხმება 1794 წლის ვარშავაში პოლონელების მიერ რუსული გარნიზონის უეცარი ამოჟლეტა).

მეფის ხელისუფლება გამეფებულმა ანტირეჟიმულმა ატმოსფერომ შეაშფოთა, დაძაბულობა იზრდებოდა რუსული მმართველობის რეზიდენციაში. იყო თბილისზე თავდასხმის მოლოდინი. თბილისში გააძლიერეს სამხედრო თავდაცვითი

საქმიანობა. საგანგებო რაზმებს დაევალათ ურჩი ბატონიშვილების გამოელენა და შეპყრობა. პატრიოტული ძალების წინააღმდეგობის ცენტრმა მანაში გადაინაცვლა. ხელისუფლებამ ყურადღება და უშიშროების უზრუნველყოფის ზომები გააასკეცა. 3 აგვისტოს ლაზარევი თავისი ჯარით ქიზიყს ჩავიდა და შეთქმულებს მორჩილებისკენ მოუწოდა. საბოლოოდ, გამცემლობამ (დავით ჩოლოყაშვილის დაწერილებით შედგენილი ბეჭდების ბარათი), შეთქმულების სუსტმა ორგანიზებულობამ და მონაწილეთა დაქსაქსულობამ განაპირობა 1802 წლის იელისის გამოსვლის მარცხი.

ეს შეთქმულება წარმოადგენდა ამ დაწყებული მოძრაობის პირველ ორგანიზებულ გამოვლინებას, რომელიც მიზნად ისახავდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის აღდგენას აღნიშნული საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტის საფუძველზე.

4. 1804 წლის მთიანეთის აჯანყება

1802 წლის შეთქმულებიდან ორი წელიც არ იყო გასული, რომ 1804 წლის მაისში აჯანყებამ იფეთქა ანანურის მაზრაში და მალე მთელი მთიანეთი მოიცვა. აჯანყება ხელისუფლებისათვის კრიტიკულ ვითარებაში დაიწყო. რუსის ჯარი ირანთან ომით იყო დაკავებული. მთავარმართებელი პავლე ციციანოვი დიდი ძალებით ერევნის ციხეს უტევდა. იენის-იელისში არაგველებმა აიღეს სტეფანწმინდა, ლარსი. აჯანყებულებმა ჩაკეტეს დარიალის სტრატეგიული სამხედრო გზა ანანურამდე, რუსებს დამხმარე ძალა რომ არ მიეღოთ. ქართველებს გეერდში ამოუდგნენ ჯავის მხარეში მცხოვრები ოსები. მათ გაანადგურეს როკის უღელტეხილით ლიახვის ხეობაში (სოფელ ჯავასა და კოშკთან) ჩადმოსული რუსების მთელი პოლკი. აგვისტოს პირველ რიცხვებში აჯანყებულებმა ლომისას უბანზე დაამარცხეს ციციანოვის მოადგილის ვოლკონსკის სამხედრო ნაწილები და გზა გაიკაფეს თუშეთისაკენ. აჯანყება გაერცელდა ქსნისა და არაგვის ხეობაში. ლომისის საგუშაგოს ხელში ჩაგდებით აჯანყებულებმა "ხელი იგდეს ქსნის სამფლობელოებს და გზა ქართლისკენ. დაარბიეს თავად ერისთავის სოფლები რუსეთის ერთგულებისთვის და საშიშროება დაემუქრა გორს" [93, გვ. 367].

იმერეთიდან დაიძრნენ მთიელების მიერ აჯანყების ხელმძღვანელებად მოწვეული იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები, მაგრამ ქართლში გადმოსული

იულონი რუსებმა დაატყვევეს, ხოლო ფარნაოზმა მოახერხა კახეთში გადასვლა, საიდანაც კახელ თავადებთან ერთად სექტემბერში სტეფანწმინდაში ავიდა და აჯანყებულებს ჩაუდგა სათავეში. მან შიკრიკები დაგზავნა ქართლსა და კახეთში, უნდოდა აჯანყების არეალი გაფართოებინა, სცადა დაკავშირება ალექსანდრე ბატონიშვილთანაც.

საქართველოში რუსეთის ბატონობას საფრთხე შეექმნა. ციციანოვი იძულებული გახდა ერევნისათვის ალყა მოეხსნა და სამხედრო ნაწილები მთიანეთისაკენ დაეძრა. რუსთა რაზმები სასტიკად უსწორდებოდნენ აჯანყებულებს, ანადგურებდნენ და სწვავდნენ მათ სოფლებს. ალექსანდრე I-ის ბრძანებით ჩრდილოეთიდანაც შემოვიდა რუსული სამხედრო ნაწილები ნესვეტოვის მეთაურობით (3000 ჯარისკაცი, 30 ქვემეხი). აჯანყებულები ორ ცეცხლსშუა მოექცნენ. ვითარების შეცვლასთან დაკავშირებით ფარნაოზ ბატონიშვილთან მყოფ კახელ თავადობასაც წარმატების იმედი გადაეწურათ და მათგან დიდმა ნაწილმა ბრძოლის ველი მიატოვა. 1804 წლის 13 ოქტომბერს, სიონთან ფარნაოზის ლაშქარი უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდა.

19 ოქტომბერს ჩრდილოეთიდან დაძრული გენერალ ნესვეტაევისა და ციციანოვის რუსული სამხედრო ძალები ანანურში გაერთიანდა, რამაც გადაწყვიტა კიდეც აჯანყებულთა ბედი. აჯანყებულთა მცირე ჯგუფებად გაფანტული რაზმების ლიკვიდაცია ნოემბრამდე დამთავრდა. აჯანყება ჩახშობილ იქნა. დაიწყო საშინელი რეპრესიები. [23] ეერც ალექსანდრე ბატონიშვილმა მიიღო დაპირებული მრავალრიცხოვანი მხედრობა ირანის შაჰისგან, რომელიც ომახიან დაპირებებს იძლეოდა: "მე მხოლოდ იმიტომ მოვდივარ, რომ ავიღო საქართველო და გადაეცე იგი მეფე ალექსანდრესო" [22, გვ. 70].

შეიპყრეს და დასაჯეს აჯანყების 73 მოთავე. შეიპყრეს ფარნაოზ ბატონიშვილიც, რომელიც იულონ ბატონიშვილთან ერთად 1805 წლის აპრილში რუსეთში გადაასახლეს.

მიუხედავად ამისა, დამპყრობლებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთება მთაში მაინც არ ჩამქრალა და ჯამოსელები XIX ს-ის მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში გრძელდებოდა. ხარცხით დამთავრდა ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენის კიდევ ერთი ცდა.

---

[23] როგორც ალ. ფრონელი თავის ცნობილ ნაშრომში ("მთიულეთი, 1804 წ.") მოგვითხრობს: "ციხენი და საპყრობილენი საქართველოში 1904 წლის დამლევს საესებით აივსო შეიქმულთა და მემამბოხეთაგან... თელავს, სიღნაღს, გორსა და თვით სატახტო ქალაქ თფილისსა, ალაგი აღარ იყო, სად წაეყვანათ შეპყრობილნი და დაბაწრულნი" (გვ. 332-333).

5. აჯანყება კახეთსა და ქართლის მთიანეთში 1812-1813 წ.წ

აჯანყება კი კახეთში დაიწყო, მაგრამ იგი ტერიტორიულად მხოლოდ კახეთით არ შემოფარგლულა. აჯანყება ერთ წელს გრძელდებოდა მცირე შესვენებებით და მოიცვა კახეთი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი და ქართლის მთიანეთი, ამბოხი ქართლშიც დაიწყო [43, გვ. 924], მაგრამ რუსებმა მალე ჩაახშეს და მოახერხეს სიტუაციის მართვის ხელში აღება, ამიტომ ქართლელი თავად-აზნაურობა და გლეხობა ალექსანდრე ბატონიშვილის დასახმარებლად კახეთში გადავიდა [43, გვ. 925]. აჯანყება 31 იანვარს ახმეტაში დაიწყო, მალე აჯანყებულებმა თელავი და სიღნაღი აიღეს. ჰეამბოხეები კარგად შედგენილი გეგმით მოქმედებდნენ, მათ მოულოდნელი და ერთდროული თავდასხმებით ალყა შეჰკარტყეს განცალკევებულ რუსულ საოკუპაციო ძალებს, არ მისცეს გაერთიანების საშუალება და გაანადგურეს. აჯანყებას მალე ფშავ-ხევსურეთიც შეუერთდა. 10 თებერვალს ფშავ-ხევსურ-თიანეთელების 1000 კაციანი რაზმი ბრძოლაში გმირულად ჩაება. ქართველებმა აიღეს დუშეთისა და ფასანაურის საბუშაგოები და ანანურს ალყა შემოარტყეს. ცათ გეგმაში ჰქონდათ დარიალის გზის ჩაკეტვა, რათა ჩრდილოეთ კავკასიიდან დამატებითი ჯარების გადმოსხმა აღეკვეთად. აჯანყებულთა მიზანი თბილისის აღება და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იყო [43, გვ. 922].

21 თებერვლიდან ყარაბაღიდან დაბრუნებული მთავარმართებელი მარკოზ პაულუჩი პირადად ხელმძღვანელობდა აჯანყების ჩაქრობას. რუსებმა დაიწყეს ძალების მობილიზება. 1 მარტს დიდი ბრძოლა გაიმართა სოფ. ჩუმლაყოსთან. 4000 აჯანყებული ქართველი გმირულად ეკვეთა მტერს, მაგრამ მოღალატეების წყალობით გამარჯვება რუსებს დარჩათ. 4 მარტს რუსების მთავარსარდალი იტალიელი ფილიპ პაულუჩი გამარჯვებული შევიდა თელავში და კახეთის სოფლებში სახრჩობელების აღმართვა დაიწყო.

აპრილის დასაწყისში აჯანყების მეორე ეტაპი დაიწყო. აჯანყების ძირითადი კერები იყო ენისელი, გრემი, შილდა, საბუე, მთლიანად ქიზიყი. ახალმა მთავარმართებელმა რტიშჩევმა დიპლომატია, ამნისტია და დაპირებები გამოიყენა და მაისის ბოლოსთვის აჯანყება მინელდა.

1812 წლის ზაფხულში საფრანგეთის არმია რუსეთის საზღვარი გადალახა და გადავიდა შეტევაზე. ამ დროს რუსეთს არ ჰქონდა დამთავრებული ომი ირანთანაც. თურქეთსაც უნდოდა გამოეყენებინა შექმნილი სიტუაცია და ემზადებოდა კავკასიიდან რუსების გასადევნად. ალექსანდრე ბატონიშვილმა

გადაწყვიტა შექმნილი ვითარებით ესარგებლა. თიანეთიდან მის მოწოდებას მაშინვე გამოეხმაურა კახეთი, ქიზიყი, ფშავ-ხევსურეთი, თიანეთი, მღელვარება დაიწყო ქართლშიც, მაგრამ ხელისუფლებას იქ ძლიერი პოზიციები ჰქონდა და ქართლელები იძულებულნი იყვნენ ბატონიშვილის ლაშქართან შეერთების გზები ეძებნათ. მალე კახეთიდან და ქართლიდან დაიძრნენ პატრიოტი ქართველები – თავადები, აზნაურები, გლეხები. დაგეგმილი იყო ალავერდობა დღეს ალექსანდრეს მეფედ კურთხევა.

ალექსანდრე ბატონიშვილმა, რომელიც ამ მომენტისთვის ხალხის დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა, უახლოეს მიზნად დასახა სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი სამხედრო გზის ჩაკეტვა. ამის შემდეგ შეთანხმებისამებრ, ირანიც უნდა დახმარებოდა და, თუ მიაღწევდნენ რუსეთის მიერ საქართველოს სამეფოს აღდგენის ცნობას, მაშინ საქმე მშვიდობიანად უნდა დამთავრებულიყო. მან პირველ რაზმს დააკალა თბილისიდან კახეთისაკენ მიმავალი გზის ჩაკეტვა, მეორე რაზმს – ქართლიდან თიანეთ-თელავისკენ მიმავალი გზების დაცვა, მესამეს კი – ჩრდილოეთიდან გადმოსასვლელი გზები უნდა ჩაეკეტა. თვითონ რუსთა ჯარებთან ბრძოლისთვის უშუალოდ უნდა ეხელმძღვანელა. ქართულ ლაშქარს დასახმარებლად 1200 დაღესტნელი ლეკიც შეუერთდა. ვინაიდან ქართველ მოლაშქრეებთან შედარებით რუსებს სამხედრო წყობითა და იარაღით დიდი უპირატესობა ჰქონდათ, ამიტომ ბატონიშვილი ძირითადად მანევრირებდა და პარტიზანულ ბრძოლებს აწარმოებდა, თან დროს აჭიანურებდა ნაპოლეონის გამარჯვებისა და სპარსელთა დახმარების მოლოდინში. რაკი საქართველო რუსების დამარცხებას მარტო ვერ შეძლებდა, ამიტომ იგი მეომარ სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგობის საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად გამოყენებას ცდილობდა. სამწუხაროდ, როგორც ცნობილია, საერთაშორისო ვითარება აჯანყებულთა საწინააღმდეგოდ შეიცვალა. ამასთან, რუსებმა ასლანდუზთან ფასტიკად დაამარცხეს აბას მირზას ჯარები. ქართველებს გარედან დახმარების იმედი ამოეწურათ. აჯანყება განწირული ჩანდა.

21 სექტემბერს შილდასთან მოხდა დიდი ბრძოლა, მაგრამ გადამწყვეტი გამარჯვება არცერთ მხარეს არ ერგო, თუმცა სამთავრობო ჯარებმა შეძლეს გაერთიანება. მძაფრი ბრძოლები გაიმართა 13 ოქტომბერს ისევ შილდასთან, 15 ოქტომბერს – სიღნაღში, 24 ოქტომბერს – მაღაროში, 29 ოქტომბერს – ჩალაუბანში, 21 ნოემბერს – ხაშმთან. გენერალური ბრძოლა 26 ნოემბერს მანავთან გაიმართა რუსების გაერთიანებულ ჯარებთან. ლეკებისა და მერუსეთის ქართველების ღალატის წყალობით ქართველები დამარცხდნენ. ალექსანდრე

ბატონიშვილი თიანეთიდან ფშავში გადავიდა, შემდეგ ხევსურეთში. 1813 წლის მაისში გენერალმა რტიშჩევმა ოთხი მხრიდან შეუსია ლაშქარი ხევსურეთს. გადამწყვეტი ბრძოლა 3 ივნისს მოხდა. ხევსურები მამაცურად იბრძოდნენ შატილის დასაცავად, 600 ხევსურმა თავიც შესწირა სამშობლოს, მაგრამ რუსეთის არტილერიამ გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. შატილი რუსებმა მიწასთან გაასწორეს. ალექსანდრე ბატონიშვილი ამჯერადაც გაუსხლტა მტერს და დაღესტანში გადავიდა [6, გვ. 79]. აჯანყების ყველა კერა იქნა ლიკვიდირებული. რუსებმა უამრავი ქართველი გაჟლიტეს, დაპატიმრებულები კი სასტიკად დასაჯეს, მათ შორის, ორი ქალი.

ირანის, თურქეთის, აგრეთვე საფრანგეთისა და ინგლისის მცდელობებს პოლიტიკური სარგებელი ენახათ ამ აჯანყებიდან, წარმატება არ მოჰყოლია. პირიქით, 1812 წელს რუსეთი გამარჯვებული გამოვიდა არამარტო საფრანგეთთან, სპარსეთთან და თურქეთთან ომებში, არამედ გამარჯვებას მიაღწია აჯანყებულ ქართლ-კახლებთან ერთწლიან ბრძოლაშიც.

ამ აჯანყების მნიშვნელობასა და მასშტაბებზე მოწმობს ის გარემოებაც, რომ მიუხედავად რუსეთში ნაპოლეონის შეჭრისა და 1812 წლის ბოროდინოს[24] ბრძოლისა (რუსეთის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენა), კახეთის აჯანყება ვერ დაიჩრდილა და დიდი ხნის განმავლობაში რუსეთის ხელისუფლების, ამ მოვლენის თანამედროვე სამხედროების, პოლიტიკოსების, ისტორიკოსების და სხვ. განსჯის საგანი იყო. უფრო მეტიც, რუსები იმდენად უმნიშვნელოვანეს მოვლენად თვლიდნენ, რომ ამ "ერთი ციცქნა" (რუსეთის იმპერიის მასშტაბებისათვის) აჯანყების შესახებ 140 წლის შემდეგ, 1951 წელს, რუსულ ენაზე, ო. მარკოვას ავტორობით 332 გვერდიანი ფუნდამენტური შრომა[25] გამოსცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ (მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე, რუკით) [98]. ამ მოვლენას პუშკინთან და დეკაბრისტებთან დაახლოებულმა, ქართველებისადმი კეთილგანწყობილმა, ცნობილმა რუსმა მწერალმა (პროზაიკოსი, პოეტი, მთარგმნელი) ა. ა. შიშკოვმა (1799-1832) რომანიც კი მიუძღვნა "ქეთევანი, ანუ საქართველო 1812 წელს" (მისი პირველი თავები იბეჭდებოდა 1830-1831 წლებში), სამწუხაროდ იგი მოკლეს და მისი დამთავრება ვერ მოასწრო [109]. ამ დროს, ჩვენი ცნობილი სიტყვა ალექსანდრე გრიბოედოვი ქართველებისადმი არა, მაგრამ ამ

[24] სხვათა შორის, მაშინ როდესაც, აჯანყებული ქართველები ალექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით ფრანგებთან რუსების დამარცხებაზე ამყარებდნენ იმედს, რუსების მხარეს ბოროდინოს ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა ქართული წარმოშობის 13 გენერალი [90].

[25] Маркова О.П. Восстание в Кахетии, 1812 г. Издательство Академии наук СССР. М., 1951 ცხადია, მარკოვას ეს წიგნი დაწერილია საბჭოთა იდეოლოგიური სულისკვეთებით და აქვს საპროგრამო-დირექტიული ხასიათი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საბჭოთა მკვლევართათვის.

აჯანყების დროს სადამსჯელო რაზმის დაღუპული რუსი ოფიცრებისა და ჯარისკაცებისადმი დიდ კეთილგანწყობას აელენს [88]. ქართველთა ამ აჯანყებას მრაეალი რუსი და სხვა უცხოელი შეეხო, მათ შორის, ფრანგები, გერმანელები ინგლისელები [76, 77] და სხვ.

6. 1819-1820 წლების აჯანყება დასავლეთ საქართველოში (იმერეთი, რაჭა, გურია, მღელეარება სამეგრელოსა და აფხაზეთში)

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ახალ ფაზაში ეადავიდა. მასობრივი სახალხო ხასიათი მიიღო და თითქმის მთელი დასავლეთ საქართველო მოიცვა 1819 წელს იმერეთში დაწყებულმა აჯანყებამ, რომელშიც "საზოგადოების ყველა წოდება მონაწილეობდა" [85, ნაწ. 1, გვ. 548].

საოკუპაციო რეჟიმს იმერეთის მოსახლეობა ვერ ურიგდებოდა. სოლომონ მეფის მომხრე თავად-აზნაურობის ერთი ნაწილი ტყეში იყო გახიზნული და ბრძოლას განაგრძობდა. აჯანყება შორაპანში დაიწყო, გავრცელდა ქუთაისში, რაჭაც ამოძრავდა. მალე ფეხზე დადგა არა თუ მთელი იმერეთი, არამედ გურიაც.

მღელეარება დაიწყო აფხაზეთშიც, რომლის მოსახლეობაც თანაუგრძნობდა აჯანყებულებს. სოხუმის გარეუბანში რამდენიმე სახალხო კრება გაიმართა, მონაწილეთა უმრავლესობამ შექმნილი სიტუაცია ხელსაყრელად ჩათვალა და მხარი დაუჭირა ანტირუსული აჯანყების დაწყებას. რუსეთის ხელისუფლებამ გადამჭრელი ზომები მიიღო და მღელეარება დასაყისშივე ჩაახშო [80, გვ. 372-373].

იმერეთში კვლავ აღორძინდა დამოუკიდებლობის აღდგენის იმედები. მხარდაჭერას ელოდნენ ალექსანდრე ბატონიშვილისაგან. საზოგადოებრივი აზრი ორად გაიყო, ერთი ნაწილი ემხრობოდა სამეფო ტახტის ალექსანდრე ბატონიშვილისათვის გადაცემას, მეორე ნაწილი მხარს უჭერდა ივანე აბაშიძეს (სოლომონ მეორის შვილიშვილს). აჯანყებულთა ნაწილმა ივანე აბაშიძე იმერეთის მეფედ გამოაცხადა. ზაფხულისათვის აჯანყებამ მთელი რაჭა მოიცვა.

გენერალ კურნატოვსკის იმერეთში მყოფი ჯარები არასაკმარისად მიაჩნდა და საქართველოს სამოქალაქო მმართველს გენერალ ველიამინოვს მიმართავს სასწრაფო სამხედრო დახმარებისათვის აჯანყებულთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ საწყის ეტაპზე სათანადო დახმარება ვერ მიიღო, რადგან იმ პერიოდში გენერალი ერმოლოვი დაღესტნის დასაპყრობად ემობდა.

აჯანყებულებმა სურამის უღელტეხილი გაამაგრეს. მათ გზა გადაუღობეს თბილისიდან გამოგზავნილ გრენადერთა ბატალიონს და კაზაკთა პოლკს. ხელისუფლება დროის გაყვანის ტაქტიკას დაადგა, ელოდებოდა შემოდგომის დადგომას (აციებდებოდა, წვიმები გზებს გააფუჭებდა, ხეებს ფოთლები დაცვივდებოდა...). ამ დროს აჯანყებულებს მიმოსვლა, ძალთა მანევრირება, საჭიროების შემთხვევაში თავიანთი ოჯახების ტყეებში გახიზვნა გაუჭირდებოდათ და სხვ.

რუსებმა ენერგიულ ზომებს მიმართეს. იმერეთის მმართველის პოსტზე კურნატოვსკის ნაცვლად პუზირევსკი დანიშნეს. მან 1820 წელს, ქუთაისში მოტყუებით სტუმრად მიიწვია აჯანყების ჩოთავეები და დააპატიმრა, ხელიდან გაუსხლტა ივანე აბაშიძე, რომელმაც გურიას შეაფარა თავი. გურიაში ჩასული პუზირევსკი აჯანყებულებმა მოკლეს და დაამარცხეს მთავრობის ჯარები შემოქმედის ციხესთან და დაბა ჩოხატაურში. აჯანყებული გურულები შეტევაზე გადავიდნენ. მთავრის ძმის გრიგოლ დადიანის მეთაურობით აჯანყება დაიწყო სამეგრელოშიც, მაგრამ მთავარი ლევან დადიანი რუსებს დაუდგა გვერდით, დაამარცხა გრიგოლი და რუსებს ჩააბარა. 1820 წლის ზაფხულში ივანე აბაშიძე კვლავ იმერეთშია, აჯანყება აქტიურ ფაზაში გადავიდა. მთავარმართებელმა ერმოლოვმა აჯანყების ჩასახშობად გადამჭრელი ზომები მიიღო. დიდ სამხედრო ექსპედიციას, რომელსაც გენერალი ველიამინოვი მეთაურობდა, დავალება მიეცა გადასულიყო გადამწყვეტ შეტევაზე. მან გაიარა სურამის უღელტეხილი და 25 აპრილს ქუთაისი აიღო. ამ დროს რაჭაში პოლკოვნიკი გორჩაკოვი ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდა აჯანყებულებს, წვავდა და ბუგავდა დაკავებულ სოფლებს. იელისში ველიამინოვი გურიაში შეიჭრა, ბრძოლით აიღო ოზურგეთი, ნაცარტუტად აქცია ქართული სოფლები. 1820 წლის შემოდგომაზე რუსებმა შეძლეს აჯანყების კერების ჩაქრობა. დაიწყო უმკაცრესი რეპრესიები მთელ დასავლეთ საქართველოში – დაპატიმრებები და შორეული ციმბირის კატორღაში გაგზავნა.

7. აფხაზების აჯანყება რუსების წინააღმდეგ, ბრძოლები გურიაში

აფხაზების აჯანყება რუსების წინააღმდეგ 1821 და 1824 წლებში. რუსეთის მფარველობაში მიღების ქართულ ენაზე შედგენილ "სათხოვარ პუნქტებს"

აფხაზეთის სამთაეროს ტახტის მემკვიდრე გიორგი (საფარ-ბეი) შარვაშიძემ და მისმა ერთგულმა თავად-აზნაურობამ ხელი მოაწერეს ჯერ კიდევ 1808 წლის 12 აგვისტოს. ოფიციალურად აფხაზეთი რუსეთის "მფარველობის" ქვეშ ითვლება 1810 წლის 17 თებერვლიდან, როდესაც ალექსანდრე პირველმა დაამტკიცა ეს "სათხოვარი პუნქტები". გიორგი შარვაშიძე დანიშნა აფხაზეთის მემკვიდრეობითი სტატუსის მქონე მთავრად, რომელიც ამიერიდან „რუსეთის იმპერიის დაცვისა და უზენაესი მფარველობის ქვეშ" იქნებოდა. მაგრამ მისი ხელისუფლება მხოლოდ სოხუმსა და აფხაზეთის მცირე ნაწილზე ვრცელდებოდა.

1821 წლის 7 თებერვალს ლიხნში გიორგი შერვაშიძის სიკვდილის შემდეგ, აფხაზურ ელიტაში დაპირისპირება დაიწყო. 8 თებერვალს აფხაზები თავს დაესხნენ სოხუმის ციხესიმაგრის გარნიზონის რუს ჯარისკაცებს, რომლებიც ტყეში შეშის დასამზადებლად იყვნენ გამოსულები. სოხუმის გარნიზონის უფროსისა და ქალაქის კომენდანტის პ. მოგილიანსკის აზრით, მთავარი დამნაშავე და ანტირუსული გამოსვლების ხელშემწყობი იყო გარდაცვლილი მთავრის ძმა პასან-ბეი და მთავარმართებელ ერმოლოვის თანხმობით იგი დააპატიმრა. მისმა დაპატიმრებამ მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა. რუსების წინააღმდეგ აჯანყებულ აფხაზებს სათავეში ჩაუდგა თავადი ასლან-ბეი შარვაშიძე, რომელმაც ამ ამბებამდე ათიოდე წლის წინათ მამამისი ქელეშ-ბეი და საკუთარი ძმები დახოცა - პრორუსული ორიენტაციის გამო. 1821 წლის 13 ნოემბერს, მდ. კოდორის შესართავთან მომხდარ სისხლისმღვრელ ბრძოლაში რუსებმა გაიმარჯვეს, დამარცხებული ასლან-ბეი კი გაიქცა. აფხაზეთის მთავარი ხდება პეტერბურგში გაზრდილი დიმიტრი (გარდაცვლილი გიორგის ძმა).

1824 წელს აფხაზები კვლავ აჯანყდნენ რუსების წინააღმდეგ. სოფელ ლიხნში მათ ალყაში მოაქციეს აფხაზეთის მთავარი მიხეილი და რუს ჯარისკაცთა ორი ასეული. ასლან-ბეი ჯიქეთიდან დაბრუნდა სათავეში ჩაუდგა ანტირუსულ გამოსვლებს. იმერეთში დისლოცირებული რუსეთის ჯარების სარდალი, გენერალ-მაიორი პეტრე გორჩაკოვი იძულებული გახდა ბრძოლითა და სამხედრო გემების არტილერიის დახმარებით გაეკვალა გზა სოხუმისაკენ. რუსებმა ლიხნში აფხაზები დაამარცხეს. ასლან-ბეი ჯიქეთში გაიქცა, იქიდან კი — ტრაპიზონში. სახალხო შეიარაღებული დაუმორჩილებლობა აფხაზეთში კიდევ დიდხანს გრძელდებოდა [80, გვ. 374-386].

გურიის აჯანყება 1841 წელს. პირველი გამოსვლები 1841 წლის მაისის თვეში დაიწყო. მოძრაობის ცენტრი გახდა სოფელი აკეთი. აჯანყებულთა რიცხვმა მალე 7 ათასს კაცს გადააჭარბა. აჯანყებულებმა დაიკავეს სტრატეგიული პუნქტები. 7

აგვისტოს სოფელ გოგორეთთან დაამარცხეს პოლკოვნიკ ბრუსილოვის რაზმი. გადაკეტეს ქუთაისთან დამაკავშირებელი გზები. ხელისუფლება აკონტროლებდა აჯანყებულების მიერ ყოველი მხრიდან ალყაშემორტყმულ სამაზრო ცენტრს ოზურგეთს. ხელისუფლება აქტიურად მუშაობდა აჯანყებულ თავად-აზნურთა გადასაბირებლად. მალე გლეხებსა და თავად-აზნაურობის ნაწილს შორის განხეთქილებამ იჩინა თავი. ქუთაისის გუბერნატორმა აჯანყების ჩასახშობად გაგზავნა სამხედრო ნაწილები პოლკოვნიკ არღუთინსკ-დოლგორუკოვის მეთაურობით. 5 სექტემბერს გადამწყვეტ ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ. აჯანყების მოთავე 50 კაცი დააპატიმრეს და სამხედრო წესით გაასამართლეს.

მეოთხე თავი

XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის განვითარების სათავეებთან

საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები ასე თუ ისე XIX საუკუნის პირველი ნახევრის თითქმის ყველა პროგრესული მოღვაწისა და მოაზროვნის შემოქმედებაში გეხვდება. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეოლოგიისა და მოძრაობის სათავეებთან დგანან და გამორჩეული ადგილი უჭირავთ სოლომონ ლიონიძეს, ალექსანდრე ბატონიშვილსა (ალექსანდრე ერეკლეს ძე ბაგრატიონი) და სოლომონ დოდაშვილს. სწორედ მათ უკავიათ სახელებთან არის მეტ-ნაკლებად დაკავშირებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიის ჩამოყალიბება XIX საუკუნის პირველ ნახევარში.

ამ ადამიანების მოღვაწეობამ და პოლიტიკურმა იდეებმა წარუშლელი კვალი დატოვა და უდიდესი გავლენა იქონია შემდგომი თაობების ეროვნულ-განმათავისუფლებელი სულისკვეთებით ჩამოყალიბებაში.

ამ პერიოდში საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ალექსანდრე ჭავჭავაძის ცხოვრება და მოღვაწეობა. იგი ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის იდეებისა და განვითარების მაგისტრალური ხაზის გამომხატველია.

სოლომონ ლიონიძე და ალექსანდრე ბატონიშვილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შეურიგებელ-რადიკალური ფრთის მამამთავრები, იდეოლოგები არიან. ხოლო სოლომონ დოდაშვილი – პროგრესულ-დემოკრატიული ფრთის, ალექსანდრე ჭავჭავაძე კი – მერყევი კონფორმისტული მიმართულების

1. სოლომონ ლიონიძე

სოლომონ ლიონიძე (1754-1811) ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, ბრწყინვალე დიპლომატი, ანალიტიკოსი, შესანიშნავი ორგანიზატორი, მჭერმეტყველი, რუსეთის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ დაუღალავი მებრძოლი, საქართველოს

დამოუკიდებლობის თანმიმდევრული დამცველი. ს. ლიონიძე „იყო კაცი წინად მგრძნობელი. მომავლის ნათლად გამრკვევი და დამნახავი, მომავლის ცხოვრების რუკათა მხატვარი“. იგი დაბალი წოდებიდან აღზევებული ადამიანია, რომელსაც ერეკლე II-მ თავადის ტიტული უბოძა (1779 წელს ერევნის ომში გამოჩენილი გმირობისათვის).

მისი უშუალო მონაწილეობით მომზადდა, გაფორმდა და ძალაში შევიდა 1783 წლის ხელშეკრულება საქართველოსა და რუსეთს შორის. იგი ხელშეკრულების დადებიდან მალევე რწმუნდება რუსების არასაიმედოობაში. პრორუსული ორიენტაციისადმი იმედის გაცრუების შემდეგ სოლომონ ლიონიძე ანტირუსულ დასთან (სარდალ-სახლთუხუცესი დავით ორბელიანი და სხვ.) ერთად უკვე რუსეთთან კავშირის წინააღმდეგი გამოდის. მისი ინიციატივით გაფორმდა


სოლომონ ლიონიძე

”ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეფოსა ქალაქსა თფილისს”. ტრაქტატის შექმნის მიზანი იყო საქართველოს დაქსაქსული სახელმწიფო-სამთავროების შეკავშირება-შეერთება, ის უნდა გამხდარიყო მნიშვნელოვანი ნაბიჯი საქართველოს გაერთიანებისკენ. ს. ლიონიძე მთელი ცხოვრება დაუღალავად იღვწოდა დამოუკიდებელი, ერთიანი და ძლიერი საქართველოსათვის, მას ამ იდეისთვის ბოლომდე არ უღალატია და საკუთარი საოჯახო ინტერესებიც კი ანაცვალა.

ერეკლე მეორის გარდაცვალების შემდეგ (1798) ს. ლიონიძე ერთხანს ისევ აქტიურად მონაწილეობს ქართლ-კახეთის სახელმწიფო საქმეებსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი თითქმის ოცი წელი – 1801 წლამდე იყო ქართლ-კახეთის სამეფო კარის მსაჯული – მდივანბეგი (კიცე-კანცლერი).

მანიფესტის გამოქვეყნებამ რუს სარდლობასთან მისი კონფლიქტი გამოიწვია. გენერალმა ლაზარევმა იგი დააპატიმრა, მაგრამ დავით ბატონიშვილის შუამდგომლობის საფუძველზე მალე განთავისუფლდა.

1802 წლიდან ს. ლიონიძე განსაცდელში მყოფ იმერეთშია. 1803 წელს იმერეთის მეფე მას დიპლომატიური მისიით მიაელენს ალექსანდრე პირველთან. პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგ იგი გეერდიდან არ მოსცილებია სოლომონ

II-ს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში. რუსი მთავარსარდლიდან დაწყებული, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეები ცდილობდნენ (დაბეზღებით, ცილისწამებით, მოქრთამვით) მეფისათვის, როგორმე ჩამოეცილებინათ უაღრესად ნიჭიერი და შორსმჭვრეტელი დიპლომატი, რომელიც ზუსტად ერკვეოდა როგორც საერთაშორისო, ასევე საშინაო ასპარეზზე შექმნილ სიტუაციაში. ბევრს ეცადნენ ჩამოეცდოთ განხეთქილება მათ შორის ან მოესყიდათ დიდძალი საჩუქრებით, მაგრამ უშედეგოდ [42, გვ. 393].

რუსეთის იმპერიასთან უთანასწორო ბრძოლაში იმერეთის დამარცხების შემდეგ, 1810 წელს ახალციხეში მიჰყვება მეფეს, სადაც 1811 წ. დასრულდა მისი ტრაგიკული და დრამატიზმით აღსავსე ცხოვრება. სოლომონ ლიონიძეს ისევე, როგორც ქართველთა უკანასკნელ მეფეს, სოლომონ II-ს, თავისუფლება და დამოუკიდებლობა არასოდეს დაუთმიათ, რუს დამპყრობელთა მონურ სამსახურს მათ ბრძოლის ველზე დამარცხება ამჯობინეს.

2. ალექსანდრე ბატონიშვილი

ალექსანდრე ბატონიშვილი (1770-1844), აღიზარდა კათოლიკე პატრების მეთვალყურეობით. 20 წლისა უკვე აქტიური პოლიტიკური მოღვაწეა და წარმატებით ასრულებდა ერეკლე მეფის სამხედრო, პოლიტიკურ თუ სამეურნეო დავალებებს [70]. იგი ხელმძღვანელობდა აღა მაჰმად-ხანის შემოსევის დროს დანგრეული თბილისის აღდგენას. ალექსანდრე ბატონიშვილს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა 1801 წლიდან დაწყებული სიკვდილამდე არ შეუწყვეტია [43, გვ. 924]. იგი "იმ უსამართლობის წინააღმდეგ იბრძოდა, რომელიც რუსეთის მთავრობამ საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობის მოსპობით განახორციელა" [9, გვ. 460].

ალექსანდრე ბატონიშვილმა თავიდანვე შექმნა კარგად აწყობილი ფართო საკომუნიკაციო ქსელი, რომლის მეშვეობითაც[26] გაცხოველებულ მიმოწერას აწარმოებდა რუსების წინააღმდეგ კოალიციის შესაქმნელად (ასამდე წერილი მარტო რუსების დაზვერვას ჩაუვარდა ხელში). 1801 წელს იგი ჩადის იმერეთში და

[26] ეს პირველყოვლისა მოახერხა, მიუხედავად რუსეთის ხელისუფლების მიერ მიღებული უმკაცრესი ზომებისა, მაგალითად, 1806 წლის 31 დეკემბერს მთავარსარდალ გუდოვიჩის დამტკიცებული სამხედრო სასამართლოს მიერ ორ ყაბარდოელს, რომლებსაც ალექსანდრე ბატონიშვილის წერილები დაჭერდათ ყაბარდოელებთან და სხვა ხალხებთან, მიესაჯათ: 50 როზგის დარტყმა, ხელის და ფეხის ფრჩხილების დაძრობა, დადაღვა და ციმბირის მაღაროებში სამუდამო მუშაობა.

სოლომონ II-სა და ახალციხელ შერიფ ფაშასთან ერთად აწყობს იმერეთის, ირანის, ახალციხის საფაშოსა და ლეკების გაერთიანებული ძალებით რუსებთან შებრძოლების გეგმას, მაგრამ ეს მცდელობა ჩაიშალა მას შემდეგ, რაც გაურკვეველ ვითარებაში, სპარსეთის ჯარები მოულოდნელად შეჩერდა ერევნის სახანოს საზღვართან და შემდეგ უკან გაბრუნდა. 1802-1803 წლებში იგი ცდილობს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ამიერკავკასიის (ერევნის, ნახიჭევნის, განჯის) სახანოების გაერთიანებას. რუსეთ-ირანის 1804-1813 წ.წ. ომის დროს კი იგი თეიმურაზ ბატონიშვილთან ერთად იბრძოდა რუსეთის ჯარების წინააღმდეგ. 1812 წლის შემოდგომაზე ალექსანდრე ბატონიშვილი საქართველოში ჩამოვიდა და კახეთის აჯანყებას ჩაუდგა სათავეში.

აჯანყების დამარცხების შემდეგ დაღესტანშია 1818 წლამდე. იქაც განაგრძობს ენერგიულ საქმიანობას რუსეთის წინააღმდეგ კავკასიის ხალხთა გაერთიანებისთვის. მიუხედავად დაღესტნელებზე რუსეთის არნახული ზეწოლისა, იგი მათ არ გაუციათ, პირიქით უდიდესი სიყვარული მოიპოვა დაღესტნელების და მათთან კავშირი სიკვდილამდე არც გაუწყვეტია. დაღესტნელების მისადმი ერთგულება იმდენად სამაგალითო იყო, რომ მათი ურთიერთობის შესახებ ლეგენდებიც კი დადიოდა. მაგალითად, ინგლისელი უილიამ ალენი წიგნში "ქართველი ხალხის ისტორია", გადმოგვცემს ლეგენდას, რომლის მიხედვითაც შამილი თითქოს ალექსანდრეს შვილი იყო [76, გვ. 216].

გარდა ირანისა, ბატონიშვილთან კავშირი აქვს არზრუმის სერასკირს ბაბა ფაშასაც, რომელსაც 1815 წელს, სოლომონ მეორის გარდაცვალების შემდეგ, ალექსანდრე ბატონიშვილს სურდა იმერეთის ტახტი დაეკავებინა. 1819 წლიდან იგი ირანშია. მონაწილეობს რუსეთ-ირანის 1826-1828 წლების ომში. 1832 წელს ფარულმა საზოგადოებამ მას სთხოვა დაგეგმილი შეთქმულების დაწყების დროს სათავეში ჩასდგომოდა აჯანყებულთა ლაშქარს, ხოლო გამარჯვების შემდეგ ფარულ საზოგადოებაში მონარქისტებს და კონსტიტუციონ-მონარქიული ფრაქციის წევრებს გაენზრახული ჰქონდათ მისი მოწვევა საქართველოს მეფედ.

რუსეთის ხელისუფლებას ალექსანდრე ბატონიშვილი მოსვენებას არ აძლევდა და ძალიან დიდ პრობლემებს უქმნიდა. ხელისუფლება მისი გაუნებელყოფისათვის ყველა ხერხს მიმართავდა, რაც ხშირად საეჭვადასაველო ხასიათსაც კი ატარებდა[27], მაგრამ ხელისუფლება საწადელს ვერ ისრულებდა. ჯერ კიდევ, 1800 წელს, მისი უკან შემოტყუების მიზნით, რუსეთის

[27] არის დოკუმენტურ მასალაზე დაფუძნებული უამრავი ისეთი რეალური ფაქტი, რომლებიც მაღალი დონის სათავგადასავლო ფილმს დაამშვენებს. სამწუხაროა, რომ ამ ეპოქის სპეციალისტებისთვის ამ გმირის შესახებ არავინ არ დაინტერესდება...

სრულუფლებიანმა მინისტრმა კოვალენსკიმ გაქცეულ ალექსანდრე ბატონიშვილს წერილის გადასაცემად დაადგინა დეპუტაცია, რომელიც საღამოხანს დაეწია მას და, რაკი ღამე იყო, მისთვის წერილი დილით უნდა გადაეცათ, მაგრამ დილით აღმოაჩინეს, რომ არამარტო ბატონიშვილი გამქრალიყო, არამედ კოვალენსკის გამოგზავნილი დეპუტაციის ცხენებიც [82, გვ. 1159-1160]. ალექსანდრე ბატონიშვილის წინააღმდეგ რუსეთის ხელისუფლებამ უამრავი ხალხი ჩართო, დახარჯა უამრავი ფული, გამოიყენა პროვოკაციები, გარემოცვის მოსყიდვის, მოწამვლისა და მკვლელობის მცდელობები. მაგალითად, რტიშჩევი ავარელ ხანს სულტან აჰმედს ბატონიშვილის მოკვლისათვის სთავაზობს 6000 მანეთს და სხვა ჯილდოებს [84, გვ. 376]. იგი დათანხმდა და ითხოვა გაუგზავნონ "საწამლავი, რომელიც საჭმელში ან სასმელში გარევის შემთხვევაში მოკლავს ადამიანს.." [84, გვ. 376]. ამით საწადელს, რომ ვერ მიაღწია, რტიშჩევმა 20 ათასი მანეთი (იმ პერიოდში უზარმაზარი თანხა) აღუთქვა იმას, ვინც ალექსანდრე ბატონიშვილს მოკლავდა. კიდევ ერთი მაგალითი, მთავარსარდალი გუდოვიჩი სომეხ გიორგი ბასტამოვს ძალიან დიდ საზღაურს შეპირდა, თუ ის ბატონიშვილს მოიტაცებდა და ირანიდან საქართველოში გამოიყვანდა [83, გვ. 68-69].



ალექსანდრე ბატონიშვილი

ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელიც უზარმაზარი ავტორიტეტით სარგებლობდა მთელ კავკასიაში, იმდენად მოუხელთებელი იყო, რომ ხშირად რუსეთის ხელისუფლებას საგონებელში აგდებდა. [28] მაგალითად, კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების მე-6 ტომში აღწერილი ერთი ეპიზოდი ნათლად გადმოსცემს ამ ორთაბრძოლის ხასიათს. 1818 წელს მთავარმართებელმა ერმოლოვმა, რათა აღეკვეთა ყაენისტნიდან საქართველოს გაელით ბატონიშვილის ირანში გადასვლა, გაატარა უმკაცრესი ღონისძიებები, მიიღო საგანგებო ზომები: გაზარდა საგუშაგოების რიცხვი და გააძლიერა ისინი, დააწესა ოცდაოთხა თიანი

[28] რუსეთის ხელმწიფეებმა ერთადერთი – ალექსანდრე ბატონიშვილი ვერ მოიხელთეს. ოთხმის ორმოც წელიწადს ებრძოდა მათ მშფოთვარე და შეუპოვარი უფლისწული, სდიეს ძალით, ოქროთი, ორპირობით... ცოლ-შვილი მოსტაცეს და გადაუსახლეს, მაგრამ ვერ გატეხეს. ყველა ამბოხი და მეამბოხე მის იმედად იყო. http://www.fereidani.ge/131_bucha/131_bucha.html.

მორიგეობა, გამოსცა ბრძანებები სიფხიზლის გაძლიერების შესახებ და სხვ. ერთი სიტყვით, მის უკითხავად არა თუ "ტუსემეცი" ბატონიშვილი, არამედ ბუზიც ვერ გადაიფრენდა და იმპერიის საზღვრები და პრესტიჟი საიმედოდ იყო დაცული. და აი, იმავე წლის წლის 26 აგვისტოს, დღისით-მზისით, 12 შეიარაღებული ცხენოსანი ამალის თანხლებით, შეეხმიანა რა საგუშაგოზე მდგარ კაზაკებსაც, ალექსანდრე ბატონიშვილმა გადალახა ჯერ მდინარე მტკვარი, შემდეგ სახლვარი [85, გვ. 300-301]. ეს იყო რუსეთის იმპერიის ხელისუფლებისათვის წარმოუდგენელი კონფუზი.

თუ რა მნიშვნელობა ენიჭებოდა ალექსანდრე ბატონიშვილის გადაბირებას, ამას მიგვანიშნებს მასთან მიმოწერაში მყოფი უმაღლესი დონის სამხედრო და სამოქალაქო მოხელეების სიისათვის თვალის გადაველება: ლაზარევი, კოვალენსკი, კოჩუბეი, ციციანოვი, ნესვეტაევი, ტორმასოვი, კოზოდაევლევი, ნესელროდე, დელპოცო, რტიშჩევი, ერმოლოვი და სხვები,[29] ამ სიას უნდა დაემატოს თვით იმპერატორი ალექსანდრე პირველიც [84, გვ. 391]. ეს მაღალი რანგის პოლიტიკური მოხელეები პოლიტიკურ ორიენტაციას უწუნებენ ბატონიშვილს, საყვედურობდნენ, რომ იგი სპარსელთა პოლიტიკურ და სამხედრო მხარდაჭერით სარგებლობდა.

ალექსანდრე ბატონიშვილი არც სპარსოფილი იყო და არც რუსოფობი. იგი პოლიტიკოსი იყო და მის პოლიტიკურ კრედოს განაპირობებდა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის ეროვნული ინტერესები. მის საპასუხო წერილებში ჩანს, რომ იგი დარწმუნებული თავის სიმართლეში, შეურიგებელია არა რუსეთთან პოლიტიკური კავშირის არსებობისა, არამედ რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმებისა. ალექსანდრე ბატონიშვილი გაგზავნილ საპასუხო წერილებში ქართველი ხალხის ბრძოლას სამართლიანს უწოდებს. სრულიად ბუნებრივად მიაჩნია მოკავშირეები ეძებოს და ისინი გამოიყენოს ამ ბრძოლაში. ქართველები დამოუკიდებლობის აღდგენისთვის, ქართული სახელმწიფოებრიობისათვის იბრძვიან, ეს კი წმინდა საქმეა, ადამიანის საპატიო მოვალეობაა. ვინც სამშობლოსათვის თავს დადებს, მას მსხვერპლად შეეწირება, დიდების ღირსია. მებრძოლმა ქართველობამ მეთაურად მომიწია და მეც მათთან ერთად ვიბრძვი ხალხისა და სამშობლოს დასაცავად".

რუსეთის მიერ ამიერკავკასიაში პოზიციების განმტკიცების შემდეგ და შექმნილი საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე, როცა ნათელი გახდა იმ ეტაპისათვის აჯანყებებით რუსეთის დამარცხების უპერსპექტივობა, ალექსანდრე

[29] ეს წერილები გამოქვეყნებულია "კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში" (ტ.ტ. I-VI), რუსულ ენაზე.

ბატონიშვილი ირანში გადაიხვეწება. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაუღალავმა მებრძოლმა, სიცოცხლის ბოლო წლები სამშობლოსგან შორს, სიღტაკესა და მარტოობაში გაატარა, იგი თეირანში გარდაიცვალა და დასაფლავებულია სომხური ეკლესიის ეზოში.

3. სოლომონ დოდაშვილი

სოლომონ დოდაშვილი (1805-1836 წწ.). საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ამ მოძრაობის პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების იდეოლოგიის შემუშავებაში გამორჩეული ადგილი უჭირავს განმანათლებელს, ჰუმანისტს, ფილოსოფოსსა და საზოგადო მოღვაწეს, ჟურნალისტსა და პედაგოგს სოლომონ დოდაშვილს.

1820 წელს გლეხის წოდებიდან გამოსულმა მღვდლის შვილმა სიღნაღის სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა, 1822 წელს თბილისის სასულიერო სემინარია, ხოლო 1824-1827 წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ-იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. პეტერბურგში ყოფნის დროს იგი დეკაბრისტების გავლენის ქვეშ მოექცა. დაპატიმრების დროს აღმოუჩინეს კ. რილეევის "ნალივაიკო". მან მალე მოიპოვა მრავალმხრივ განათლებული მოაზროვნის, ფილოსოფიისა და იურიდიული მეცნიერების მიღწევებს დაუფლებული კვალიფიციური სპეციალისტისა და ანგარიშგასაწევი პიროვნების ავტორიტეტი. მას პეტერბურგში ბრწყინვალე სამეცნიერო კარიერას უწინასარმეტყველებდნენ. უნიჭიერეს ახალგაზრდას შეეძლო პეტერბურგში დარჩენა და პირადი კეთილდღეობის მოპოვება, მაგრამ იგი თავის მოწოდებას ხედავდა სამშობლოს სამსახურსა და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში. თავის სულიერ მამას, იონა ხელაშვილს წერდა: "...ვიკრებ სიბრძნესა მამულისათვის... უმეტესად ვიტყვი, არა თაყისა თაყისთვის მხოლოდ, გინა ბედნიერებისათვის ემუშაობ, არამედ სიყვარულისთვის მამულისა, რათა ევროპამან ოდესმე ჰცნას ივერია საშუალობითა წერილთა სარწმუნოთა" [22, გვ. 232]. ს. დოდაშვილი 1827 წელს დაბრუნდა საქართველოში, გარშემო შემოიკრიბა მოწინავე ახალგაზრდობა და ენთუზიაზმით შეუდგა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას - ეროვნულ ნიადაგზე. სისტემატურად ატარებდა საუბრებს საზოგადოებრივი ცხოვრების, მეცნიერების, ისტორიისა და ლიტერატურის აქტუალურ საკითხებზე. მასთან ჩამოყალიბდა ერთგვარი საზოგადოებრივ-



სოლომონ დოდაშვილი

პოლიტიკური აზროვნების ცენტრი, სადაც ეცნობოდნენ თავისი დროის მოწინავე იდეებს და იხილავდნენ დასავლეთ ევროპის ცივილიზაციის პრობლემებს, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ახალგაზრდობაში პატრიოტული სულისკვეთების გაღვივებას. სოლომონ დოდაშვილი, როგორც ზაქარია ჭიჭინაძე შენიშნავს: "დიდ გავლენას ახდენს იმ დროის ქართველს მოწაფეებზე. მის წრეებში დაიარებიან ნ. ბარათაშვილი, დ. ყიფიანი, გრ. ორბელიანი, ალ. ორბელიანი და ბევრიც სხვანი..." [68, გვ. 5].

ამ ახალგაზრდა კაცმა, თბილისში, თავისი მოღვაწეობის 5 წლის მანძილზე (1827-1832), ღრმა კვალი დააჩნია ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას. 1827-1832 წლებში იგი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში ასწავლის ლოგიკას, რიტორიკას, ქართულ სიტყვიერებას, გეოგრაფიას. ამავე დროს, წერს სახელმძღვანელოებს, ადგენს ლექსიკონს, წერს საჟურნალო სტატიებს. მისი ფილოსოფიური შრომებია: "ლოგიკა", "ლოგიკის მეთოდოლოგია" და "რიტორიკა". მთელი თაობა აღიზარდა მის მიერ შედგენილ და 1831 წელს გამოცემულ "შემოკლებულ ქართულ გრამატიკაზე", ხოლო მისი "მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა", რომელიც დაიბეჭდა ჟურნალში "სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი", ძველი ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციის პირველი ცდაა.

იგი მუშაობდა საგამომცემლო კომიტეტში და ხელმძღვანელობდა "ტფილისის უწყებანის" ქართულ ენაზე გამოცემას. მისი რედაქტორობით გამოდიოდა ქართული ჟურნალი "სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი", რომელშიც თანამშრომლობდნენ ალექსანდრე ჭავჭავაძე, ალექსანდრე ორბელიანი, გიორგი ერისთავი და სხვა გამოჩენილი ადამიანები. ჟურნალი, რამდენადაც ეს მოსახერხებელი იყო ნიკოლოზ I-ის დროის უმკაცრესი რეაქციის ხანაში, მიზნად ისახავდა მიღწევადი ლეგალური ფორმების ფარგლებში, აჯანყების წინ

საზოგადოებრივი აზრის შემზადებას. სოლომონ დოდაშვილი ცდილობდა ჟურნალში გაეშვა სხვა ჩვეულებრივ საჟურნალო ნეიტრალურ მასალასთან ერთად, ისეთი ნაწერებიც, რაც პატრიოტულ სულისკვეთებას გააღვივებდა.

სოლომონ დოდაშვილი შორეულ ციმბირში (ვიატკაში) გადაასახლეს. როგორც მისი მეგობარი, რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი ა. გერცენი იგონებდა: სოლომონ დოდაშვილმა "ერი აიტანა მკაცრი ჰავა და საშინელ ჭლექში ჩავარდა, მე ის ვინახულე სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე, მას სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ჰქონდა..." [87]. სოლომონ დოდაშვილი უდროოდ, 31 წლის ასაკში დაიღუპა რუსული ანექსიონისტურ-კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში ისე, რომ საშუალება არ მიეცა ბოლომდე გამოეკლინა თავისი ნიჭი და შემოქმედებითი პოტენციალი.

სამწუხაროა, რომ ეს პიროვნება არ არის დაფასებული იმ, როგორც ამას იგი იმსახურებს. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ხანმოკლე იყო მისი სიცოცხლე, მან წარუშლელი კვალი დაამჩნია ქართულ სამეცნიერო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას. მის უზარმაზარ ნიჭსა და პოტენციალზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ბატონყმური უუფლებობის გაფურჩქვნის ხანაში, მან სოფელში, გლეხის ოჯახში დაბადებულმა თავისი ცოდნით და შრომისმოყვარეობით მოიპოვა ავტორიტეტი პეტერბურგის სამეცნიერო ელიტაში და ავიდა იმ პერიოდის ქართული ინტელექტუალური აზროვნების მწვერვალზე.

XIX საუკუნეში სოლომონ დოდაშვილი საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების კონსტიტუციურ და რესპუბლიკურ საწყისებზე აგების მომხრე იყო. მან ბევრად გაუსწრო თავის თანამედროვეებს პოლიტიკურ აზროვნებაში. მისი შეხედულებები ევროპის მოწინავე პროგრესულ-დემოკრატიულ იდეებს ეფუძნება. ს. დოდაშვილი უპირველეს ამოცანად თელიდა განათლების გავრცელებასა და ეროვნული გრძნობების გაღვივებას ქართველ ერში. იგი მკაცრად აკრიტიკებდა ქართველი ხალხისათვის თავსმოხვეულ, უცხო რუსულ კანონმდებლობას და რუსულ მმართველობას. თავგამოდებით იცავდა ქართულ ადათ-წესებს. იგი იყო პიონერი იმ დიდი საქმისა, რაც ქართული ჟურნალის ფურცლებზე ჩვენი კულტურული თვითმყოფადობისა და ღირსების დაცვაში გამოიხატა.

ს. დოდაშვილი ღირსეული წინამორბედია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იმ ლაშქრობისა, რომელსაც სათავეში ილია ჭავჭავაძე ედგა. ამის დასტური ილიას სიტყვები 1876 წელს გაზეთ "დროების" ათი წლისთავზე "...დროშა კი მემკვიდრეობით გვაქვს გადმოცემული განსვენებულის დოდაეთისგან..." [12]. საქართველოს ისტორიაში იგი შევიდა, როგორც უდიდესი

პროგრესული მოღვაწე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტელექტუალური, პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების ფუძემდებელი და ქვეყნის ევროპიზაციის იდეების მატარებელი.

4. ფილადელფოს კიკნაძე

XIX საუკუნის მოაზროვნეთა შორის ყურადღებას იმსახურებს 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი იდეოლოგი, ბერი ფილადელფოს კიკნაძე (1793-1833). განსაკუთებული აღნიშვნის ღირსია მის მიერ დაწერილი ნაშრომი „სიყვარული მამულისა“. ცნობილი მკვლევარი ზურაბ კიკნაძე, თავის ანალიტიკურ სტატიაში "მამული, ენა, სარწმუნოება", [113] თვლის, რომ არა კონსპირაცია, ეს ნაშრომი გამოქვეყნების შემთხვევაში (პრესა რომ არსებულიყო) უთუოდ მოახდენდა დიდ ზეგავლენას ფართო საზოგადოების შეგნებაზე, თუმცა ის თავის ფუნქციას მაინც ასრულებდა, რადგანაც მასში გატარებულ იდეები დაბეჭდვის გარეშეც ტრიალებდა ელიტურ წრეში, რომელსაც საზოგადოებრივი აზრის შექმნა ევალებოდა.

ფილადელფოს კიკნაძემ ამ ტრაქტატში პირველმა მოგვცა მამულის ცნების მეცნიერული განსაზღვრება, რაც ამ კუთხით XIX საუკუნეში არავის უცდია – არც გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანებს, არც შემდგომ ილია ჭავჭავაძეს, რომლებიც ეხებოდნენ ამ თემას, მაგრამ იგი მათთან ემოციურ სფეროს არ გასცილებია. ფ. კიკნაძემ განსაზღვრა მამულის ცნება და ამ განსაზღვრების სინთეზში მოიყვანა მამულის კლასიკური და ის გაგება, რომელიც სამომავლოდ უნდა დამკვიდრებულიყო ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში – აღნიშნავს ზ. კიკნაძე.

ფ. კიკნაძე განსაზღვრავს რა ცნება „სამშობლოს“, მასში გამოჰყოფს სამ ძირითად შემადგენელ ნაწილს. ესენია: 1. წინაპრების მიერ დატოვებული მიწა-წყალი; 2. ერი, რომელსაც ეკუთვნით და 3. ამ ერის რჯული და ადათ-წესები. სამშობლოს სიყვარულში იგი გულისხმობს თავგანწირვასაც. ფილადელფოს კრცლად მსჯელობს იმაზე, რომ სამშობლოს სიყვარული ბუნებრივი გრძნობაა, რომელიც უანგარო უნდა იყოს, ამავე დროს მამულზე ზრუნვა ადამიანის პირად ინტერესებშიც შედის

ფილადელფოსის მიხედვით, პირველ ყოელისა, მამულის განმსაზღვრელია საერთო ნება და საერთო მიზანი: „ერთი რომელიმე საზოგადოება, შემაერთებელი ნებათა თვისთა ერთსა ზედა კეთილსა წადიერებასა, იწოდებისა ერთად მამულად". მისთვის როგორც სასულიერო პირისთვის, ჯერ არსებობს უზენაესი მამული, რომელსაც „მოუპოვებთ თავთა ჩუენთა ჭეშმარიტსა მას მამულსა ზეციურსა და ამას ზედა უმეტეს ყოველთასა შეკრულ არს კაცი ერთგულებად და რათა გეაქნდეს ჩუენ სული მარადის განმზადებულ თავდადებად მას ზედა, რათა არა მიგვიღოს ჩუენ იგი მტერმან უხილავმან ან ხილულთა ძალთამან". ფ. კიკნაძე იყენებს იმ ქრისტიანულ დებულებას, რომელსაც ეხვდებით წმიდა მამათა მამულის განსაზღვრისას: „ესე წმიდაჲ მამაჲ ჩუენი გიორგი ნათესავით ქართველი, ხოლო ვინაჲთგან ღმრთისმსახურებისა საიდუმლოსა შინა ერთი მამული პატივცემულ არს, რომელ არს სამოთხე, პირველისა მის მამისა ჩუენისა საყოფელი..." (გიორგი მცირე). ეს არის, როგორც ფილადელფოს კიკნაძე გამოთქვამს, „ჭეშმარიტი მამული იგი ზეციერი", რომელიც ყოველმა ქრისტიანმა უნდა მოუპოვოს თავის თავს. მაგრამ არსებობს „ქვეყნიერი მამული", რომელიც მიღებულია მემკვიდრეობად ქვეყნიერი მამისგან, და არსებობს მამული, რომელიც მოპოვებულია უშუალო წინაპრისგან – კერძო მამული.

ამრიგად, ადამიანი მემკვიდრეა ორი მამულისა – ზეციერისა და ქვეყნიერისა, და ქვეყნიერიც ორად განიყოფის. და არ არსებობს მათ შორის წინააღმდეგობა. მამულის ცნება იწყება ზეციური მამულიდან და მთავრდება გლეხკაცის მამულით, რომლისადმი ერთგულებაც იმავე რჯულს ეფუძნება: „გლეხნი კაცნი ერთისთვის გლახაკისა ქოხისა თვისისა და ორთათვის საჟენთა მიწათა თვისათა ესოდენსა აჩუენებენ ერთგულებასა ანუ რაჲა განიმწარონ მათ ყოველი თვისი სიცოცხლე ზრუნვისათვის მისისა..." გლეხკაცის თავისი მამულისადმი მოძრავებელი ეთოსი ამოძრავებს თავადსაც, და, საბოლოოდ, მეფეს (ბერი ფილადელფოს მონარქისტია), რომელიც „ზეციერთაგან ძალთა და სიბრძნეთა შემძლებელ არს კეთილად დაცუად საზოგადოებითისა მშვიდობისა და ბედნიერებისა ჩუენისა".

მამულის განცდის პირველი საფეხურია საკუთარი ქოხის განცდა, როგორც საყრდენი მამულის ერთგულებისა, რადგან „სიყვარული მამულის უერცელეს არს, ვიდრე სიყვარული თავისა თვისისა", ის მოიცავს და გულისხმობს საკუთარ თავს და კერძო მამულსაც. მაგრამ მამულისთვის ქოხის პატრონი მხოლოდ სწირავს თავის ქოხსაც და საკუთარ თავსაც. ყოველი დონის მამულისადმი ერთგულების ეთოსი რელიგიურია თავისი არსებით; მისი შინაარსი მხოლოდ პრალის უანგარო

გაღებაა: „ჭეშმარიტი ერთგულება მამულისა არს მხოლოდ თვინიერ ყოელისა სარგებლის მოლოდებისა შეწირვად მამულისად და საზოგადოებისადმი თვისი ყოველი სიცოცხლე“. მსხვერპლად შეწირულობა მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულისთვის იმის მიმართ, რომლის სიტყვამაც შეადგინა სიტყვა მამული. ქრისტიანობა იმ ზეციური მამის სიყვარულია, რომელიც აფუძნებს ყოველ მამობას და, ერგო, მამულს დედამიწაზე.

ფილადელფოს კიკნაძე მამულს მისდამი ადამიანის დამოკიდებულებით განსაზღვრავს: მამული ისეთი რეალობაა, რაც ადამიანისგან მსხვერპლს მოითხოვს. და ბოლოს, მოეუსმინოთ ისევ მას: „ერთგულება მამულისა არს სიყვარულისა მიერ მისისა მარადის ტყვე-ყოფაჲ გულისა კაცისა. რათამცა კაცი რაცხდეს მარადის თავსა თვისსა საკმეველად, დასაწველად ცეცხლსა შედა სიყვარულისასა...“ თუ ვინმეს მამული შვილთაგან ეს რელიგიური ეთოსი ამოძრავებდა XIX ს-ში, ეს ილია ჭავჭავაძე იყო თავისი „პოეტის“ პროგრამული სიტყვებით: „დიდის ღმერთის საკურთხეველის მისთვის ღვიის ცეცხლი გულში...“.

„სიყვარული მამულისა“ დაუმთავრებელია, მაგრამ მაინც სრულად წარმოგვისახავს ავტორის ჩანაფიქრებს სამშობლოს წინაშე ადამიანის მოვალეობის შესახებ.

ფილადელფოსის აზრით, სამშობლოს სიყვარული საჭიროა განსაკუთრებით ახლა, როცა დამპყრობლებმა საქართველო თითქმის დაღუპვის პირას მიიყვანეს.

ფილადელფოსი უაღრესად განათლებული კაცი გახლდათ. გარდა თხზულებისა - „სიყვარული მამულისა“, დაწერილი ჰქონდა უამრავი ნაშრომი, რომელთაგან ძალიან ცოტამ მოაღწია ჩვენამდე. ესენია: „აკტი გონიური“, ლირიკული ლექსები და სხვ. მაგალითად, „გოდებანი“ ეძღვნება თანამედროვე იბერიას. ნაწარმოების ძირითადი მოტივია ურვა და გლოვა რუსი დამპყრობლების ძალმომრეობის შედეგად შექმნილი სამშობლოს მძიმე მდგომარეობის გამო.

ამ პიროვნების განსწვლულობისა და მრავალმხრივი ნიჭის შესახებ ჟურნალ ცისკარში, 1861 წელს წერდა მკვლევარი საუკუნის ცნობილი საზოგადო მოღვაწე იაკობ კერესელიძე: იგი ყოფილა “საკვირველი ნიჭიერი, მოლექსე და ხელოვანი, ასე, რომ, რას არ მოიგონებდა მექანიკურს და რას არ გააკეთებდა. მე ვნახე იმისგან მარმარილოს ქვაზე მოჭრილი მზის საათი ქართულის რიცხვებით...”. იაკობ კერესელიძეს კახეთში მოგზაურობისას უნახავს თურდოს ხეობის პირას შიო მღვიმის სახელობის ეკლესია და მის კედელზე მამა ფილადელფოსის წარწერა: „ საქართველომ სთქუა მეც ვიყავ, დრო მჭონდა კეთილმყოფელი ვადიდნე ჩემნი მოსაენი, ეტანჯნი უარისმყოველი ვყვაოდი სამოთხის გვარად, არ ვიყავ

გასაყოფელი (და) ეინც ახლა ნახოთ, გასინჯეთ რა ამაოა სოფელი! ნეტაი დროსა რომელსა იყავ შენ აღშენებული აღვსილი მადლის წყაროთი და სიბრძნით განათლებული შემკული ყოელის წესითა და ესრეთ გაბრწყინებული ეინ არ გიტიროს, რა განახოს აწ ასე გაცუდებული!..." საქართველოს გავერანებული ეკლესია-მონასტრების შემყურე იგი ასე განიცდიდა არსებულ მდგომარეობას.

უნდა აღინიშნოს ფილადელფოსის სამასწაელებლო საქმიანობაც. როგორც ჩანს, ბერი კარგ პედაგოგად და აღმზრდელად ითელებოდა, რადგან ბევრი დიდგვაროვანი სთხოვდა და აბარებდა შეილს აღსაზრდელად. მაგალითად, მწერალი რ. ერისთაეი გაიზარდა ფილადელფოსის ხელში და როგორც თეითონ აღნიშნაეს, ბერმა მას ბევრი ასწაელა რელიგიის და საერთოდ ცხოვრების შესახებ.

ცნობილია, რომ 1828 წელს საქართველოში დაბრუნების შემდეგ ფილადელფოსი აქტიურად ჩაება შეთქმულების საქმიანობაში. მან შეადგინა შეთქმულების წესდება. წესდებას ერქეა „აკტი გონიური", რომელსაც საფუძელად დაედო მის მიერვე შედგენილი ფიცი. შეთქმულთა მიმოწერისათეის შექმნა საიდუმლო ანბანი. „აკტში" ფილადელფოსი ითუწოდებდა შეთქმულებს, ყოფილ ყენენ ზნეობრივნი, პატიოსანნი, სამართლიანნი, ჰყვარებოდათ ერთმანეთი, რადგან მტკიცედ სწამდა, რომ „სადაც არს სიყვარული, მუნ აღსპობილ არს ყოველი ეე ბოროტი".

საინტერესოა მის მიერ დაწერილი პროკლამაცია: ეხლა, მანამ რუსებს საქართველოში ჯერ ფეხი არა აქეთ გამაგრებული, ეხლა უნდა დაეესხათ თავს და გავრეკოთ აქედამ, თორემ თუ ამათ აქ ფეხი გაიმაგრეს, მაშინ მათი გაძეებება ჩვენი მომავალი თაობისთეის ძნელი იქნება. ამიტომ ჩვენც გასაკიცხნი ეიქნებით მათგან. ეხლა უნდა გათავდეს საქმე და ესენი უნდა გაძეებულ იქნენ აუცილებლად საქართველოდან.

შეთქმულების გაცემის შემდეგ იგიც დაიჭირეს. ფილადელფოსი შუამთის მონასტერში მოღვაწეობდა. ბარონმა როზენმა გენერალ რუეტს უბრძანა, მონასტრის ყველა კუთხე-კუნჭული გაეჩხრიკათ, ხოლო ფილადელფოს კიკნაძე თბილისში ჩამოეყვანათ. როგორც ქვათახევის მონასტრის ერთ-ერთი ბერი მოგვითხრობს, გაზაეხულზე 60 ყაზახი და 120 სალდათი შემოეერტყა შუამთის ტაძრის გალავანს. სამხედრო ნაწილებს თან ახლდა საქართველოს ეგზარქოსი მოსე. საქართველოს სიყვარულისათეის ფილადელფოს კიკნაძეს ამ ერთმორწმუნე ეგზარქოსმა ჯვარი ააგლიჯა, მაგრამ ფილადელფოსმა ჯვარი უკან გამოსტაცა. მაშინ იგი მაგრად შებოჭეს თოკით, ბორკილები გაუყარეს, წელსა და ყელზე

თოკი გამოაბეს, თოკის ბოლო ცხენზე მჯდარ ყაზახს მისცეს და ასე გაუყენეს თბილისის გზას შუამთიდან. იგი დიდხანს მოჰყავდათ ქვეითად, თან შეიარაღებული ყაზახები მოსდევდნენ. თბილისში ჯერ ავლაბრის ყაზარმაში მოათავსეს. თუმცა საშინელი ნაცემ-ნაგვემი იყო, შეთქმულების აქ მყოფი ყველა მონაწილე მოინახულა, დაარიგა, როგორ ელაპარაკათ. ეს რომ გაიგეს, სასწრაფოდ სხვაგან გადაიყვანეს. ფილადელფოსი საპატიმროში უაღრესად მძიმე პირობებში ჰყავდათ. მაგრამ მან ბოლომდე გაუძლო ტანჯვა-წამებას და თავისი პრინციპებისთვის არ უღალატია. რვა თვის პატიმრობის შემდეგ, 40 წლის ასაკში, იგი სატუსაღოში გარდაიცვალა 1833 წლის 5 სექტემბერს.

5. ალექსანდრე ჭავჭავაძე

რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, პოეზიაში ქართული რომანტიზმის მამამთავარი, პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე (1786-1846), პირველ ყოელისა, ჩვენთვის საინტერესოა, როგორც ავტორი შრომისა "საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-დან 1831 წლამდე". ამ შრომას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ალექსანდრე ჭავჭავაძის საერთო პოლიტიკური მსოფლმხედველობისა და მისი პოზიციის გარკვევისათვის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, არამედ XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული პოლიტიკური აზრის შესწავლისთვისაც.

1804 წ. 14 სექტემბერს თავისუფლების სულით გამსჭვალული 18 წლის ჭაბუკი პოეტი მთიელ აჯანყებულებს შეუერთდა. რუსეთის ჯარების აჯანყება სწრაფად ჩაახშეს და მისი მეთაურები სასტიკად დასაჯეს. ალ. ჭავჭავაძე თბილისის საპყრობილეში მოათავსეს; 1805 წლის 11 ნოემბერს იგი ტამბოვში გადაასახლეს 3 წლით. 1806 წელს ა. ჭავჭავაძე მამამისის, გარსევან ჭავჭავაძის ძალისხმევის შედეგად გაანთავისუფლეს. 1811 წ. გენერალ-ლეიტენანტ მარკოზ პაულიჩის ადიუტანტი, რომლის ბრძანებით 1812 წ. თებერვალში მას გზავნიან კახეთში – სიღნაღის და თელავის მაზრებში კახეთის გლეხთა აჯანყების ჩამხშობ ექსპედიციაში, სადაც დაიჭრება. 1813 წ. 21 სექტემბრიდან 1814 წ. 6 იანვრისამდე ალ. ჭავჭავაძე მონაწილეობს რუსეთის სამამულო ომში. იგი ახლდა მთავარსარდალ ბარკლაი დე ტოლის. ბრძოლებში წარჩინებისათვის, რუსეთის არმიის პარიზში შესვლამდე, ალ. ჭავჭავაძე ბევრ მაღალ ჯილდოს იმსახურებს: წმ. ანას ორდენს II ხარისხის ნიშნით, ოქროს ხმალს წარწერით

გულადობისათვის და სხვ. მისი უმაღლესი ჯილდო იყო საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენი. სტუმართმოყვარეობით განთქმული ალ. ჭავჭავაძის ოჯახი მაშინდელი საქართველოს მოწინაეე ასრისა და კულტურის ერთ-ერთი მთავარი კერაც იყო. რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ბევრი გამოჩენილი მოღვაწე, ვისაც კი საქართველოში ყოფნა უხდებოდა, უპირველეს ყოელისა, ალ. ჭავჭავაძის სახლში ეცნობოდა ქართველი ერის ისტორიასა და მწერლობას. 1827-1828 წლებში ალ. ჭავჭავაძემ თაეი გამოიჩინა რუსეთ-სპარსეთის ომში. 1827 წ. ოქტომბერში მან თაერიზი აიღო. 1828 წ. თებერვალში ალ. ჭავჭავაძეს ნიშნავენ სომხეთის ოლქის უფროსად. 1829 წელს ალ. ჭავჭავაძეს კახეთის სამხედრო სასაზღვრო დაცეის უფროსის პოსტი უჭირავს; 1830 წ. ხეესურთა საჩიერების კომისიას თავმჯდომარეობს. 1832 წლის შეთქმულების გამოაშკარავების შემდეგ მას 4 წლით ტამბოეში გადასახლება მიუსაჯეს, თუმცა მალე გაათაეისუფლეს "წარსულში დამსახურებისთეის". 1838 წლის 4 აპრილს იგი ამიერკაეკასიის მთავარმმართველობის წევრად დაინიშნა. 1842 წ. 23 დეკემბრიდან 1843 წ. 13 მარტამდე ალ. ჭავჭავაძე ამიერკავკასიის მხარის სამოქალაქო სამმართველოს უფროსის მოვალეობას ასრულებს და სხვ.


ალექსანდრე ჭავჭავაძე

ალ. ჭავჭავაძის ამ მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცეეს მისი მონაწილება 1804 წლის მთიანეთის აჯანყებასა და 1832 წლის შეთქმულებაში.

"საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-დან 1831 წლამდე" წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს, მოხსენებით ბარათს, რომელიც ალექსანდრე ჭავჭავაძემ 1837 წელს წარუდგინა რუსეთის მეფეს ნიკოლოზ პირველს. თეითონ შრომის შინაარსიდან ირკვეეა თუ რამ განაპირობა მისი შექმნა. ამ პრობლემის განხილეაზე ყურადღება გაამახეილა მკვლევარმა ლ. ებანოიძემ [22].

ევროპაში მომხდარმა ამბებმა და აგრეთეე წარმატებულმა ომებმა სპარსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ თითმპყრობელური რუსეთი იმდენად გააძლიერეს, რომ 1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ ახლო

მომავალში საქართველოს განთავისუფლებაზე და მისი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენაზე ფიქრი ფუჭ ოცნებად ეჩვენებოდა ალექსანდრე ჭავჭავაძეს, რომელიც ჯერ კიდევ 1832 წელს მიუთითებდა თავის თანამოაზრეებს ფარული საზოგადოებიდან, რომ ეს საკითხი (საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის) 80 წლით მაინც გადაიდო. ასეთი სათანადო დასკვნების გაკეთების შემდეგ გადაწყვიტა წამოეყენებინა ახალ ვითარებასთან შეფარდებული საქართველოს განვითარების ახალი გეგმა. აღნიშნული შრომა წარმოადგენს ასეთი გეგმის შედგენის პირველ სერიოზულ ცდას, რომელიც მიზნად ისახავს ამცნოს მთავრობას, თუ როგორი მიმართულებით არის სასურველი წარიმართოს საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარება.

ალ. ჭავჭავაძე დიპლომატიური ტაქტით წერს: არაჩვეულებრივმა პოლიტიკურმა ამბებმა, ევროპა რომ შესძრა, აგრეთვე ამ შეძვრის დიადმა შედეგებმა რუსეთს საშუალება და დრო აღარ დაურჩინა ამიერკავკასიის თავის შენაძენისათვის შესაფერისი ყურადღება მიექცია. ახლა კი, რუსეთის მპყრობელობა ამიერკავკასიაში განმტკიცებულია გარკვეულ საზღვრებში, როდესაც იგი ასე ძლევამოსილია იქ, უკვე აღარაფერი ეღობება წინ იმას, რომ თავისი განმანათლებელი მოღვაწეობა მიჰმართოს სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის გასაუმჯობესებლად იმ დალოცვილ ქვეყანაში, სადაც ადამიანის შრომა უხვად ჯილდოვდება მიწათმოქმედების ახლანდელი მდგომარეობის დროსაც კი. რა იქნებოდა გაშინ, მას რომ მიეღწია იმ გაუმჯობესების ხარისხამდე, ახლა ზოგადი მოვლენა რომ არის არა მარტო ევროპიელთა შორის, არამედ ახალი მატერიკის შორეულ ადგილებშიაც კიო. [30]

ამისათვის ალ. ჭავჭავაძეს საჭიროდ მიაჩნია მთავრობამ, პირველყოვლისა, შეიმუშავოს მხარის მმართველობის მყარი სისტემა, რომელიც არ უნდა იცვლებოდეს ყოველი ახალი მმართველის კაპრიზების მიხედვით. იგი იმედს გამოთქვამს, რომ ქვეყნისა და ხალხის ცხოვრების პირობების გათვალისწინებით რუსეთის მთავრობა შეიმუშავებს სამუდამო სისტემას ადგილობრივი მთავრობისადმი სახელმძღვანელოდ, გამოარკვევს იმ თვალსაზრისს, თუ როგორი მუდმივი წესი ჰქონდეს ამ ქვეყნის მმართველობის საქმეშიო.

ჩვენი ქვეყნის არაკეთილმოსურნე მთავრობის მოხელეები პროვოკაციულ ხმებს აერცელებდნენ კავკასიელი ხალხის სიზარმაცის შესახებ და მხარის კოლონიზაციას, აქ უცხოტომელთა ჩამოსახლებას მოითხოვდნენო. ალექსანდრე

[30] ამ შრომის სრული თარგმანი დაბეჭდილია: ალექსანდრე ჭავჭავაძის თხზულებანი. ი. გრიშაშვილის რედაქციით, 1940.

ჭავჭავაძე მთელი შესაძლებლობით ებრძვის რუსეთის დიდმპყრობელურ-შოვინისტურ, კოლონიზატორულ პოლიტიკას. აბორიგენთა სიზარმაცის შესახებ ჭორებს არგუმენტირებულად რომ აქარწყლებს, იგი საქართველოში კოლონისტთა ჩამოსახლების წინააღდეგ გამოდის და ასაბუთებს სოფლის მეურნეობის განვითარებაში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვის ეფექტურობას.

ალ. ჭავჭავაძე უდიდესი პატრიოტული მგზნებარებით უხატავს ნიკოლოზ პირველს ქართველი ხალხის ჭეშმარიტად გმირულ ბრძოლებს თავისი თვითმყოფადობის, თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. ქართველობამ შეინარჩუნა სარწმუნოება, მებრძოლი სული, სიყვარული სამშობლოსადმი, მაგრამ მთელი სოფლები, თავადთა ციხე-კოშკები, ოდესღაც მრეწველობით აყვავებული ქალაქები გაქრა, მაგრამ მათი ნანგრევები დღესაც კვებავს ქართველობის სიამაყის გრძნობას. სამწუხაროდ, აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრებამ საქართველოს ბედი გადაწყვიტა. საქართველო რუსეთს შეუერთდა, დამოუკიდებლობის დაკარგვის საკომპენსაციოდ ქვეყანა ბევრ რამეს მოელოდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა, მწუხარებით აღნიშნავს ალ. ჭავჭავაძე, იმის გამო, რომ მმართველობის ადგილობრივი აპარატი უეარგისი აღმოჩნდაო. იგი აგვიწერს ქართველი ხალხის კოლონიური დაბეგვრისა და შეევიწროების საშინელ სურათს. ხალხი ერთხანს ითმენდა, მაგრამ როცა მოთმინების ფიალა აივსო, ხალხმა იარაღს მოჰკიდა ხელი და აჯანყდა. ჭავჭავაძე უკუაგდებს მთავრობის პროვოკაციას - ხალხის აჯანყება მის "დაუდგრომელ ხასიათს" მიაწერონ და გადაჭრით ნიუთითებს, რომ მისი ერთადერთი მიზეზი ხალხის უმაგალითო შეწუხება იყო.

ალექსანდრე ჭავჭავაძე ფართოდ აშუქებს 1812 წლის კახეთის აჯანყების მიმდინარეობას და მისი მთელი სიმპათიები აჯანყებული ხალხის მხარეზეა, მიუხედავად იმისა, რომ იგი აჯანყებულთა ტყვეით დაიჭრა. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჭავჭავაძე თავისი მრწამსით აჯანყებულ ხალხთან არის და მხოლოდ მდგომარეობა აიძულებდა 1812 წელს ემოქმედა თავისი ნება-სურვილის წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველ ხალხს კოლონიური რეჟიმის გამო აუარებელი უბედურება დაატყდა თავს, რუსეთზე ორიენტაცია არ შეუცვლიაო, - უმტკიცებს რუსეთის მეფეს ალექსანდრე ჭავჭავაძე. აქედან გამომდინარე, აღნიშნავს იგი, მთავრობამ ყური არ უნდა დაუგდოს ბოროტგამზრახველებს, რომელნიც საქართველოში კიდევ უფრო მკაცრი კოლონიური რეჟიმის დანერგვას მოითხოვენ, მთავრობის ამოცანაა ხელი შეუწყოს საქართველოში ისეთი

მმართველობის დამყარებას, რომელიც ხალხს სამეურნეო და კულტურული განვითარების საშუალებას მისცემსო.

ალექსანდრე ჭავჭავაძე სერიოზულ ყურადღებას უთმობს მშობლიური ენის მნიშვნელობას სასამართლო და ადმინისტრაციულ დაწესებულებებში. იგი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ხალხის უკმაყოფილებას იწვევდა არა მარტო ბიუროკრატიზმი და წლობით გაჭიანურებული სასამართლო პროცესები, არამედ ისიც, რომ მოსამართლესა და მთავრობის სხვა მოხელეებს ქართული ენა არ ესმოდათ.

ასეთია მოკლედ "ნარკვევში" ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ გამოთქმული შეხედულებანი საქართველოში სოციალური და ერ-ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხებზე.

მეხუთე თავი
1832 წლის შეთქმულება

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ძირითად მიმდინარეობათა გასარკვევად, არსებითად, აუცილებელია 1832 წლის შეთქმულების პოლიტიკური შინარსიისა და მიმართულებათა დადგენა. რადგანაც ამ შეთქმულების სოციალურ-პოლიტიკური დედაარსი განსაზღვრავდა მაშინდელი ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის განვითარებას. ჩვენი ისტორიის ამ უმნიშველოვანეს მოვლენაში ავად თუ კარგად, მეტ-ნაკლებად, გარეული იყო მთელი მაშინდელი ინტელექტუალური ელიტა, ნაღები, ჯანსაღად მოაზროვნე ქარ[illegible]ული საზოგადოება.

ეს შეთქმულება მომზადდა ადგილობრივ ნიადაგზე და გაძლიერდა დასავლეთ ევროპის 20-იანი წლების რევოლუციების (საფრანგეთში მონარქიზმის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა, ბელგიაში რევოლუციური აღმავლობის პერიოდი და სხვ.), დეკაბრისტთა გამოსვლისა და რუსეთის წინააღმდეგ პოლონეთის 1830 წლის აჯანყების გავლენით.

1. ფარული საზოგადოების ჩამოყალიბება

XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში რუსეთის ხელისუფლების მიერ სისხლში იქნა ჩახშობილი ყველა აჯანყება, რომლებიც ქართველებმა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღსადგენად მოამზადეს. ქართველი საზოგადოების ღირსეული წარმომადგენლები, ამ ფაქტმა ჩააფიქრა, შეეგნოთ მდგომარეობა მათ ბრძოლის გზებსა და მეთოდებში ცვლილებების შეტანისკენ უბიძგებდა. ასეთ ვითარებაში გაჩნდა შეთქმულების გზით მიზნის მიღწევის იდეა.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ შეთქმულების ორგანიზატორები (დიმიტრი და ოქროპირ ბატონიშვილები, სოლომონ დოდაშვილი, დიმიტრი ერისთავი და სხვ.) ყურადღებას ამახვილებდნენ რუსეთის მიერ საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევის ფაქტზე, როდესაც მან გააუქმა 1783 წლის ტრაქტატი, თვითნებურად მოსპო ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო. ამიტომ, მათი აზრით, <u>ეს შეთქმულება სამართლიანი იქნებოდა არა მარტო მორალური, არამედ საერთაშორისო იურიდიულ-სამართლებრივი თვალსაზრისითაც</u>.

ფარული საზოგადოების ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე (შემდგომში გამოძიების მიერ მეოთხე კატეგორიის „დამნაშაედ“ აღიარებული) ფილადელფოს კიკნაძე (1793-1833) ცდილობდა ეპოვა პასუხი ქართველთა წინაშე წამოჭრილ საჭირბოროტო კითხვაზე. -„როგორ შეუძლია საქართველოს დაპყრობად თავისა თვისისა?“ [43, გვ. 939], ანუ „თავისა თვისისა“ პყრობა, დამოუკიდებელი არსებობა. ფ. კიკნაძის ამ სიტყვების („თავისა თვისისა“) შორეულ ექოს მიაგაედა ილიას მიერ XIX საუკუნის 60-იან წლებში მოხევის პირით წამოყენებული ლოზუნგი – „ჩვენი თავი ჩვენადმე გეეყუდნეს“.

ქართველმა პატრიოტებმა შეიმუშაევს თავიანთი ეროვნული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი, რაც სათაევს იღებდა როგორც ქართული სინამდვილიდან, ისე ეეროპის განმათავისუფლებელი იდეებიდან. ისინი კარგად იცნობდნენ პოლონელ პატრიოტებს, ფრანგ განმანათლებლებს: ეოლტერს, რუსოს, მაბლის, მონტესკიესა და სხვებს. იმდენად დიდი იყო იდეური ნათესაობა, რომ დიმიტრი ბატონიშვილს ქართველ ვოლტერს უწოდებდნენ. ეოლტერი ჭაშინდელ პროგრესულ მსოფლიოში აღიარებული იყო კულტურის მოღვაწის, ვილოსოფიური აზრის მწვერვალად, მხატვრული გემოვნების სრულყოფად და დრომოჭმული სახელმწიფოებრივი წყობილებისადმი პროტესტის განსახიერებად. ს. დოდაშვილს კი ჟან-ჟაკ რუსოს ადარებდნენ. ალ. ჩოლოყაშვილი (1803-1833) ა.დოდაშვილს სწერდა: „რუსსო და შენ გამონაკლისი ხართ“. „ნასწავლი ვმაწვილები მოვიდნენ პეტერბურგიდან და საერთო შეთქმას შეუდნენ ქართველები“ [15, გე. 128], ეს „ყმაწვილი კაცები და მე ამ საქმისთვის.... ვაერთიანდით“ [15, გვ. 121], წერდა თავის მოგონებაში ალექსანდრე ორბელიანი (1802-1869).

ქართველი საზოგადოების დაინტერესება ფრანგი განმანათლებლებით იმითაც იყო გამოწვეული, რომ ეს უკანასკნელნი ეროვნულ საკითხს ახლებურად უყურებდნენ. მაგალითად, რუსო ასაბუთებდა ერთა თანასწორუფლებიანობას, ითხოვდა ყველა ერის სუვერენიტეტის დაცვას, ერთა კულტურულ თანამშრომლობას და საყოველთაო მშვიდობის დამყარებას. ეს ყველაფერი კი პირდაპირ ესმაურებოდა შეთქმულთა მიზნებსა და ამოცანებს.

ფარული საზოგადოების პირველი წრე ჩამოყალიბდა პეტერბურგში 1825 წელს, სადაც შეთქმულთა მსჯელობის მთავარი თემა იყო დამოუკიდებლობა დაკარგული საქართველო, მისი წარსული, აწმყო და მომავალი. ფარული საზოგადოების წევრებმა ფართო საგანმანათლებლო მუშაობა გააჩაღეს. ეცნობოდნენ მსოფლიო ისტორიას, ეეროპის სახელმწიფო მმართველობის

ფორმებს, დასაელეთ ევროპის პოლიტიკურ მდგომარეობას, აწყობდნენ საქართველოს განთავისუფლების გეგმებს და იმედის თვალით შესცქეროდნენ საქართველოს პერსპექტივას. საზრუნავიც ბევრი ჰქონდათ: პატრიოტების ფართო წრეების ჩაბმა დაწყებულ მოძრაობაში, განათლების გავრცელება, ფარული უჯრედების შექმნა, მეზობელ სახელმწიფოებში საჭირო ურთიერთობების აწყობა და სხვ. [43, გვ. 941].

ფარული ორგანიზაციის პეტერბურგის უჯრედის ხელმძღვანელი იყო დიმიტრი (იულონის ძე) ბატონიშვილი (1803-1845), რომლის მებრძოლ სულისკვეთებას შეთქმულები ერთხმად ადასტურებენ (შემდგომში საგამოძიებო კომისიამ იგი პირველი კატეგორიის „დამნაშავედ“ ცნო) [15, გვ. 16]. ფარული ორგანიზაციის წევრები პეტერბურგში მასთან იკრიბებოდნენ. იგი უაღრესად განათლებული და დიდად პატივსაცემი პიროვნება იყო. ფარული ორგანიზაციის წევრებიდან სოლომონ რაზმაძე (1797–1860) დაინტერესებული იყო პოლონური საზოგადოებრივი აზრის შესწავლით, ზოგადი ისტორიის პრობლემებით (თარგმანა სამ წიგნად „უნივერსალური ისტორიის პირველი საფუძვლები“) ალექსანდრე ჩოლოყაშვილი განსწავლული იყო ფილოსოფიაში, კარგად ფლობდა ევროპულ ენებს. ელიზბარ ერისთავი (1808-1871) წარმატებით ეუფლებოდა სამხედრო განათლებას და სხვ. მესამე კატეგორიის „დამნაშავე“ გიორგი ერისთავი (1813-1864) აღნიშნავს: „კვირა-უქმე დღეებში დიმიტრი ბატონიშვილთან თავს იყრიდნენ ახალგაზრდა ქართველები. აქ იმართებოდა მსჯელობა საქართველოზე, - შეუძლია თუ არა მას იყოს დამოუკიდებელი, - ხალხის უფლებებზე, ბატონების მიერ გლეხთა შეიწროვებაზე და იმ საშუალებებზე, რომლითაც საქართველოს განთავისუფლება იქნებოდა შესაძლებელი, ამისთვის საუკეთესო საშუალებად ბატონიშვილი განათლებას აღიარებდა, ხოლო საჭირო შემთხვევაში უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობას აპირებდა, აქებდა ფრანგებს, როგორც თავისუფლების დამცველთ“ [15, გვ. 16-17].

1826 წელს უკვე მოსკოვშიც ჩამოყალიბდა ფარული საზოგადოების კიდევ ერთი უჯრედი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ოქროპირ (გიორგის ძე) ბატონიშვილი (1794-1857). იგი შემდგომში საგამოძიებო კომისიამ პირველი კატეგორიის „დამნაშავედ“ ცნო. მოსკოელი შეთქმულთა ჯგუფი შემდეგ ამოცანებს აყენებდა: სამშობლოს ადმი სიყვარულის გაძლიერებას მოწაფეებსა და საერთოდ, ახალგაზრდობაში და ამ გზით ჩაბმას თავისუფლების მომხრეთა ბანაკში, ქართული რეგულარული არმიის შექმნისათვის მზადებას, სახელმწიფოებრივი წყობილების საკითხებზე მუშაობას (შეთქმულთა მსჯელობიდან ჩანდა, რომ ისინი

უპირატესობას აძლევდნენ მაშინდელი საფრანგეთის სახელმწიფოებრიე წყობილებას) [43, გვ. 942].

ფარული ორგანიზაციის პირველად უჯრედებს შორის ყველაზე ძლიერი და მრავალრიცხოვანი თბილისის ორგანიზაცია იყო. თანდათანობით ფარული ორგანიზაციის ცენტრმა თბილისში გადმოინაცვლა. 1827 წელს პეტერბურგიდან თბილისში ჩამოდის ს. დოდაშვილი, 1829 წელს ჩამოდის თამარ ბატონიშვილიც (1791-1857), რომელიც შემდეგში ფარულ საზოგადოებაში ერთ-ერთ წამყვან როლს ასრულებს. თბილისშივეა იმ დროს ფ. კიკნაძე. მოსკოვიდან ჩამოდის ოქროპირ ბატონიშვილიც, რომელმაც გააძლიერა ორგანიზაციული მუშაობა, თაეი მოუყარა აქტივს, შეისწავლა ადგილობრივი პირობები.

1830 წელს პოლონეთში დაწყებულმა აჯანყებამ სტიმული მისცა და კიდევ უფრო გაფართოვდა ფარული ორგანიზაციის რიგები. შეთქმულები თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში საქმიანობდნენ. მათი მიმდევრები იყვნენ ქართლში, კახეთსა თუ იმერეთში. ეროვნულ მოძრაობას თანაუგრძნობდა სამეგრელოს მთავრის მემკვიდრე დავით დადიანი. აფხაზეთის მთავრის საფარ-ბეი შერვაშიძის მემკვიდრე კონსტანტინე შერვაშიძე (1812-1883) აღტაცებული ყოფილა ყველაფერ იმით, რაც მან შეთქმულების შესახებ იცოდა და ფარულ საზოგადოებას დიდ დახმარებას ჰპირდებოდა (შემდგომში საგამოძიებო კომისიამ იგი მერვე კატეგორიის „დამნაშავედ“ ცნო). ალ. ორბელიანის ცნობით, იგი ელაპარაკა "დრაგუნთა პოლკის პროპორშიკ შერვაშიძეს", რომელმაც თურმე განაცხადა "ოღონდ ეს აღსრულდეს და" ჩემი სამფლობელოდან 2000 კაცს გამოვიყვანო [43, გვ. 944].

შეთქმულების იდეური მომზადების პერიოდში დაიწერა ს. რაზმაძის ლექსი-არაკი "დათვი და ცხვარი", რომელშიც ალეგორიული ფორმით იყო გადმოცემული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა 1800-1802 წლებში [15, გვ. 98-101]. შეთქმულთა სულისკვეთებას კარგად გადმოსცემს გრ. ორბელიანის მიერ რილეევის "ნალივაიკოს აღსარების" მიბაძვით დაწერილი ლექსი "აღსარება". სამშობლოს ტყვექმნილსა და დამონებულს რომ ხედავს, პოეტი ჯოჯოხეთურ ტანჯვას განიცდის, როცა მას თავისუფალს ახილავს, სასუფეველში შეეა. სამარცხვინო ტყვეობას სიკვდილი სჯობია. ამიტომაა, რომ პოეტი თავისუფლებაზე ოცნებობს [40]. გრიგოლ ორბელიანის "იალბუზის", "მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურღამდის" და იმ პერიოდში დაწერილი სხვა ქმნილებები სამშობლოს თავისუფლების, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის პიმნია. მისი სულისკვეთების გამომხატველია სიტყვები 1832 წელს დაწერილი ლექსიდან "ჰე,

იერიაე": შორით მოსული ჩემს მამულში მყვედრის ცხოერებას, მოყერულად გემტერობს, გეტაცებს ყოველს, გვიქმს ალერსობას". ასეთ ნაწარმოებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული იდეების პროპაგანდისათვის, პატრიოტული სულისკვეთების აღზრდაში დიდი როლი უნდა ეთამაშა ჟურნალ "სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანის". ჟურნალმა შეპარულად დაიწყო საქმიანობა "საამბოხოდ ერისა", ქართველი ხალხის აჯანყებისათვის მოსამზადებლად [18].

ცნობილი მეცნიერი ალ. ხახანაშვილი აღნიშნავს [22, გვ. 174], შეთქმულთა ჰიმნის როლს ასრულებდა სოლომონ დოდაშვილის ლექსი "მაისი", რომელიც ქართველ ხალხს შეიარაღებული აჯანყებისკენ მოუწოდებდა

"მაისის თვესა იქნას ძახება,
გამოხატული ქართველთ უფლება.
აღვიპყრად ხელთა მახვილი,
მიეცეთ მტერთა შიში ძრიელი...
განვდევნოთ სოფლით ძალით მოსრულნი,
ჩვენი მამულის მაოხრებელნი,
წარვიდნენ აქით, არ იყვნენ აქა.
ქართველნო, ხართ სადმე თუ არა?"

ფარული საზოგადოების წევრები ხშირად მსჯელობდნენ "მამულის სიყვარულის" გაგების, დანიშნულებისა და მნიშვნელობის, ზოგადად პატრიოტიზმის შესახებ. შეთქმულები ცდილობდნენ, რომ მამულის – სამშობლოს განთავისუფლების სულისკვეთება დაენერგათ ქართველ ხალხში და მისი შეგნება ამაღლებინათ. ს. დოდაშვილს დავალებული ჰქონდა მოწაფეებს შორის და პრესაში ექადაგნა ამ თემაზე. მათლაც მან ჟურნალში გამოაქვეყნა მრავალი მასალა "მამულის სიყვარულის" მოტივებზე დაწერილი. ი. მამაცაშვილმა (1809-1874) დაწერა შრომა "მამულის სიყვარული". ასეთივე სათაურით 1829 წელს შეადგინა ტრაქტატი ფ. კიკნაძემ, რომელშიც აღნიშნავდა, რომ ეროვნული სახელმწიფოები, მართალია, ყველანი თავისთვის ცდილობენ. მაგრამ ისინი არავის არ უნდა ჩაგრავდნენ – "არა მოვალე არს დამდაბლებად სხვისა". მისი გაგებით, სამშობლო და მისი თავისუფლება მსხვერპლს ითხოვს. სამდვილი მამულიშვილი ისაა, ვინც მისთვის თავს სწირავს და არა ის, ვინც მხოლოდ პირადი ინტერესებისათვის იბრძვის (ეს შრომა ჩაკერძულია შეთქმულების საგამომძიებლო საქმის V რვეულში).

1830-1832 წლებში ფარულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა სამეული – ალ. ორბელიანი, ელ. ერისთავი და ს. დოდაშვილი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ისინი სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ერთ პოზიციაზე იდგნენ, მაგრამ განთავისუფლებული, დამოუკიდებელი საქართველოს მომავლის შესახებ მათი თვალსაზრისი სხვადასხვაგვარი იყო.

დიდ ინტერეს იწვევს ფარული საზოგადოების მაღალ პროფესიულ დონეზე შედგენილი წესდება. ფ. კიკნაძეს და ს. დოდაშვილს აღმოუჩენიათ თითო ცალი ფარული საზოგადოების წესდებისა, რომელიც "აქტი გონიურის" სახელით არის ცნობილი. მას ფარული საზოგადოების ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. 1830 წელს დაწერილი ამ წესდების ავტორია ფ.კიკნაძე. წესდებაში ცვლილებები შეუტანიათ 1832 წელს. "აქტი გონიური" მოგვაგონებს, თანამედროვე გაგებით, პარტიის ჩვეულებრივ წესდებას. წესდებაში ჩამოყალიბებული იყო ორგანიზაციის მიზანდასახულობა, შეთქმულთა შორის დამოკიდებულების ნორმები, საიდუმლოების დაცვის ხერხი და სხვა. იგი განსაზღვრავდა საზოგადოების (პარტიის) წევრად მიღების პირობებს, წევრთა უფლებასა და მოვალეობას. საზოგადების წევრები ფიცს დებდნენ წესდების შესრულების ერთგულებაზე. „აქტი გონიური", რომელიც ხელთ ჰქონდა ფარული საზოგადოების თითქმის ყველა წევრს, თავისი შინაარსით წარმოადგენდა წინასწარ გაანგარიშებული, მაქსიმალურად მიზანშეწონილი პრაქტიკული მოქმედების სანიმუშო წესდებას. ამ დოკუმენტში მთელი სიმძიმე გადატანილი იყო შეთქმულთა ყოველი კონკრეტული ნაბიჯის უაღრესად რაციონალურ ხასიათზე („ყოველი წევრი უნდა ეძიებდეს შეძინებად წევრთა გონიერებით" და ა.შ.). „აქტი გონიურში" ჩამოყალიბებულია შეთქმულთა ურთიერთობებისა და ვალდებულებების პრინციპები.

უნდა აღინიშნოს, რომ წესდება დიდ ყურადღებას უთმობდა საზოგადოების წევრების მხრიდან საიდუმლოების დაცვას და ურთიერთერთგულებას. შეთქმულების ახალ წევრს ეძლევა სცოდნოდა მხოლოდ ის პირი, რომელმაც იგი ორგანიზაციაში ჩააბა. "აქტის" მერვე მუხლში აღნიშნულია, რომ "მტკიცედ უნდა იცოდეს ყოველმან წევრმან დაცვად საიდუმლოისა, რათა ერთის განუცხადოს სხვასა, გარდა მისსა, რომელსაც მიიყვანს წევრად". 1830 წელს ოქროპირ ბატონიშვილი ალ. ორბელიანს აფრთხილებდა – შეთქმულებაზე "ორ კაცს ერთად ნუ ელაპარაკები". საიდუმლოების მკაცრად დაცვის შედეგი იყო ის, რომ შეთქმულთა მარცხის შემდეგ ბევრი რამ გამოძიებისათვის (და მკვლევართათვისაც) უცნობი დარჩა. წესდების IX მუხლი აფრთხილებდა წევრებს,

რომ შეთქმულთა რიგებში არ შეპარულიყვნენ საეჭვო პირები და გაუნათლებელი ელემენტები. ფ. კიკნაძემ შეთქმულთა მიმოწერისათვის შექმნა საიდუმლო ანბანი, რისთვისაც გამოიყენა ძველი ქართული დამწერლობა, ნაწილობრივ კი ლათინური ანბანი.

წესდების გარდა ფარულ საზოგადოებაში გამოიყენებოდა სხვადასხვა ინსტრუქციები. მაგალითად, თ. ლორთქიფანიძეს 9-მუხლიანი ინსტრუქცია გაატანეს იმის შესახებ თუ როგორ უნდა ემოქმედა შეთქმულთა წრის გაფართოებისათვის იმერეთში, იქაური სპეციფიკიდან გამომდინარე.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ჩვენამდე მოღწეული მასალების სიმწირისა, არსებულიც იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ ფარული პოლიტიკური საზოგადოების ორგანიზაციული სტრუქტურა, სამუშაო დისციპლინა, კონსპირაციის მაღალი დონე, დახვეწილი პროგრამული იდეები მოწმობს იმას, რომ იგი, თუ ორგანიზაციულად გაფორმებულ პარტიად არა, პარტიის ჩანასახად მაინც უნდა მიეჩნიოთ. ფაქტია, რომ არსებობდა საერთო ინტერესებით გაერთიანებული დიდი რაოდენობის ადამიანთა დაჯგუფება, რომელიც პოლიტიკური ბრძოლისათვის მაღალ პროფესიულ დონეზე იყო ორგანიზებული. ეს კი ყველა ნიშნით, სხვა არაფერია, თუ არა პარტია.

2. ფარული საზოგადოების საქმიანობა, მიზნები და ანოცანები

ფარულმა საზოგადოებამ შეთქმულება-აჯანყებისათვის საიდუმლოდ მზადება დიწყო 1825 წლიდან და მზადების ხერხები და მეთოდები სიტუაციებისდა მიხედვით იცვლებოდა, ბრძოლის ფორმების შერჩევა ხანგრძლივი მსჯელობის საგანი ხდებოდა.

ფარული საზოგადოების წევრთა შორის თითქმის არავინ ყოფილა რუსეთის მთავრობასთან მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით საქართველოს დამოუკიდებლობის "ტრაქტატის" საფუძველზე აღდგენის პრინციპული მოწინააღმდეგე. მაგრამ შეთქმულებმა წარსული გამოცდილებით კარგად იცოდნენ, რომ რუსეთი არ იყო სანდო პარტნიორი, მისი ნდობა არ შეიძლებოდა. ამასთან, რუსეთის ხელისუფლება საერთოდ გამორიცხავდა საქართველოს სახელმწიფოს აღდგენის შესახებ მსჯელობასაც კი. მიტომ, ფარული საზოგადოების წევრები იძულებულნი იყვნენ უარი ეთქვათ ბრძოლის მშვიდობიან საშუალებებზე და საქართველოს სახელმწიფოს აღდგენის გზად შეიარაღებული

აჯანყება დაესახათ, შესაბამისად აქტიურად საქმიანობდნენ აჯანყების მოსამზადებლად.

ფარული საზოგადოება დიდ იმედებს ამყარებდა პოლონეთის 1830 წლის აჯანყების გამოყენებაზე და შეთქმულების დაწყებასაც მას უკავშირდებოდა. ამასთან, ფარული საზოგადოების წევრებს შორის არსებობდა მოსაზრება, იმის შესახებ, რომ თუ პოლონელი აჯანყებულები წარმატებას მიაღწევდნენ და ნიკოლოზ I პოლონეთს თავისუფლებას უწყალობებდა, ასეთი რამ საქართველოსთვისაც არ უნდა ყოფილიყო გამორიცხული.

ფარული საზოგადოების ლიდერები ცდილობდნენ აჯანყებისათვის მასობრივი ხასიათი მიეცათ, მასში ნეტ-ნაკლებად საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენა ჩაება. ალ. ორბელიანი აღნიშნავს: "... უნდა კაცნი გაგეგზავნა და მთელი საქართველოს ხალხნი აქ უნდა ჩამოსულიყვნენ, თავადნი, აზნაურნი, და ქუდზე ყოველი კაცი... მაშინ უნდა ეცდილიყავით, რომ როგორც იყოს პოლკები გაეაწყოთ რეგულისა, და რიგი დაედოთ" [15, გვ. 91]. ისინი განსაკუთრებით დიდ იმედებს ამყარებდნენ გლეხობაზე, ვარაუდობდნენ თბილისელი ხელოსნების ჩაბმასაც (ა. ორბელიანს ევალა). ფარული ორგანიზაციის თავადაზნაურთა ყოველი წევრი ვალდებულებას კისრულობდა სახალხო ლაშქარში გამოეყვანა გარკვეული რაოდენობის ყმა-გლეხი. დაბალი ფენიდან გამოსული ს. დოდაშვილი იმედოვნებდა, რომ მის მოწოდებაზე კახეთის მთელი გლეხობა ანტირუსული აჯანყების დროშის ქვეშ დაირაზმებოდა. ქართლის გლეხობის სახალხო განმათავისუფლებელ ლაშქარში გამოქანაზე პასუხისმგებელი ე. ერისთავი იყო. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა დასავლეთ საქართველოს პატრიოტულ ძალებთან ფარული კავშირ-ურთიერთობების დამყარებას.

შეთქმულები მარტო შინაგან ძალთა კონსოლიდაცია-დარაზმვას როდი ცდილობდნენ. მათი ვარაუდით აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღოთ აზერბაიჯანელებს, სომხებს, ჩრდილოკავკასიის მთიელებს, რომელთა დიდი ნაწილი იმ დროს უკვე რუსეთის წინააღმდეგ ომში იყო ჩაბმული. ამასთან დაკავშირებით შეთქმულების თვალსაჩინო წარმომადგენელი ალექსანდრე ორბელიანი აღნიშნავდა: "ეს შეთქმულება ისე უნდა მომხდარიყო, რომ მთელი კავკასია, შავი ზღვიდან მოკიდებული კასპიის ზღვამდისინ, სრულად მთებისა და ბარის ხალხი, უნდა გაერთიანებულიყვნენ და ერთიანი აღრეულობა მოგვეხდინა" [15, გვ. 87].

პოლონეთისა და ფინეთის გამოცდილება შეთქმულებს უკარნახებდა, რომ საქართველო ევროპული დიპლომატიის ინტერესთა სფეროში მოექციათ და ამ

ინტერესთა ჭიდილში განმტკიცებინათ ქვეყნის სახელმწიფოებრიობა. ისინი აუცილებლად თელიდნენ ინგლისის, საფრანგეთის და სხვა სახელმწიფოებისათვის შესაბამისი მიმართვები დაეგზავნათ. მათ მთავრობებს შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ რუსეთზე და აეძულებინათ იგი ხელი არ შეეშალა საქართველოს სახელმწიფოს აღდგენისათვის. მათი გამოსარჩლება რუსეთის მთავრობაზე მოახდენდა გავლენას და საქართველოს რუსეთის მხრიდან მორიგ უკანონო ქმედებებს ააცილებდა თავიდან. ოცდათორმეტიანელები ცდილობდნენ ფრანგებისგან კონსულტაციები შინაგანი მმართველობის ორგანიზაციაშიც მიეღოთ.

შეთქმულები უფრო მეტად ყურადღებას ამახვილებენ მოკავშირეთა გაფართოებაზე, ამ პერიოდში ალ. ბატონიშვილის მეშვეობით ცდილობენ მოიპოვონ ეგვიპტის ფაშისა და დაღესტნის ეროვნული მოძრაობის მეთაურის ყაზი მოლას მხარდაჭერა.

შეთქმულებს ასევე მიაჩნდათ, რომ ირანი და ოსმალეთი, საქართველოს ისტორიული მტრები, რუსეთთან ომების შემდეგ იმდენად იყვნენ დასუსტებულნი, რომ საქართველოზე ადრინდელი პრეტენზიებით ეეღარ გამოვიდოდნენ, რომ ნაკლებად სავარაუდოა ამ ქვეყნების მიერ საქართველოს მიტაცება. საერთოდ მოხსნილი იყო მუსლიმანური აგრესიის ის საფრთხე, რომელიც ადრე, საუკუნეთა განმავლობაში, ქართველ ხალხს არ აძლევდა ნორმალური განვითარების საშუალებას. როდესაც საუბარი საქართველოს მთავრობაზე და მისი მონაპოვრის შენარჩუნებაზე მიმდინარეობდა, ალ. ორბელიანს საფუძვლიანი არგუმენტები მოჰყავდა: "ეგვიპტის ფაშა უკვე არზრუმშია. ხოლო სპარსელები ომის შემდეგ ისე გაღატაკდნენ, რომ სულს ძლივს ითქვამენ" [15, გვ. 135]. შემთხვევითი არ იყო შეთქმულთა ცდა გაებათ კავშირურთიერთობა თურქეთის წინააღმდეგ მებრძოლ ეგვიპტის ფაშასთანაც, რომელიც იმავე დროს საფრანგეთის მფარველობით სარგებლობდა. ამ მოსაზრებებს საფუძველი ნამდვილად ჰქონდა, რადგანაც იმ პერიოდისათვის როგორც თურქეთის, ისე ირანისათვის რუსეთიდან მომდინარე საშიშროების თავიდან ასაცილებლად, იდეალური ვარიანტი იქნებოდა რუსეთის საზღვართან საქართველოს ბუფერული სახელმწიფოს ეარსება, რომელიც, მათი აზრით, სამივე სახელმწიფოს ინტერესებს დააბალანსებდა.

ფარული საზოგადოების წევრებმა აჯანყების სამხედრო მეთაურობა შესთავაზეს რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ შეურიგებელ მებრძოლს, ალექსანდრე ბატონიშვილს, რომელმაც გაითვალისწინა ხელსაყრელი

საერთაშორისო ვითარება და დათანხმდა – "აღრეულობის" დაწყებისთანავე სათავეში ჩასდგომოდა შეკრებილ ქართულ სახალხო ლაშქარს.

შეთქმულები ყურადღებით ადევნებდნენ თვალს პოლონეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, პოლონელი აჯანყებულების მიერ ვარშავის აღების შემდეგ ქართველმა შეთქმულებმაც გადაუდებელ საქმედ მიიჩნიეს აჯანყების დაწყება. ალ. ბატონიშვილთან აფრინეს შიკრიკი, რათა მზად ყოფილიყო აჯანყებულთა ლაშქარს ჩასდგომოდა სათავეში.

მოსერხებულად გაავრცელეს ხმები სპარსელთა ამიერკავკასიაში შემოჭრის შესახებ. ადგილობრივმა რუსულმა ხელისუფლებამ ეს ხმები სარწმუნოდ მიიჩნია, რუსეთის ჯარის მსხვილი ერთეულები ირანის საზღვრებისაკენ დაძრა. აჯანყების დაწყებისთვის ხელსაყრელი სიტუაცია შეიქმნა, მაგრამ ამ დროს რუსთა ჯარების მიერ ვარშავის აღებისა და პოლონელთა აჯანყების ჩახშობის შესახებ ცნობა მოვიდა. ასეთ ვითარებაში გამოსვლა მიზანშეწონილი აღარ იყო და შეთქმულებმა აჯანყება ხელსაყრელ მომენტამდე გადადეს [6, გვ. 108].

დროებით შეწყვეტილი მზადება 1832 წელს ისევ გამოცოცხლდა, ახლა უკვე მთელი ძალით. შემუშავდა აჯანყების კონკრეტული გეგმა "პირველი ღამის განკარგულების" სახელწოდებით. გატარდა ღონისძიებანი ქართული ლაშქრის შეკრების, სამოსწავლო ბატალიონისა და გადმოსახლებულ ტყვე პოლონელთა (500 კაცი) აჯანყებაში ჩაბმისათვის.

აჯანყების დაწყებისთვის ყველაზე ხელსაყრელ დღედ ჩათვალეს თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულოსა და წინამძღოლთა არჩევნები, რომელზედაც თავს მოიყრიდა აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობა, რომლის საგრძნობი ნაწილი ფარული საზოგადოების წევრი იყო. მათ მხლებელთა სახით თბილისში უნდა ჩამოეყვანათ გლეხთა მცირე რაზმები, რომლებსაც აჯანყების საწყის ეტაპზე გადამწყვეტი როლი ეკისრებოდათ.

შეთქმულთა გეგმით ამ დღეს ლუარსაბ ორბელიანის სახლში უნდა გამართულიყო ბანკეტი, სადაც მოწვეულნი იქნებოდნენ მთავარმართებელი, მაღალი რანგის სამხედრო და სამოქალაქო მოხელეები. ღამის პირველ საათზე, როცა სპეციალურ ნიშანს მისცემდნენ, ფარული საზოგადოების შეიარაღებულ წევრებს რუსი მოხელეები უნდა გაეწყვიტათ ან დაეპატიმრებინათ. ამის შემდეგ თავიანთი რაზმებით ციხე უნდა აეღოთ გიორგი და რევაზ ერისთავებს, ყაზარმები – კაპიტან ჩოლოყაშვილსა და პრაპორშჩიკ ორბელიანს, საგუშაგოები, მთავრობის სხვა დაწესებულებები, არსენალი, საპროვიანტო მაღაზიები და ხაზინა უნდა

დაეკავებინათ პრაპორშჩიკ ერისთავს, ვ. ორბელიანს, ბ. ამილახვარს, პორუჩიკ გ. თუმანიშვილს და ი. ერისთავს.

საქართველოს ყველა კუთხეში უნდა გავრცელებულიყო ს. დოდაშვილის მიერ დაწერილი პროკლამაცია, რომელშიც ნათქვამი იყო: "ქვეყნის დაარსებიდან მამულსა ჩვენსა აქვნდა თავისი საკუთარი მდგომარეობა, აქვნდა თავისნი სჯულნი, თავისი სარწმუნოება, თვისი ენა, და თვისი ჩვეულება და ჰყვანდა ყოველსა დროსა საკუთარი თავისი ხელმწიფე და არაოდეს არ იყო მოკიდებული სხვასა ზედა და და არცა მონა, ვითარცა აწ არს მამული ჩვენი და ჩვენი ხმა, სახელი, მხნეობა და მამაცობა წინაპართა ჩვენთა ყოველთვის ჰქუხდა და აღავსებდა მსოფლიოსა. მტერი მარადის ჰოწყლულ იყო და დამხობილ მათგან. ხოლო აწ ხედავთ დამხობასა და არარაობასა მამულისა ჩვენისასა, ჰგრძნობთ შეიწროებას ყოელისა კაცისასა. რაისთვის არს ესრეთ. ნუთუ ჩვენ არ ვართ შვილნი მამაპაპათა ჩვენთანი, ნუთუ ჩვენ არ ძალგვიძს შენახვა საკუთარისა მამულისა ... მაშ რაისათვის ცოცხალ ვარო" [15, გვ. 95-96]. პროკლამაცია ისე იყო შედგენილი, რომ გამოხატავდა იმ მთავარს, საერთო მიზანს, რომელიც აერთიანებდა კონსტიტუციურ-მონარქისტებსა და რესპუბლიკელებს საერთო ბრძოლაში დამპყრობლების წინააღმდეგ.

ფარული საზოგადოების ერთი ნაწილი (ელიზბარ ერისთავი, ლუარსაბ, დიმიტრი და მამუკა ორბელიანები) უნდა შეკრებილიყო "თათრის მოედანზე", სადაც ღვთისმშობლის ხატებით ხელში ეკლესიებში გამოვიდოდნენ შეძახილებით – "საქართველოს განთავისუფლებისათვის თავს ვწირავთ"! ნაკარაულევი იყო ყველა მოწინააღმდეგის სასტიკი დასჯა, მოღალატეთა დევნა, რისთვისაც სპეციალური მზვერავები გამოყვეს. ამავე დროს, მოღალატეთათვის თავისუფლება ზარების რეკვით უნდა ემცნოთ. სოფლებში სალხს გამოუცხადებდნენ, რომ ალ. ბატონიშვილი უკვე თბილისშია და ქარიშველებს თავის დროშის ქვეშ უხმობს. შეთქმულთა წარმომადგენლები საქმიანობას შეუდგებოდნენ იმერეთში, დაღესტანში, აზერბაიჯანის სახანოებში და სხვ., რათა ავჯანყებისთვის კავკასიური მასშტაბი მიეცათ.

ყველგან ერთდროულად უნდა დაწყებულიყო გამოსვლები, რუსთა პოლკებისათვის გაერთიანების საშუალება არ უნდა მიეცათ, ცალკ-ცალკე გაენადგურებინათ ისინი [16, გვ. 592-59']. შეუდგებოდნენ ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციას. უნდა ჩაეხერგათ დარიალისა და არაგვის ხეობები, კასპიისა და შაკი ზღვის სანაპიროებზე განლაგებინათ შეიარაღებული რაზმები, საშუალება

არ მიეცათ რუსეთისათვის კვლავ შემოეყენებინა ჯარი, აღედგინა თავისი ბატონობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

ფარული საზოგადოების ლიდერები იმედოვნებდნენ, რომ მოწინავე ევროპა როგორც მორალურად, ისე პოლიტიკურად დაეხმარებოდა განთავისუფლებულ საქართველოს და რუსეთს არ მისცემდა იმის უფლებას, რომ კვლავ დაეკავებინა ეს ქვეყანა.

როგორც ცნობილია, აჯანყების დაწყება ფარულ საზოგადოებას რამდენჯერმე ჩაუშალა – 1831 წელს და 1832 წლის ზაფხულში. შემდეგ აჯანყების დაწყების ვადად 20 ნოემბერი დაინიშნა, როცა მთავარსარდალი ბარონი როზენი რუსთა ჯარებით ჩრდილო კავკასიაში იყო, მაგრამ 20 ნოემბერს დანიშნული თავადაზნაურების დეპუტატთა საკრებულოს არჩევნები გადატანილ იქნა 6 დეკემბერის, შემდეგ კი 15 დეკემბერისათვის. შესაბამისად იცვლებოდა აჯანყების თარიღიც. მაგრამ მოვლენათა განვითარებას წერტილი დაუსვა იასე ფალავანდიშვილმა, რომელმაც 1832 წლის 9 დეკემბერს გასცა შეთქმულება. მთავრობამ მოკლე ხანში ფარული საზოგადოების ოთხმის ყველა წევრი დააპატიმრა. გამოძიებამ მოიცვა 145 კაცი. ბრალდებულნი ხუთ თანრიგად ნაწილდებოდნენ. განაჩენი გამოტანილ იქნა 1834 წლის 10 თებერვალს. სიკვდილი მიუსაჯეს 10 ბრალდებულს: ს. დოდაშვილს, ე. ერისთავს, ა. იოსელიანს, დ. ერისთავს, ჯ. ორბელიანს, ლ. ორბელიანს, გ. ორბელიანს, ს. რაშმაძეს, ვ. ჩოლოყაშვილს და მოლა ზამანს. მაგრამ შემდეგში, ნიკოლოზ პირველმა სასჯელი შეუმსუბუქა და სიკვდილი შორეულ ციმბირში გადასახლებით შეუცვალა. ბატონიშვილი ოქროპირი გადაასახლეს კოსტრომაში, დიმიტრი ბატონიშვილი – სმოლენსკში, თეკლე ბატონიშვილი – კალუგაში, ხოლო თამარ ბატონიშვილი – კალუგაში.

რამდენადაც შეთქმულების მზადება ფარულად კონსპირაციულად მიმდინარეობდა, მისი ზეგავლენა საქართველოს ფართო საზოგადოებრიობაზე, ერთი შეხედვით, არ შეიძლება დიდი ყოფილიყო, მაგრამ როდესაც შეთქმულება გამჟღავნდა და რეპრესიები დაიწყო, გამოჩნდა, რომ საზოგადოების სიმპათიები შეთქმულებს ეკუთვნოდათ. ამას მოწმობს გრიგოლ ორბელიანის ჩანაწერები, როდესაც პატიმრობის პერიოდს იხსენებს: "ჩემს გვერდით ნომრებში ისხდნენ ალექსანდრე ორბელიანი, სიმონ მაჩაბელი, გიორგი ერისთავი... ერთ კვირა დღეს, საღამოს პირზე, ჩვენს ყაზარმას დაუპირდაპირდა ზურა-დალაბანდი, მოქეიფე ბიჭებითა, ღვინითა და სიმღერით. მოქეიფენი შეჩერდნენ ჩვენს ფანჯრის პირდაპირ და სიმღერით დაიწყეს ნუგეში: "ნუ გეშინიათ ბიჭებო, მოთმინება

იქონიეთ, ღმერთი მოწყალეა", ერთ ხანს ... გვანუგეშებდნენ, მაგრამ ყაზარმის მთავრობამ გარეკა ისინი მანდედამ. ვინ იყვნენ ისინი დღესაც არ ვიცი". ფაქტია, პატიმარ შეთქმულთა თანაგრძნობის ნიშნად, ქალაქის მდაბიო ხალხიდან გამოსულმა ადამიანებმა მოაწყვეს ერთგვარი დემონსტრაცია, რაც ყაზარმების ადმინისტრაციამ დაარბია და გარეკა [22, გვ. 180-181].

შეთქმულების ჩაშლის მიუხედავად, მისი იდეა ცოცხლობდა, ვითარდებოდა მომდევნო თაობის ხსოვნაში და მიმდინარეობდა მსჯელობა ისტორიულ, ეროვნულ თუ სოციალურ პრობლემათა ჭრილში [31, გვ. 29]. 1832 წლის შეთქმულებამ საქართველოსთვის იგივე როლი შეასრულა, რაც 1830-1831 წლების აჯანყებამ პოლონეთისათვის. მიუხედავად შეთქმულების გასანადგურებლად დაწყებული რეპრესიებისა, რომელმაც გარკვეულ პერიოდში პარალიზებული გახადა ქართველ საზოგადოებაში საზოგდოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა, ამ შეთქმულებამ სერიოზული გაელენა მოახდინა ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების განვითარებაზე, დაიხვეწა და გამოიკვეთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და იდეოლოგიის მთავარი მიმართულება. შეთქმულებას სხვა მხრივაც არ ჩაუვლია უშედეგოდ. მან გარკვეული გაელენა მოახდინა რუსეთის პოლიტიკაზე საქართველოში, რამაც ცოტა მოგვიანებით გამოვლინება ჰპოვა მეფის ნაცვლის მიხეილ ვორონცოვის "მოლიბერალო" და პატიატიურ ღონისძიებებში.

3. სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი

ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი სახელმწიფო სამართლის საკითხებში საკმაოდ წინ იყო წასული და იბრძოდა შედარებით მოწინავე სახელმწიფო წყობილების დასამყარებლად, რომელშიც ჩაბმული იქნებოდნენ მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენებიდან არჩეული წარმომადგენლები. თუკი აზრი ორად იყო გაყოფილი – ნაწილის სურვილი იყო კონსტიტუციურ-მონარქიული წყობილების დამყარება, ნაწილს (ოქროპირ და დიმიტრი ბაქრაძონიშვილები, სოლომონ დოდაშვილი და სხვ.) კი არ უნდოდა მეფის არჩევა, სურდათ რესპუბლიკური წყობილების დამყარება. მიუხედავად იმისა, რომ შეთქმულთა წრეში ვერ მოხერხდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის ერთი მთლიანი პროგრამის შემუშავება და ფიგურირებდა როგორც

რესპუბლიკური. ასევე კონსტიტუციურ-მონარქიული იდეები, 1832 წლის შეთქმულების მნიშვნელობა განუზომლად დიდი აღმოჩნდა [31, გვ. 28]. შეთქმულებს შორის იყო ცხარე მსჯელობა მონარქიის, პარლამენტისა და რესპუბლიკის შესახებ.

რუს დამპყრობლებს, რომელთათვისაც საკუთარ ქვეყანაში მიუღებელი იყო ევროპული ღირებულებები, საქართველო მიაჩნდათ ველურ, იმპერიის ჩამორჩენილ, განაპირა პროვინციად და ცდილობდნენ ჰყოლოდათ, განვითარების თვალსაზრისით, სრულ სიბნელეში. მიუხედავად ამისა, ამ პირობებშიც კი ქართული მოწინავე საზოგადოებრიობა, მაინც ახერხებს პროგრესულ, ევროპულ ყაიდაზე აზროვნებას. გამოძიების დროს, მეშვიდე კატეგორიის "დამნაშავემ", ტარასი ალექსი-მესხიშვილმა (1793-1874) თავის ჩვენებაში განაცხადა: 1832 წლის აგვისტოსა თუ სექტემბერში ჩემთან იყვნენ ელიზბარი, გიორგი და დიმიტრი ერისთავები და თქვეს: "საკუთარ მეფეს დავსვამთო და საკუთარი პარლამენტი თქვეს რაღაცა და საზოგადო მმართველობა გვექნებაო და ყველანი იმას დავემორჩილებითო" [52, ფონდი 1457, რვ. III, ფ. 473]. მეათე კატეგორიის "დამნაშავემ" თამარ (იულონის ასულმა) ბატონიშვილმაც გამოძიებას უჩვენა: 1831 წელს "ელიზბარ ერისთავმა რამდენჯერმე ლაპარაკში გაატარა – კარგი ის არისო, როგორც შვეიცარია არისო და ან სოიუზნი შტატიო, საქართველოშიც რომ ასე იყოსო..." [52, ფონდი 1457, რვ. IX, ფ. 1485]. მეტად მნიშვნელოვანია მესამე კატეგორიის "დამნაშავის" ვახტანგ ორბელიანის (1812-1890) ჩვენება. მისთვის სოლომონ დოდაშვილს გადაუცია ოქროპირ ბატონიშვილის ნათქვამი: "საქართველოს განთავისუფლება მე იმიტომ კი არ მინდა, რომ ბაგრატიონთა გვარიდან ვინმე ამეფდეს, არამედ რომ საქართველო შეიქმნეს რესპუბლიკის მაგვარ სახელმწიფოდ" [15, გვ. 92]. ასევე დემოკრატიულადაა განწყობილი მეორე მთავარი მოთაეც დიმიტრი ბატონიშვილიც. მეექვსე კატეგორიის "დამნაშავის" დავით ჯორჯაძის (1810-1866) სიტყვით, დიმიტრი მასთან მისულებს ხშირად უყვებოდა თავისუფლების ამბებს, უმარტავდა საფრანგეთში არსებულ უფლებებს, კანონებს, მისი მოსახლეობის თავისუფალ ცხოვრებას, მეფის ხელისუფლების შეზღუდულობას და იმას, თუ რა ხმა აქვს საფრანგეთის ყოველ მოქალაქეს მეფის არჩევნების დროს... ხანდახან, - განაგრძობს ჯორჯაძე, დიმიტრი მსჯელობდა თავისუფალი ქალაქების – მაინის ფრანკფურტის და კრაკოვის – მართვა-გამგეობაზე და თხრობას ალამაზებდა აქაურ მოქალაქეთა ბედნიერი ცხოვრების ამბებითო [22, გვ. 153].

როგორც შემდეგ დაკითხვაზე მეოთხე კატეგორიის "დამნაშავემ" საალ (საქარია) ავთანდილაშვილმა (1811-1868) განაცხადა "აჯანყების მეორე დღესვე ვაპირებდით დაგვეარსებინა სეიმი და ვიდრე მეფეს აირჩევდნენ, საქართველოს მმართველობა ჩაებარებინათ სეიმის წევრებისათვის, რომელნიც საზოგადოებას უნდა აერჩია" [15, გვ. 92-93].

სეიმის მმართველობის იდეა აღებული იყო პოლონეთის სახელმწიფოებრივი მოწყობიდან. სეიმის მმართველობა უმეტესობას იმიტომ მოსწონდა, რომ მეფე არჩევითი იყო, სამეფო ტახტი მემკვიდრეობით მამიდან შვილზე არ გადადიოდა. სეიმს შეეძლო ბატონიშვილთაგან რომელიმე სასურველი კანდიდატის არჩევა. იმ ვითარებაში, როდესაც ქართველი ბატონიშვილები მრავალად იყვნენ, სეიმი თითქოს უფრო მისანშეწონილი ჩანდა შეთქმულთა ერთი ნაწილისათვის.

სახელმწიფოს საპარლამენტო წყობის პროექტის შეადგენაში მონაწილეობდნენ ელიზბარ ერისთავი, დიმიტრი ერისთავი, გიორგი რევაზის ძე ერისთავი და ტარასი მესხიშვილი. ფარულმა საზოგადოებამ მიიღო მათი პროექტი. აღნიშნული პროექტით მონარქი იზღუდებოდა პარლამენტით. გათვალისწინებული იყო ზედა და ქვედა პალატის (სამმართველოსს) ჩამოყალიბება. ზედა პალატის თავმჯდომარე მეფე იქნებოდა. მასში შეიდოდნენ აგრეთვე, სამხედრო მინისტრი ალ. ჭავჭავაძე (1786-1846), ფინანსთა მინისტრი ნ. ფალავანდიშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრი მუხრანსკი, საგარეო საქმეთა მინისტრი ბებუთაშვილი, სახალხო განათლების მინისტრი იაგორ (გიორგი) ჭილაშვილი (1790-1838. ქვედა პალატა უნდა შეედგინა მაზრებსა და დედაქალაქში არჩეულ დეპუტატებს. მაზრებს უხელმძღვანელებდა თავადაზნაურობის, სამღვდელოებისა და ხალხის არჩეული წარმომადგენლობისგან შემდგარი სამდივნო.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპიელ სიშორე ბევრ სიძნელეს და გართულებებს ქმნიდა, კონსტიტუციური წყობილების იდეა არ იყო რეალობას მოკლებული. ცნობილია, რომ 1809 წელს რუსეთმა იარაღით დაიპყრო ფინეთი, მაგრამ ფინელებმა მიაღწიეს იმას, რომ ჰქონოდათ სეიმი და კონსტიტუცია. 1814 წელს რუსეთი დაეუფლა ვარშავის საჰერცოგოს და პოლონელ ხალხს აღუთქვა ეროვნული შინაგანი მმართველობის ხელშეუხლებლობა, კონსტიტუციის დაცვა (ცხადია, რომ ამ შემთხვევაში გარკვეულ როლს გეოგრაფიული ფაქტორიც თამაშობდა და რუსეთი იძულებული იყო ევროპისთვისაც გაეწია რაღაცაში ანგარიში).

ფარული საზოგადოების წევრთა უმრავლესობა (კონსტიტუციურ-მონარქისტები) აჯანყების ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ ვარაუდობდა საქართველოში კონსტიტუციურ-მონარქიული წყობილების დამყარებას (საზოგადოების წევრების რესპუბლიკური ფრთა უმცირესობაში იყო). ფარულ საზოგადოებაში რესპუბლიკური მმართველობის შემოღების სურვილის არსებობა, ცხადია, დიდი სიახლის მაუწყებელი იყო და ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის განვითარების მაღალ საფეხურზე ყოფნას მეტყველებს.

შეთქმულთა მიზნები: სამშობლოს თავისუფლება, აეტოკრატიზმის ნაცვლად კონსტიტუციის ამოქმედება, მეზობელ ხალხებსა და სახელმწიფოებთან საერთო ენის გამონახვა აშკარად მეტყველებს ოცდათორმეტიანელთა განათლებულობას, ევროპული ცივილიზაციისკენ სწრაფვაზე, შეთქმულების პროგრესულობაზე. ყველა ეს აზრი, რომელთაც შეთქმულების მონაწილენი გამოთქვამდნენ, მაშინდელი რეალობის პირობებში პროგრესულ-რევოლუციურ განწყობილებას აღვივებდა, ყოველ შემთხვევაში, საზოგადოებრივი შემეცნების აღმავლობას მაინც უწყობდა ხელს.

1832 წლის შეთქმულება, იმდროინდელი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და პოლიტიკური აზრის განვითარების თვალსაზრისით, წარმოადგენდა ცალსახად დადებით მოვლენას არა მარტო იმიტომ, რომ პარტიის პრინციპებზე ჩამოყალიბებულ ფარულ საზოგადოებას, რომელიც შეთქმულებას ამზადებდა, სურდა რუსული სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის დამხობა, ქვეყნის განთავისუფლება და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, არამედ იმიტომაც, რომ ფარული საზოგადოება, მიზნად ისახავდა მაშინ რუსეთში არსებულზე უფრო პროგრესული მოწინავე ევროპული, პოლიტიკური წყობილების დამყარებას. ქართული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად ორგანიზებული შეიარაღებული გამოსვლის ეს ცდა არსებითად განსხვავდებოდა წინა პერიოდის მასობრივი აჯანყებებისგან იმით, რომ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენას და მის მოწყობას ითვალისწინებდა ფარული საზოგადოების მიერ მაღალ პროფესიულ-პოლიტიკურ დონეზე შემუშავებული პროგრამის საფუძველზე, ევროპული განმანათლებლობის პრინციპების მიხედვით.

3. პოლიტიკური მიმართულებები

შეთქმულებაში მონაწილეთა პოლიტიკური შეხედულებების შესწავლა იძლევა საშუალებას გამოითქვას ვარაუდი, რომ ქართველ საზოგადოებაში, იმ მომენტისათვის, იყო სამი პოლიტიკური მიმართულება: პირველი, პროგრესულ-დემოკრატიული, მასში, თავის მხრივ, გამოიყოფოდა ორი ფრაქცია: კონსტიტუციურ-მონარქიული და რესპუბლიკური. მეორე, მონარქისტული (კონსერვატორული) მიმართულება. მესამე, მერუსეთე მიმართულება. ძირითადად პოლიტიკური მიმართულების შინაარსი განისაზღვრებოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და სახელმწიფოებრივი მოწყობის პრობლემისადმი დამოკიდებულებით.

<u>მერუსეთე მიმართულება</u>. ეს იყო საზოგადოების პოლიტიკურად რუსეთზე ორიენტირებული ნაწილი, რომელიც საქართველოს რუსეთის სახელმწიფოებრივ სივრცეში მოიაზრებდა. რუსეთთან უშუალოდ შეერთების მომხრე დასი ჯერ კიდევ გიორგი XII-ის დროს შეიქმნა. მერუსეთეები თავიდანვე დაუახლოვდნენ რუსულ მმართველობას. ეს არის რუსეთის პოლიტიკის ერთგულ მომხრეთა დასი, რომელიც რეჟიმის დასაყრდენი იყო პატრიოტთა წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი აერთიანებდა ძირითადად ერეკლე II-ის მიერ შერისხულ თავადაზნაურობას, რომლებიც ქართლ-კახეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ აღდგენილ იქნენ თავიანთ სამამულო უფლებებში. აქვე შედიოდნენ ხელისუფლების მიერ სხვადასხვა თანამდებობებით, წყალობა-საჩუქრებით მოსყიდული პირები. ხელისუფლება ამ დასს აძლიერებდა საჩუქრებით და პენსია-ორდენებით.

მერუსეთეები საუკუნის დასაწყისში უმცირესობას წარმოადგენდნენ, მათი რიცხვის ზრდა შესამჩნევი ხდება განსაკუთრებით მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის მართველობის პერიოდიდან. ამ ფრთის (ივანე და თამაზ ორბელიანები, გიორგი და ოთარ ამილახვრები, გიორგი ციციშვილი, ეეკუნი აბაშიძე, ზაქარია ბარათაშვილი, ეგნატე თუმანიშვილი, დარჩი ბებუთაშვილი, სოლომონ არღუთინსკი-დოლგორუკოვი, სოლომონ თარხნიშვილი, ალექსანდრე მაყაშვილი, მიხეილ და შანშე ერისთავები, დიმიტრი ჩოლოყაშვილი, დავით ჯიმშერაშვილი და სხვ.) დასახასიათებლად გამოდგება გენერალ ივანე აფხაზის (1784-1831) სიტყვები: "ღმერთო ნუ მიიყვან რუსთა ესრეთსა განწირულობასა შინა, რომელ მყისვე შეიქმნების მსხვერპლად უწესობისა შინაგანი განხეთქილებისა და ზედა დასმისა დაუძინებელთა მტერთაგან" [40, გვ. 172]. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ივანე

აფხაზი. თავისი დროის კვალობაზე, ეს საკმაოდ განათლებული პიროვნება, არ გამორიცხავდა გრძელვადიან სტრატეგიაში (80-100 წლის შემდეგ) საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას. მერუსეთეების განწყობა კარგად არის გადმოცემული დავით ბებუთოვის იმ პერიოდში დაწერილ მემუარულ ბიოგრაფიაშიც [96].

ამ დასში მოიაზრება რუსულ ყაიდაზე რეფორმირებული სასულიერო წოდებაც.

ცალკე იყო კიდევ ადამიანთა კატეგორია, რომელნიც საოკუპაციო რეჟიმით უკმაყოფილონი იყვნენ, მაგრამ რეპრესიებით შეშინებულნი საერთოდ არაფერში ერეოდნენ.

<u>მონარქისტული (კონსერვატორული) მიმართულება</u>. მონარქისტები (სოლომონ ლიონიძე, ალექსანდრე ბატონიშვილი, ფილადელფოს კიკნაძე და სხვ.) ქმნიდნენ საკმაოდ მრავალრიცხოვან ნაწილს იმდროინდელი ქართული საზოგადოებისა. მათი წარმოდგენით აღდგენილი ქართული სახელმწიფო იქნებოდა სამეფო, რომელსაც სათავეში ჩაუდგებოდა შეუზღუდავი უფლებების მქონე ქართველი მეფე.

<u>პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულება</u>. ამ მიმართულებაში, თავის მხრივ, უნდა მოვიაზროთ ორი ფრაქცია: **კონსტიტუციურ-მონარქიული** და **რესპუბლიკური**.

თუ ვიხელმძღვანელებთ რუსული და საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ ჩამოყალიბებული სტერეოტიპით: "რუსების მოსვლამდე, ჩამორჩენილი, მიყრუებული კავკასიის ველური ტუზემცები", XIX საუკუნის პირველ მესამედში, ვერ იმსჯელებდნენ კონსტიტუციაზე, რესპუბლიკაზე, დემოკრატიაზე. მაგრამ იმ ფაქტებს ნამდვილად ვერსად გავექცევით, რომ 1832 წლის შეთქმულების გამოძიების მასალების მიხედვით, ფარულ საზოგადოებას განსრახული ჰქონდა აღდგენილი ქართული სახელმწიფოს კონსტიტუციურ საფუძველზე მოწყობა და, ეს უნდა ყოფილიყო ან საპარლამენტო რესპუბლიკა ან კონსტიტუციური მონარქია. ცარიელ ნიადაგზე კი, ასე ერთი დაკვრით, უცბად ვერ გაჩნდებოდა მაშინდელი ევროპის ყველაზე მოწინავე იდეები. ამ დროს, ქართული პოლიტიკური ელიტა არა მარტო მსჯელობს, არამედ აქცენტსაც კი აკეთებს მათ პრაქტიკაში რეალიზებაზე (ეს კი მოწადების ბეჭრად უფრო მაღალი დონეა). ეჭვი რამ ცხადია, აშკარად ჩანს გაელენა იმ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის განმათავისუფლებელი მოძრაობისა, რომელიც დასავლეთ ევროპიდან გავრცელდა, განსაკუთრებით საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ.

შეთქმულების გაცემის შემდეგ, იმ საშინელი რეჟიმის პირობებში, დაკითხვის პროცესში ფარული საზოგადოების წევრებმა მტკიცე პარტიული დისციპლინა გამოაჟღინეს და, ცხადია, სასჯელის დამამძიმებელ ბრალდებებს – კონსტიტუციური რეფორმების საკითხებს ნაკლებად აჩენდნენ და რუსეთის აუგსაც არ ამბობდნენ. გასაგებია, რომ მარტო მათ ჩვენებებზე დაყრდნობა ვერ მოგვცემს სრულ სურათს. ისიც, ცნობილია, რომ შეთქმულების, განსაკუთრებით მისი პროგრესული, დემოკრატიული ნაკადის სოციალურ-პოლიტიკურ მისწრაფებათა ამსახველი ბევრი მასალა იქნა განადგურებული. ფარული საზოგადოების წევრები უაღრესად კონსპირაციულად მოქმედებდნენ. ამიტომაც იყო, რომ შეთქმულები შედარებით უშიშრად გრძნობდნენ თავს: "თუნდაც გამომჟღავდეს, არაფერია, რადგან ჩვენ წერილობითი არაფერი გვაქვს და ისე კი ყველანი გადავფიცავთ" [15, გვ. 224] და მართლაც, ისე ჩავარდნენ, რომ რაიმე საპროგრამო დოკუმენტი არ დაუტოვებიათ.

ერთი რამ კი ნამდვილად უდავოა, პროგრესულ-დემოკრატიული პარტიის სახელმწიფოს მოწყობის პროექტის და XVIII საუკუნის საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების შედარება ცხადყოფს, რომ ქარიული საზოგადოებრივი აზრი სახელმწიფო სამართლის საკითხებში ერთ წერტილზე არ იყო გაყინული, უფრო მეტიც, "პროგრესისტები" იბრძოდნენ მაშინდელ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე წყობილების დასამყარებლად.

კონსტიტუციური-მონარქიული ფრაქცია. ფრაქციის წევრები (ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე ორბელიანი, ლუარსაბ ორბელიანი, ტარასი ალექსიმესხიშვილი, ზაალ ავთანდილაშვილი და სხვ.) თვლიდნენ, რომ საქართველოს ძველი სამეფო წყობილების მხოლოდ აღდგენა უკან გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა, ამიტომ ითვალისწინებდნენ ევროპის გამოცდილებას და სურდათ შესაბამისი ცვლილებები შეეტანათ წინათ არსებულ წყობილებაში: კონსტიტუციით უნდა შეეზღუდათ მეფის ხელისუფლება, ანუ შეექმნათ კონსტიტუციურ-მონარქიული წყობილება სახელმწიფო მმართველობის ორპალატიანი სისტემით, რომელშიც მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ფენას მეტ-ნაკლები რაოდენობით თავისი წარმომადგენლები უნდა აერჩიათ. დემოკრატიულ საფუძველზე არჩეული პარლამენტის უფლება ჯერ კიდევ არ იყო ფართო, მას მხოლოდ სათათბირო ფუნქციები ეკისრებოდა, მაგრამ იგი მაინც რამდენადმე ზღუდავდა მეფის ხელისუფლებას.

ამ ფრაქციის წარმომადგენლები განსაკუთრებული შემართებითა და ანტირუსული პოლიტიკური განწყობილებით გამოირჩეოდნენ. ამ ხრიე

საგულისხმოა საგამოძიებო ჩვენებებიდან ცნობილი ფაქტი. როდესაც ა. აფხაზი ჰკვეცა, რომ "საქართველოს სიკეთე მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსეთის კეთილდღეობასთან და რომ ამის წინააღმდეგ ფიქრი თვით საქართველოს წინაშე დანაშაულია მეთქი... ელიზბარ ერისთავს ეწყინა, აიღო ქუდი... ელ. ერისთავმა დაიფიცა, რომ არც ერთ ჩვენგანს ხმას არ გასცემს, და წავიდა" [15, გვ. 223].

რესპუბლიკური ფრაქცია. კიდევ უფრო პროგრესული და მოწინავე იდეები ჰქონდათ რესპუბლიკელებს. პროგრესულ-დემოკრატიული პარტიის რესპუბლიკური ფრაქცია აერთიანებს იმ პერიოდის საქართველოს ყველაზე პროგრესული იდეების მატარებელ ადამიანებს. მათი მიზანი იყო ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა რესპუბლიკის ფორმით და ქართველი ხალხის მიერ ევროპელ ხალხთა თანატოლი ადგილის დაკავება, როგორც ს. დოდაშვილი წერდა: "ძალგეიძა ჩვენ დაიმედება თავთა თვისთა სასოებითა აღდგომად სწავლითა შინა და დადგომად არა თუ ოდენ ხარისხსა ზედა პირველსა ღირსებისა ჩვენისასა, არამედ ყოფადცა ოდესმე ხარისხსა ზედა ევროპელთა ერთასა" [7, გვ. 51].

მოგვიანებით (1888 წელს) ოლივერ უორდროპი (შემდგომში იგი დიდი ბრიტანეთის ელჩად დაინიშნა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში) ქართველების შესახებ წერდა: "საინტერესოა ავღნიშნოთ, რომ ქვეყნის პოლიტიკური იდეალები დასავლეთ ევროპიდან არის ნასესხები. Iაპონიის გარდა, ალბათ, არ არსებობს შემთხვევა, როცა ხალხი ფეოდალიზმიდან პირდაპირ ლიბერალიზმში გადასულიყოს. აბსოლუტურ მონარქთა შეილიშეილები – ადამიანები, რომლებიც თითქმის მეოთხედი საუკუნის უკან უდიდესი რაოდენობის ყმების მფლობელები იყვნენ, ახლა დემოკრატიული იდეების მგზნებარე დამცველები არიან და ხმამაღლა აცხადებენ თავადისა და გლეხის, მეპატრონისა და მუშის თავისუფლებას, თანასწორუფლებიანობასა და ძმობას" [116, გვ. 167].

რესპუბლიკური იდეების მატარებელია, შეთქმულების ერთ-ერთი მთავარი გულისჩამდგმელი, საგამომძიებლო კომისიის მიერ I კატეგორიის "დამნაშაედ" ცნობილი, ოქროპირ გიორგის ძე ბაგრატიონიც (1794-1857).

ასევე პროგრესული და დემოკრატიული იდეებით საზრდოობს მეორე რესპუბლიკელი ბატონიშვილიც, ასევე I კატეგორიის "დამნაშავე" დიმიტრი გიორგის ძე ბაგრატიონი (1803-1845). რომელიც როგორც ცნობილია, კარგად იცნობდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიულ პერიპეტიებს და მის განმათავისუფლებელ იდეებს.

მის ოჯახში ერთგვარი საზოგადოებრივი აზრის ცენტრი იყო შექმნილი, სადაც იკრიბებოდნენ სოლომონ დოდაშვილი, ელიზბარ, დიმიტრი და გიორგი

ერისთავები, ეახტანგ და დიმიტრი ორბელიანები, ალექსანდრე, ივანე და ლუარსაბ ჩოლოყაშვილები, სოლომონ რაზმაძე, დავით ჯორჯაძე, იარალი შანშიევი, ესტატე ჯავახიშვილი და სხვ. დიმიტრი ბატონიშვილის და, საერთოდ, რესპულიკელების დემოკრატიული იდეური კრედო კარგად ჩანს გიორგი ერისთავის (1813-1864) ჩვენებაშიც: "კვირა-უქმე დღეებში დიმიტრი ბატონიშვილთან თავს იყრიდნენ ახალგაზრდა ქართველები. აქ იმართებოდა მსჯელობა საქართველოზე, – შეუძლია თუ არა მას იყოს დამოუკიდებელი, – ხალხის უფლებებზე, ბატონების მიერ გლეხთა შევიწროვებაზე და იმ საშუალებებზე, რომლითაც საქართველოს განთავისუფლება იქნებოდა შესაძლებელი, ამისთვის საუკეთესო საშუალებად ბატონიშვილი განათლებას აღიარებდა, ხოლო საჭირო შემთხვევაში უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობას აპირებდა, აქებდა ჟრანგებს, როგორც თავისუფლების დამცველთ" [15, გვ. 16-17]. საინტერესო ფაქტია, ის რომ დიდი ქართველი პოეტი გრიგოლ ორბელიანი, რომელიც შემდგომში ცარიზმის ერთგულ მოხელედ იქცა, შეთქმულებაში მონაწილეობის პერიოდში, 27 წლის ასაკში, რესპუბლიკური იდეებით იყო გატაცებული, "გრ. ორბელიანს მომავალი მმართველობა საქართველოში სწორედ რესპუბლიკური ფორმით აქვს გააზრებული" [8, გვ. 17].

მათთან იდეურ კავშირშია 32 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული თაობა, რომელიც ს. დოდაშვილის იდეებით საზრდოობს. მწერალთა (ნიკოლოზ ბარათაშვილი, დავით მაჩაბელი, მიხეილ თუმანიშვილი, კონსტანტინე მამაცაშვილი, ლუკა ისარლიშვილი და სხვ.) თაოსნობით გაძოსულ ჟურნალ "გიმნაზიის ყვავილში" დაიბეჭდა ს. დოდაშვილის ორი ნაწარმოები (ერეკლე მეორის მეფობა, № 3, 1835 წ. და ქართული ლიტერატურის მიმოხილვა, № 5, 1836 წ.). იმ პერიოდში "მათი მოთავსება გიმნაზიის ჟურნალში ნათლად მოწმობს იდეურ სოლიდარობას მადლიერ მოწაფეობასა და ღირსეულ ნამასწავლებლარს შორის... დოდაშვილის ამაგს უქმად არ ჩაუვლია: ახალგაზრდობა ეხმაურება მის მამულიშვილურ აზრ-გრძნობებს, საზრდოობს მისი ნაკალმარით, მისი იდეებით აღგზნებული აპირებს ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლას" [16, გვ. 48-49].

მეექვსე თავი
1832 წლის შეთქმულების პოლიტიკური გაკვეთილები

1. კოლონიური ძარცვისა და ეროვნული ჩაგვრის პოლიტიკა XIX საუკუნის 40-იან წლებამდე

რუსეთის ხელისუფლება დაპყრობილი ტერიტორიების ათვისებას, ინტენსიური კოლონიზაციისა და რუსიფიკაციის ფართო გეგმების რეალიზაციას, XIX საუკუნის 40-იან წლებამდე ახორციელებდა ძარცვისა და ეროვნული ჩაგვრის განსაკუთრებული ძალისმიერი და უხეში მეთოდებით. რუსულ მმართველობას, რომელიც საქართველოს ათვისებას სხვადასხვა გზით ახდენდა, მთავარ ამოცანად მიაჩნდა ქვეყნის კოლონიზაცია.

სტრატეგიული მიზანი იყო ის, რომ დაპყრობილი ტერიტორიები მჭიდროდ შეერწყა იმპერიასთან, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა აეძულებინათ „ენით, გონებითა და გრძნობით რუსი გამხდარიყო“ [97, გვ. 280]. დამპყრობელთა არმიას უკან მოჰყვებოდნენ რუსი მოხელეები, რომლებიც რუსული სამართლით სჯიდნენ ადამიანებს, ნერგავდნენ განსხვავებულ, უცხო წესებს და მეთოდურად ახორციელებდნენ რუსული იმპერიული სულის გაბატონებას. იმპერიის მიზანი იყო „ქართული ეროვნული ცნობიერების მოსპობა და ქართველი ერის ასიმილაცია“, საქართველო უნდა ექციათ რუსეთის განუყოფელ ნაწილად, რომელიც ხელისუფლებისათვის პოლიტიკურად სანდო იქნებოდა, ხოლო ეკონომიკურად მომგებიანი. <u>რუსეთს სურდა „ის, რაც ვერ შეძლეს სხვა დამპყრობლებმა – ქართული სახელმწიფოებრიობის სრული ლიკვიდაცია“ [23].</u> ამით, იგი არსებითად გამოირჩეოდა სხვებისგან (რომაელები, ბიზანტიელები, სპარსელები, არაბები, თურქ-სელჩუკები, მონღოლები, თურქები, ირანელები), რადგან მათი მთავარი ამოცანა იყო ხარკის მიღება და საქართველოს მორჩილებაში ყოლა, სხვა მხრივ, ასე თუ ისე, საქართველო ინარჩუნებდა სახელმწიფოებრიობის გარკვეულ ნიშნებს, შინაგან საზოგადოებრივ სტრუქტურებს, რელიგიის დამოუკიდებლობას და სხვ. ძირითადად ამუშავებული იყო მექანიზმი: ქართველები ურჩობის შემთხვევაში – კელავ შემოესეოდნენ, ააოხრებდნენ ქვეყანას, დასჯელებს დასჯიდნენ, მორჩილებასა და ხარკის მიცემაზე კელავ დააფიცებდნენ, საკვანძო ციხესიმაგრეებში ჯარს ჩააყენებდნენ

და უკან გაბრუნდებოდნენ. მაგალითად გამოდგება სპარსელები (როგორც აქემენიდების, ისე სასანიდების დროინდელი): „ირანის იმპერიაში შემავალი არცერთი ხალხი ძალმომრეობით არ გადაშენებულა და მათმა აბსოლუტურმა უმრავლესობამ დღემდე მოაღწია თავისი ეთნოგრაფიული კულტურითა და ენით; მეტიც, თავისი ისტორიული საზღვრებით. შესაძლებლობის მიუხედავად, სპარსელებს არ მოუხდენიათ და არც უცდიათ მათი ეთნიკური ასიმილაცია“ [46, გვ. 114-115].

საყოველთაოდაა ცნობილი, თუ რა სასტიკად უსწორდებოდა რუსეთის ხელისუფლება დაპყრობილ ხალხებს. მაგალითად, შავიზღვისპირეთის, ისევე როგორც მთიანი კავკასიის, მოსახლეობის რუსეთის იმპერიის ფარგლებიდან გასახლება იყო დასაწყისი მცირე ეთნოსების გაუგონარი განადგურებისა. აღმოსავლეთ და დასავლეთ კავკასიაში დამპყრობლური ომების დასრულებისთანავე ჯერი სამხრეთ კავკასიაზე მიდგა, აქ კი მაგალითისთვის, ჩვენი აფხაზების მუჰაჯირობის[31] ტრაგიკული პერიპეტიებიც იკმარებს [61].

სცენარი მთელი კავკასიისათვის ისეთივე იყო, როგორც საქართველოსა და მისი რეგიონისთვის. რუსეთის მთავრობა ასევე "ცდილობდა აჭარის სანაპირო ზოლიდან აჭარლები აეყარა და რუსეთის გუბერნიებიდან ხალხი აქ გადმოესახლებია" [1]. თუ რამდენად უმნიშვნელოვანესი იყო ცარიზმის იმპერიულ პოლიტიკაში ეს საკითხი, მოწმობს ცნობილი და გავლენიანი რუსი პიროვნებების გამონათქვამები: მეფისნაცვალი ა. ბარიატინსკი: "მთავარი მიზანია ... ამ მშვენიერი და ნაყოფიერი მიწების გამონთავისუფლება კაზაკური დასახლებებისთვის" [92, გვ. 198], მეფისნაცვალი მიხეილ რომანოვი სამხედრო მინისტრ მილიუტინისადმი გაგზავნილ წერილში წერდა – "...შეექმნათ (შავი ზღვის) სანაპიროს გასწვრივ, ენგურის შესართავამდე, კაზაკური დასახლებები..." [47], სხვაგან, კიდევ უფრო გულახდილია – "თურქეთში (აფხაზების) გასახლების მთავარი მიზანია, ჩვენდამი მტრულად განწყობილი მოსახლეობის თავიდან მოშორება" [92, გვ. 284], ხოლო იმპერატორ ალექსანდრე II-ს წერდა: "ვიმოქმედებთ ფრთხილად, მაგრამ გაბედულად, რათა საბოლოოდ გავწმინდოთ შავიზღვისპირეთი... შავი ზღვის

[31] მუჰაჯირობა ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული მოვლენაა აფხაზი და კავკასიის სხვა ხალხების ისტორიაში. «ეს არის არა უბრალო ეპიზოდი, – წერდა ისტორიკოსი შ. ინალ-იფა, – არამედ უმძიმესი ეროვნული ტრაგედია, რამაც აფხაზი ხალხი ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე დააყენა». ქართველი საზოგადოებრიობა დიდი თანაგრძნობით შეხვედა აფხაზთა და კავკასიელ მთიელთა ამ ტრაგედიას. XIX ს. გამოჩენილმა ქართველმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა: გრ. ორბელიანმა, ი. ჭავჭავაძემ, ა. წერეთელმა, ი. გოგებაშვილმა, ს. მესხმა, გ. წერეთელმა, ალ. ყაზბეგმა, ზ. ჭიჭინაძემ, პ. ჭარაიამ, ნ. ჯანაშიამ, თ. სახოკიამ და სხვ. გულწრფელი თანაგრძნობა გამოხატეს აფხაზთა და კავკასიელ მთიელთა მშობლიური მხარიდან გადასახლების გამო [იხ., 106].

აღმოსაელეთ სანაპიროს საბოლოოდ დამორჩილების საქმე, ყველაზე მეტად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწრაფად გავასახლებთ ადგილობრივ მკვიდრებს (ტუზემცებს)" [92, გვ. 183], ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი დ. სვიატოპოლკ-მირსკი აღნიშნავდა: "ბზიფის ორიენ სანაპიროზე ცარიელი სივრცეების დაუფლებით, ჩვენ შეიძლება საფუძველი ჩაეუყაროთ აფხაზეთში რუსი ხალხის განსახლების დაწყებას", "სოხუმის განყოფილების მხრიდან ყოველგვარი საფრთხის აღმოფხვრის მხოლოდ ერთი რადიკალური საშუალებაა – აფხაზეთის მოსახლეობის გასახლება თურქეთში", ... "...და საკითხი გადაიჭრება ერთხელ და სამუდამოდ", "...რამდენადაც აფხაზეთი და წებელდა თავისი გეოგრაფიული მდებარეობით თამაშობენ მეტად მნიშვნელოვან როლს კავკასიურ ომში და ყოველთვის ექნება დიდი მნიშვნელობა კავკასიაში ყოველგვარი სამხედრო მოქმედებების დროს და, განსაკუთრებით საგარეო ომების შემთხვევაში" [48] და ა.შ. კომენტარები ზედმეტია, ამ დოკუმენტურ ფაქტებში სრულადაა გამოკვეთილი კავკასიაში რუსული პოლიტიკის ნამდვილი სახე, რომელიც 21-საუკუნეშიც აქტიურ მოქმედებაშია.

რუსულმა მმართველობამ, რომელიც საქართველოს სხვადასხვა გზით ითვისებდა, პირველ რიგში, „დაიწყო ქვეყნის კოლონიზაციის კარგად გააზრებული გეგმის რეალიზება" [23].

რუსეთის მეფე, ალექსანდრე პირველი, სამთო დაზვერვის უფროსის მუსინ-პუშკინის რჩევით ყურადღებით იხილავდა სომხებისა და ბერძნების საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლების საკითხს. შემდეგ გენერალ ციციანოვის მმართველობის დროს აღიძრა საკითხი ამიერკავკასიაში დონის კაზაკების ჩამოსახლების შესახებ, უნდა მოხდარიყო შავი ზღვის სანაპიროზე კაზაკთა კოლონიზაცია. იგი ასევე, მოლაპარაკებას აწარმოებდა ურმიის მხარეში მცხოვრებ აისორებთან და მათ საქართველოში ერთიანად გადმოსახლებას ურჩევდა [105]. საქართველოს მმართველ ლიტვინოვს კი სურდა ჩეხი სექტანტები იმერეთში დაესახლებინა. საქართველოში უცხო ეთნიკური ეროვნებების ჩამოსახლების გზით, ადგილობრივ მოსახლეობაში რუსეთის ხელისუფლების საყრდენის გაჩენის მიზნით [62, გვ. 43], არაქართული მოსახლეობის ჩამოსახლებაში განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენდნენ მთავარმართებლები: ნიკოლაი რტიშჩევი (1812-1816), ალექსეი ერმოლოვი (1816-1827), ივან პასკევიჩი (1827-1831) და სხვ. ნ. რტიშჩევმა დააზუსტა საქართველოს ინტენსიური კოლონიზაციის დეტალურად დამუშავებული „სრულიად საქართველოს გენერალური რუკა" და იმპერატორს საგანგებოდ წარუდგინა.

უნდა აღინიშნოს, რომ პირსისხლიანი რუსი კოლონიზატორებისგან არაფრით გამოირჩევიან დეკაბრისტები, რომელთაც რუსეთის ისტორიოგრაფია სიამაყით მიიჩნევს რუსული საზოგადოების ყველაზე მოწინავეე, პროგრესულ-დემოკრატიულ და თეითმპყრობელობის წინააღმდეგ რუსი ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლ ადამიანებად. მაგალითად, პ. პესტელი და მისი თანამოაზრენი ჯამარჯვების შემთხვევაში აპირებდნენ კავკასიაში შეექმნათ რუსული სოფლები, რისთვისაც მშფოთვარე ტუზემცები უნდა გაესახლებინათ, მათი მიწები კი დაერიგებინათ ჩასახლებული რუსებისათვის, "შემორჩენილ ტუზემცებში ყველა საშუალებით უნდა ამოეძირკვათ ყოველივე ეროვნული და მოეხდინათ მათი სრული ათქვეფა ჩასახლებულ რუსულ მოსახლეობაში (ეს ჩაწერილია "რუსკაია პრაედაში", რომელიც რუსეთის მომავალ კონსტიტუციას საფუძვლად უნდა დადებოდა) [101].

პირველი პრაქტიკული ღონისძიებების გატარება მთავრობამ უკვე 1817 წლიდან დაიწყო, როდესაც 31 სექტემბერს გერმანელ კოლონისტთა პირველი ჯგუფი, 31 ოჯახის შემადგენლობით, თბილისში ჩამოვიდა. ისინი დაეფუძნენ სართიჭალის მახლობლად და დასახლებას უწოდეს მარიენფელდი [62, გე. 17]. 1818 წელს კი საქართველოში უკვე გადმოასახლეს ეურტემბერგელი გერმანელების 486 ოჯახი.

რუსეთის ჯარების მიერ ახალციხის აღებას მოჰყვა ახალციხის საფაშოს გაუქმება, რაც ქართველი მაჰმადიანური მოსახლეობის (10000 ოჯახის) თურქეთში გადასახლებით, ხოლო მათ ნაცვლად "გათავისუფლებულ" მიწებზე სომხების ჩამოსახლებით დასრულდა. რუსეთის ხელისუფლებამ, რომლის გეგმასაც სამცხე-ჯავახეთში გენერალი ივან პასკევიჩ-ერივანსკი ახორციელებდა, თურქეთიდან 30 ათასამდე სომეხი ჩამოასახლა. ისინი რუსეთის დასაყრდენი უნდა ყოფილიყვნენ ამ მხარეში, ამის გამო, სამცხე-ჯავახეთში ორჯერ მეტი სომეხი ჩაასახლეს ვიდრე განზრახული იყო, ჩვესაბამისად, დღის წესრიგიდან მოიხსნა ამ ადგილებში კაზაკთა ჩამოსახლების საკითხი, [32] გადაწყდა მათი გამოყენება სხვა დაპყრობილი ტერიტორიების კოლონიზაციისთვის. 1829-1831 წლებში ამიერკავკასიაში გადმოსახლდა ბერძნების რამდენიმე ათასი ოჯახი და ჩაასახლეს სამცხე-

[32] გრაფ პასკევიჩ-ერივანს, ის მიერ კაზაკების მაგივრად სომხების ჩამოსახლების გამოჩენილი ამ გულმოდგინების შედეგებ- დღემდე იმის საქართველო, რადგანაც სომხები დაასახლეს სომხეთის მოსაზღვრე ქართულ მიწებზე და ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე სომხურ მოსახლეობის ნაწილს შეუქმნა ამ ქართული მიწების არაქართულობის ილუზია და სომხეთთან შეერთების პრეტენზიაც კი გაუჩინა.

ჯავახეთსა და წალკის მხარეში [106]. ასევე, ირანის აზერბაიჯანიდანაც ჩამოასახლეს 8250 სომხური ოჯახი.

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ამიერკავკასიაში რუსული კოლონიებისა და სამხედრო დასახლებების შესაქმნელად ახალი პროექტები შემუშავდა, რომლებშიც ყურადღება გამახვილებული იყო ცენტრალური რუსეთიდან დუხობორების, მალაკანების, სკოპცების, სუბოტნიკებისა და სხვა რელიგიური სექტანტების გადმოსახლებაზე. მოკლე ხანში რუსული სოფლების რიცხვმა უკვე ორმოცდაათს მიაღწია.

რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ პირველი, რომლის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა კავკასიაში "მთის ხალხების სრული დამორჩილება ან დაუმორჩილებლების ამოწყვეტა" [110], განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სამხედრო დასახლებათა მოწყობას[33] სამსახურიდან დათხოვილი დაოჯახებული ჯარისკაცებისგან, რომლებსაც მოავრობა მიწის საჭირო რაოდენობითა და სამუშაო იარაღით უზრუნველყოფდა. მისი აზრით, ასეთი დასახლება უნდა გამხდარიყო საყრდენი ძალა, რომელიც განამტკიცებდა რუსეთის სამხედრო ბატონობას კავკასიაში და უზრუნველყოფდა ადგილობრივი მოსახლეობის სრულ მორჩილებას [86, გვ. 381]. ამ პროექტის განხორციელება დაიწყო 1837 წელს და ძალიან მალე, საქართველოში შეიქმნა სამხედრო კოლონიები: წალკაში, მანგლისში, ახალციხის მიდამოებში, თეთრწყაროში, წითელწყაროში და სხვაგან ეს სამხედრო სოფლები მთავრობის განსაკუთრებული მზრუნველობით სარგებლობდნენ. 1841 წელს, მთავრობის განკარგულებით, ამიერკავკასიაში „თავისუფალი" სახაზინო მიწების სპეციალური ფონდიც კი გამოიყო სამხედრო და სხვა კოლონიების საჭიროებისათვის.

მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ თუ 1800 წელს არაქართული მოსახლეობა საქართველოს მთელი მოსახლეობის მხოლოდ 11% შეადგენდა, თანდათან ქართულ მიწებზე არაქართველთა ხვედრითი წილი 32%-მდე გაიზარდა [44, გვ. 766-767]. ხოლო თბილისში, მაგალითად, რუსების წილი 1803 წელს იყო სულ რაღაც 1.9% იყო, ხოლო საუკუნის შემდეგ (1910 წ.) მიაღწია 30%-ს.

---

[33] XXI საუკუნეშიც რუსეთი ისეთივე მეთოდით მოქმედებს, როგორითაც მე-19 საუკუნეში მოქმედებდა კავკასიაში, ანუ „სამხედრო დასახლებები" შექმნა: ჯერ ჯარი შემოიყვანა, შემდეგ მცირე გამაგრებული ზონა შექმნა და ბოლოს ამ ჯარისკაცების ოჯახების ჩამოყვანის მეშვეობით - სამხედრო დასახლებები. აი, ეს პროცესი მიდის ახლა აფხაზეთში. ამას მოჰყვება ტერიტორიის მისაკუთრება და შემდგომში ამ ტერიტორიის თავის სამშობლოდ გამოცხადება. ასე იყო ყუბანის და თერგის ნაპირების შემთხვევაში, რაც რუსეთმა ასეთივე მეთოდებით მოახერხა მათი მითვისება და დღეს უკვე იქაური კაზაკები სამშობლოა. http://www.ghn.ge/news-45404.html

ქართველები კი იმავე 1910 წლისათვის, იმავე თბილისში, მოსახლეობის მხოლოდ 16.6%-ის შეადგენდნენ [29, გვ.59].

ქვეყნის კოლონიზაციის სტრატეგიის ნაწილი იყო რეფორმა, რომელიც გატარდა XIX საუკუნის დასაწყისში. რუსეთის საიმპერატორო კარმა აღმოსავლეთ საქართველო ხუთ მაზრად და ხუთ დისტანციად დაყო, საუბნო ერთეულები – დისტანციები აღმოსავლეთ საქართველოს არაქართველ მკვიდრთა დასახლებებისათვის შექმნა [72]. ცხადია, რომ ეს ნაბიჯი იყო შორსგამიზნული პოლიტიკური მანევრი, რათა მომავალში გაეჩინა მტკიცე დასაყრდენი უცხო ტომელების სახით, ჩვენი ქვეყნის სრული კოლონიზაციისათვის [46, გვ. 118].

რუსეთის ხელისუფლება სამხედრო-პოლიტიკური პოზიციების განმტკიცებასთან ერთად, ცდილობდა გაეტარებინა ამიერკავკასიის ეკონომიკურად ათვისების ღონისძიებებიც. პაველ ციციანოვს თავიდანვე დაუსახეს მიზნად "კასპიისა და შაეი ზღვების დაკავშირება სავაჭრო გზით", რომლის განსახორციელებლადაც საჭირო იყო ხელის შემშლელი ბარიერების მოცილება, ანუ დარჩენილი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ერთეულების ლიკვიდაცია [30, გვ. 22].

ფინანსთა მინისტრი კანკრინი სახელმწიფო საბჭოსადმი 1827 წელს წარდგენილ პროექტში უკმაყოფილებას გამოთქვამს ეკონომიკური რეფორმის ტემპის შესახებ, იგი თვლის, რომ რუსეთს ჯერ ნაბიჯიც არ გადაუდგამს ამიერკავკასიის შემოსავლის მდიდარ წყაროდ გადასაქცევად [44, გვ. 125]. კანკრინს იმედი აქვს: „ჩვენ თუ შესაბამის ექსპლოატაციას გავუწევთ, ამიერკავკასია გადაიქცევა რუსეთის ინდოეთად" [89, გვ. 37]. ბარონი განიც თვლიდა, რომ ამიერკავკასიის ათვისება იოლი საქმეა, რიმ ეს მხარე "სულ მცირე შრომისა და უმნიშვნელო კაპიტალის დაბანდებით ძალიან დიდ მოგებას გვპირდება" [97, გვ. 314]. გენერალი პასკევიჩი კი საკუთარ შეხედულებას გრაფ კანკრინს უზიარებდა: „საქართველო ისე უნდა განვიხილოთ, როგორც კოლონია, რომელიც დაამზადებს რა უხეშ მასალას ჩვენი ფაბრიკებისათვის, რუსეთიდან ჩამოიტანს მანუფაქტურულ ნაწარმს" [86, გვ. 140]. საქართველოს ეკონომიკური ექსპლოატაციის იდეებს გამოეხმაურა ადგილობრივი რუსული პრესაც. მაგალითად, პ. ვიშესლავცევი გამოთქვამდა რა თავის ნააკვეთში შეხედულებებს, თუ როგორ უნდა მომხდარიყო ამიერკავკასიის ეკონომიკური ათვისება, წერდა: „ამ ქვეყანაში, როგორც რუსეთის კოლონიაში, არ შეიძლება მანუფაქტურების მოწყობა... რადგან შეიძლება ამან რუსეთის ბურჟუაზიას ზიანი მიაყენოს" [89, გვ. 37].

რუსეთის ხელისუფლების მიერ შედგენილ საქართველოს ეკონომიკური ათვისების პროგრამებში საქართველოს, მხოლოდ ნედლეული და სოფლის მეურნეობის პროდუქტები უნდა მიეწოდებინა რუსეთისათვის. თუმცა ეს პროგრამები მაშინ ვერ განხორციელდა, რადგან იმჟამად თვითონ რუსეთი არ იყო ისე დაწინაურებული, რომ შეძლებოდა საქართველოს ფართო მასშტაბის ეკონომიკური ექსპლუატაცია [10].

2. სარეფორმო დილემა, "სამართალი" რუსულად

მათ, გარედან, უცხოური კანონებით
ასამართლებენ და განუკითხავად ატყუებენ. [34]
სერ ოლივერ უორდროპი

რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს კოლონიური ექსპლოატაციისა და რუსიფიკაციის ფართო ეგებები კი დაისახა, მაგრამ აშკარა გახდა, რომ 1801 წელს აქ შემოღებული მმართველობა, უკვე ვეღარ პასუხობდა მთავრობის დასახულ მიზნებს. სენატორი მეჩნიკოვი 1831 წელს აღნიშნავდა, ეს მმართველობა რომ დატოვო, "ნიშნავს მტრულად იყო განწყობილი რუსეთისადმი და ითმინო პოლიტიკური სხეულის ავადმყოფობა იმ ზომამდე, როცა მისი განკურნება შეუძლებელი იქნება, ამიტომ ჩემი აზრია - ახლავე ჩავუყაროთ საფუძველი მის გარდაქმნას, გადადება მავნეც იქნება და სახიფათოც" [97, გვ. 231].

1833 წელს დაარსდა „კავკასიის კომიტეტი", რომელსაც დაევალა ახალი მმართველობის პროექტის შედგენა. ადგილობრივი პირობების შესასწავლად 1837 წელს საქართველოში გამოიგზავნა სენატორ განის კომისია. მან 1837 წელს თბილისში ჩამოსულ ნიკოლოზ პირველს წარუდგინა საკუთარი პროექტი, რომლის საფუძველზეც 1840 წელს გატარდა ამიერკავკასიის მმართველობის სისტემის რეფორმა, შემოიღეს ახალი ადმინისტრაციული დანაწილება, მთავარმართებელი უფლებრივად გაუტოლეს რუსეთის გენერალ-გუბერნატორებს, მთლიანად განიდევნენ მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენლები მართვა-გამგეობაში მონაწილეობიდან, აკრძალეს სასამართლოებში ქართული კანონების (ვახტანგ მეექვსის) გამოყენებაც. ახალი რეფორმის შედეგად კიდევ უფრო გართულდა სამართლის წარმოება, გამეფდა რუსული ბიუროკრატიზმი, განუკითხაობა, მოხელეთა თვითნებობა და ბოროტმოქმედება [44, გვ. 190].

[34] უორდროპი ო. "საქართველოს სამეფო". ინგლისურიდან თარგმნა მ.ურუშაძემ. თბ., 2001, გვ. 166.

რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ ეროვნულ ჩაგვრასთან ერთად ქართველი მოსახლეობის ცხოვრებისა და არსებობის პირობები აუტანელი გახდა. მოსახლეობა კი სამართალს ვერ პოულობდა. თუ რა დონეზე ხდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება და როგორი შეუსაბამობა იყო ფაქტობრივ ვითარებასთან, მოწმობს ერთი დეტალი, განის რეფორმის მიხედვით, ინფორმაცია სოფელში მცხოვრები მოპასუხის სასამართლოში დაბარების შესახებ უნდა გამოქვეყნებულიყო გაზეთებში "პეტერბურგის უწყებებსა" და "მოსკოვის უწყებებში" და, მაგალითად, მთის მიყრუებულ სოფელ შატილში მცხოვრებ გლეხს რუსული წერა-კითხვა უნდა ცოდნოდა და თანაც პეტერბურგსა და მოსკოვში გამოსული გაზეთებიც ხელთ უნდა ჰქონოდა, რომ შეეტყო მისი სასამართლოში დაბარების შესახებ. ზედმეტია კომენტარი, თუ სამართალს ხელისუფლება ამ გლეხს რამდენად სწრაფად გადაუწყვეტდა. ამასთან, სასამართლო ორგანოებში ქართული ენის უცოდინარი მოხელეები ისხდნენ, თანაც გამეფებული იყო საშინელი მექრთამეობა. რუსული ენა ყველგან ძალით ინერგებოდა, ხოლო ქართული ენა ასევე ძალით იდევნებოდა, მაშინ როდესაც "ამ დროს არა მარტო ქართველთა, არამედ საქართველოში მცხოვრებ სომეხთა უმთავრეს სალაპარაკო ენას ქართული წარმოადგენდა. XIX საუკუნის თითქმის მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში ტფილისელ სომეხ ვაჭართა დავთრები და კომერციული მიმოწერანი მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ენაზე სწარმოებდა, ისე, როგორც ეს იყო წინა საუკუნეებში" [19, გვ. 46].

ამავე დროს გაჭიანურდა კავკასიის მთიანეთის დაპყრობის პროცესი. ჩრდილოკავკასიელი ხალხები აღსდგნენ დამპყრობელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. კ. მარქსიც კი გამოეხმაურა ამ ომს: „რუსეთი ვერ გააჩუმებს კავკასიის მთიელებს, რომელთა იარაღის ხმა მთელ მსოფლიოს უმტკიცებს, რომ კავკასია რუსეთს არ ეკუთვნის" [99]. მამაცმა შაჰ-ილმა მარჯვედ წარმოებული ომები რუსეთის ხელისუფლება საგონებელში ჩააგდო. რუსი ე. ოგარკოვი წერდა: „შამილის წარმატებებს ფართო ხასიათი მიეცა: მიურიდებმა ათეულობით რუსული გამაგრებული ადგილები ჩაიგდეს ხელში, გაანადგურეს გარნიზონები, ბევრი ჩვენს მიერ დამორჩილებული აული, კვლავ შამილის ხელში გადავიდა... პერსპექტივა ჩვენს ჭფლობელობას კავკასიაში სრულ განადგურებასა და უბედურებას უქადის" [100, გვ. 87-88].

ეს ეტაპზე მთლად სახარბიელოდ არც საერთაშორისო მდგომარეობა იკეთებოდა. რუსეთის მიერ ამიერკავკასიაში დასაყრდენი ბაზის გაჩენამ და მისმა გააქტიურებულმა სწრაფვამ ახლო აღმოსავლეთისაკენ, გამოაფხიზლა ევროპელი

დიპლომატებიც. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან გაძლიერდა ინგლისისა და საფრანგეთის დაზვერვითი საქმიანობა ირანში, თურქეთსა და კავკასიაში, განსაკუთრებით შაჲი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე და ჩრდილოეთ კავკასიაში. ზოგიერთი მიმართულებით სერიოზულ წარმატებებსაც მიაღწიეს. მაგალითად, ინგლისის მცდელობით რუსეთმა დაკარგა საეჭრო უპირატესობა ახლო აღმოსავლეთში. რუსი სტატისტიკოსი პროფ. კ. არსენიევი წერს: "ინგლისის ვაჭრები, რომლებიც დამკვიდრდნენ მცირე აზიაში და დაიჭირეს ყველა საეჭრო პოსტი ტრაპიზონიდან სპარსეთის დედაქალაქამდე, მთლიანად დაეუფლნენ ვაჭრობას სპარსეთთან, თავისი ფაბრიკატებით გააესეს და წალეკეს ჩვენი ამიერკავკასიის მხარე" [30, გვ. 39].

ინგლისს, აწუხებდა ის ფაქტი, რომ სამხრეთ კავკასია, აზიისა და ევროპის უმოკლესი შემაერთებელი ყელი რუსეთის ხელში აღმოჩნდა. იგი არ იყო გამოდევნილი შაჲი და კასპიის ზღვებიდან, მათი სანაპირო ქვეყნებიდან. ასეთი ამოცანების გადაჭრისათვის მზადებას მოანდომეს ინგლისელებმა და ფრანგებმა XIX საუკუნის 40-50-იანი წლები. ამ სამზადისის შედეგი იყო ყირიმის 1853-1856 წლების ომი. თუ რამდენად იყო იმ პერიოდში დაინტერესებული საქართველოთი ინგლისის მთავრობა, კარგად ჩანს იმ პოზიციაში, რომელიც მას ეკავა ყირიმის ომის სამზადისის დროს, თუმცა საფრანგეთის ზეწოლით იძულებული გახდა თავისი სურვილები მოეთოკა. ინგლისელთა აგენტის ლოურენს ოლიფანტის გადმოცემით, ინგლისის მთავრობა „დიდი ხანია, რაც გულისყურს აპყრობს კავკასიის ყელს". ინგლისელები მიისწრაფოდნენ გადამწყვეტი დარტყმა რუსეთისათვის სწორედ ამ „მგრძნობიარე პუნქტში" - საქართველოში მოეწყოთ და „ჩამოეგლიჯათ რუსეთისაგან ოთხი მჭიდროდ დასახლებული პროვინცია: იმერეთი, სამეგრელო, გურია და აფხაზეთი" [11]. იმ პერიოდისათვის ინგლისელები ყირიმზე უფრო დიდ მნიშვნელობას კავკასიის ფრონტს ანიჭებდნენ. ლორდი ჰ. პალმერსტონი მოითხოვდა სადესანტო ჯარების გადასხმას, პირველ რიგში, შაჲი ზღვის საქართველოს სანაპიროზე.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ მომენტში არანაკლებ საშიშროებას წარმოადგენდა საქართველოსთვის ინგლისის პოლიტიკა. ჰ. პალმერსტონის[35] გეგმით, ყირიმი და დასავლეთ საქართველო თურქეთს უბრუნდებოდა, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაში, თურქეთის პროტექტორატის ქვეშ, უნდა შექმნილიყო კავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფო შამილის მეთაურობით [80, გვ. 399]. მაგრამ ასეთი გეგმა

[35] ჰ. პალმერსტონი (1784-1865). 1809-1829 წლებში იყო ინგლისის სამხედრო მინისტრი, 1830-1841 და 1846-1851 წლებში – საგარეო საქმეთა მინისტრი, 1852-1855 წლებში – შინაგან საქმეთა მინისტრი, 1855-1865 წლებში – პრემიერ-მინისტრი.

საფრანგეთის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა, ამიტომაც საფრანგეთის წინადადებით ჯარები ჯერ ყირიმში გადასხეს.

უკანონოდ და ძალით დამყარებული რუსული რეჟიმი ქართველებისთვის უცხო და სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა.

3. სამხედრო რეჟიმის სამოქალაქოთი ჩანაცვლება

რუსეთის ხელისუფლების მიერ, როგორც ზემოთ აღინიშნა, XIX საუკუნის 40-იან წლებამდე ამიერკავკასიის ასათვისებლად გატარებულმა უხეში სამხედრო-


მიხეილ ვორონცოვი

საოკუპაციო ხასიათის პოლიტიკამ რუსეთს წარმატება ვერ მოუტანა, პირიქით, ამას ხალხის საყოველთაო დრტვინვა და აღშფოთებაც კი მოჰყვა. ამასაც უნდა გაწყობოდა ანგარიში, რომ შესაძლებელი იყო, შამილის წარმატებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას რუსეთის ანტიეროვნული პოლიტიკით უკმაყოფილო ამიერკავკასიის მოსახლეობაც მიმხრობოდა. ამას კი, შეიძლებოდა საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებინა რუსეთის ბატონობა ამ რეგიონში. ხელისუფლებას ჰაერიით სჭირდებოდა სიმშვიდე ამიერკავკასიის მოსახლეობაში.

რუსეთი ცდილობს კავკასიის პრობლემების გადაწყვეტაში მეტი გონიერება გამოიჩინოს. ცხადი ხდება, რომ მეტროპოლია სამხრეთ კავკასიაშიც პოლიტიკის შეცვლის აუცილებლობის წინაშე დადგა, უხეში სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი უნდა შეერბილებინა - საჭირო იყო შეენიღბა ძალის პოლიტიკა, ბრძოლის ჩვეული უხეში ფორმები და მეთოდები.

1842 წელს საქართველოში მოავლინეს პოზენი და სამხედრო მინისტრი ჩერნიშევი. მათ ჩამოსვლას მოჰყვა ზოგიერთი ცვლილებები - ადგილობრივ თავადაზნაურობას რუსულ მართვა-გამგეობაში მონაწილეობის უფლება მისცეს, ნაწილობრივ აღადგინეს ვახტანგ VI-ის კანონები და სხვ. ამ მცირე დათმობებით

მთავრობამ ეაბატონებული ფენების დაკმაყოფილება სცადა, მაგრამ ეს უმნიშვნელო ცვლილებები საკმარისი არ აღმოჩნდა. 1844 წლის ბოლოდან კავკასიაში მთავარმართებლის ნაცვლად შემოიღეს ფართო უფლებამოსილებით აღჭურვილი მეფისნაცვალის თანამდებობა, რომელზეც დაინიშნა ინგლისური დიპლომატიური სკოლის ტრადიციებზე აღზრდილი, განათლებული, შორსმჭვრეტელი და ცბიერი პოლიტიკოსი მიხეილ ვორონცოვი [36] - მეგობრობის ნიღაბს ამოფარებული ულმობელი კოლონიზატორი. ნიკოლოზ პირველმა პირადად გააცნო ვორონცოვს ის ამოცანები, რომლებიც უნდა განეხორციელებინა მას კავკასიაში მოღვაწეობის დროს. ამ ამოცანების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი იყო კი „კავკასიის ხალხების რუსებში გათქვეფა“ [104].

კავკასიის სამეფისნაცვლო დაიყო თბილისის, ქუთაისის, შემახის და დერბენტის გუბერნიებად. სხვათაშორის, ამ ცვლილებით, ცარიზმმა ქართველთა რუსიფიკაციის გზაზე უმტკივნეულოდ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა, იმით, რომ მოსახლეობისათვის ყურადღების გამახვილების გარეშე, ამ მომენტიდან ხმარებიდან ამოიღო ცნება საქართველო, როგორც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სახელწოდება. [37]

ვორონცოვიც მოქნილად და მოხერხებულად შეუდგა მიღებული დავალების შესრულებას. მან კავკასიის კოლონიური ათვისების შინაარსი იგივე დატოვა, შეცვალა მხოლოდ ფორმა. იგი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ქართული საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში დაენერგა რუსული სულისკვეთება, რუსული წესები, მაგრამ, თავის წინამორბედთაგან განსხვავებით, არა უცბად და უხეში ძალის გამოყენებით, არამედ შეფარულად, თანდათან, მეთოდურად და გეგმიანად.

ახლად დანიშნული მეფისნაცვალი, პირველ რიგში, საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ, ფუნქციადაკარგული თავად-აზნაურობის მოფერება-დაყვავების, გადაბირებისა და იმპერიის მისწრაფებისადმი მათი საქმიანობის დაქვემდებარების გზას დაადგა [100, 90]. მისი წინამორბედები მათ როგორც სეპარატისტული მოძრაობის მოთავეებს ეჭვის თვალით უცქერდნენ. ვორონცოვმა კი, პირიქით, ხელი გაუწოდა გაღატაკების გზაზე შემდგარ

[36] მ. მ. ვორონცოვი (1782-1856), თავადი, გენერალ-ფელდმარშალი, 1812 წელს ნაპოლეონის რუსეთზე თავდასხმისას ვორონცოვი მეთაურობდა გენერალ პეტრე ბაგრატიონის გრენადირებს. შემდეგ სარდლობდა დივიზიას, ხოლო 1815-1818 წლებში რუსეთის საექსპედიციო კორპუსს საფრანგეთში. 1823 წლიდან იყო ნოვოროსიის გენერალ-გუბერნატორი, 1828-1844 წლებში იყო ნოვოროსიისა და ბესარაბიის გენერალ-გუბერნატორი. 1844-1854 წლებში – კავკასიის მეფისნაცვალი და კავკასიის განსაკუთრებული კორპუსის მთავარსარდალი.

[37] აშკარაა ვორონცოვის ხელწერა – მანამდე მან, ნოვოროსიისა და ბესარაბიის გენერალ-გუბერნატორობის დროს (1828-1844) ბესარაბია ნოვოროსიის შემადგენელი ნაწილი გახდა, აიკრძალა საქრის წარმოება მოლდოვურ ენაზე და სხვ.

თავადაზნაურობას და თანდათან ჩაითრია კოლონიურ ღონისძიებათა განხორციელებაში. მან მათ სასარგებლოდ გარკვეული ღონისძიებანი გაატარა: 1849 წელს გაიხსნა ამიერკავკასიის ბანკი, რომელიც თავადაზნაურობას გრძელვადიანი სესხის აღების საშუალებას აძლევდა, დააჩქარა მათთვის წოდების დამტკიცების გაჭიანურებული საქმე, რითაც 30 ათასამდე კაცი დამტკიცდა თავადაზნაურულ წოდებაში, უამისოდ კი ჭირდა სახელმწიფო სამსახურში მიღება. თავადაზნაურთა გული მოინადირა 1849 წელს მიღებული კანონითაც, რომელმაც მემამულენი გაათავისუფლა სასამართლო ორგანოებში ყმების კუთვნილების შესახებ საბუთების წარდგენის მოვალეობისაგან. ამიერიდან თვითონ გლეხებს უნდა ჰქონოდათ თავიანთი თავისუფლების დამამტკიცებელი საბუთი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პერიოდში იწყება ფეოდალური საკუთრების თანდათან მოშლა, დაქირავებული შრომის შედარებით ფართოდ გამოყენება, სამრეწველო უჯრედების შექმნა, საქართველო თანდათან ებმება კაპიტალისტური განვითარების ორბიტაში. ერთი სიტყვით, დაიწყო ძველი სოციალ-ეკონომიკური ფორმაციის რღვევა. ეორონცოვმაც ალღო აუღო ვითარებას, იგი ესწრაფოდა დაჩქარებულიყო რუსეთის ერთიანი ეროვნული ბაზრის ორბიტაში საქართველოს ჩართვა, მის ნაწილად გადაქცევა. სწორედ ამას ისახავდა მიზნად, და არა საქართველოზე სრუნვას, მის მიერ გატარებული ის ღონისძიებები, რომლებიც სავაჭრო გზების გაყვანით, რუსი კაპიტალისტების მოწვევით. სოფლის



მ. ეორონცოვის ძეგლი თბილისში (იდგა დღევანდელი ზაარბრიუკენის, ყოფილი ეორონცოვის მოედანზე)

მეურნეობის რაციონალური მოწყობით, ბანკის გახსნით [103] და სხვა მრავალი ეკონომიკური ხასიათის საქმიანობით გამოიხატა.

ვორონცოვი, საქართველოს დასამორჩილებლად და ადგილობრივი მოსახლეობის გარუსებისათვის, გარდა პოლიტიკური, ადმინისტრაციული, სამხედრო, ეკონომიკური ღონისძიებებისა, დიდ ყურადღებას აქცევდა კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობასა და მათ განვითარებას. მან, დაინახა რა ქართულ ხასიათში განსაკუთრებული, ბუნებრივი მიდრეკილება ხელოვნების, კულტურისა და განათლებისადმი, იგი მიიჩნია ქართველებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან საშუალებად, ალღო აუღო ამ სფეროებში ქართველთა წინსვლის რეალობასაც, და შეფერხების მაგიერად, თავისი პოლიტიკის არსენალში ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი დაუთმო სწორედ კულტურული ხასიათის ღონისძიებების გატარებას. თავიც წარმოაჩინა, როგორც ქართველთა წარსულის დამფასებელმა და ქართული კულტურისა და ხელოვნების დიდმა მეცნატმა. მისი მმართველობის პერიოდში თბილისში 1845 წელს დაარსდა რუსული თეატრი, 1846 წელს გაიხსნა საჯარო ბიბლიოთეკა, 1850 წელს ნება დართეს ქართველებს აღედგინათ ქართული თეატრი, 1851 წელს შეიქმნა იტალიური ოპერა, 1852 წელს მუშაობას შეუდგა კავკასიური მუზეუმი, 1852 წელს გამოვიდა ქართული ჟურნალი „ცისკარი", თავადაზნაურთა შვილები რეგულარულად იგზავნებოდნენ რუსეთში სასწავლებლად, თბილისში გაიხსნა მეორე გიმნაზია, გიმნაზია გაიხსნა ქუთაისშიც.

ვორონცოვმა შეცვალა შამილთან ომის ტაქტიკაც. მისი წინამორბედნი ერთბაშად აპირებდნენ კავკასიის მთიანეთის დაპყრობას, მაგრამ მათ ცდას წარმატება არ მოჰყოლია. ვორონცოვი კი მოთმინებით და თანდათანობით შეუდგა მიზნის განხორციელებას: დაიწყეს ტყეების გაჩეხვა, რათა თავისუფლად გადაადგილებულიყო ჯარი და მოეპოვებინათ მთიელებისათვის თავშესაფარი, დაკავებულ მიწებზე და ზურგში წართმეულ მიწებზე აწყობდნენ კაზაკურ სტანიცებს. ერთი სიტყვით, როგორც ა. ზისერმანი აღნიშნავს: „ხიშტის სისტემა შეცვალა ნაჯახის სისტემამ" [94, გვ. 72].

ვორონცოვის პიროვნებამ, მისმა შენიღბულმა პოლიტიკამ ბევრი ჩვენი ცნობილი მამულიშვილიც კი დააბნია. არჩილ ჯორჯაძე წერდა: „ვორონცოვის პოლიტიკა იყო სწორედ ის პოლიტიკა, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ამაოდ ეძებდა რუსეთის მმართველობის წესებში ქართველთა პოლიტიკური აზროვნება. ერთგულება და მჭიდრო კავშირი რუსეთთან, ხოლო ნაცვლად ამისა, ქართველებს, ეროვნულ-კულტურულ ღირძინების უზრუნველყოფა რუსეთის

მფარველობის ქვეშ... ეორონცოვმა პირველმა გაბედულად გამოაცხადა ეს დღემდე განუხორციელებელი იმედი. ქართული ეროვნული კულტურა რუსეთის მფარველობის ქვეშ, - ეს ოცნება რეალობად იქცა“ [74, გვ. 9]. ეორონცოვის თანამედროვეები ზედაპირულად უდგებიან საკითხს, ვერ ამჩნევენ იმ მიზეზებს, რომლებმაც რუსეთის პოლიტიკის შერბილება და სარბიელზე ეორონცოვის ტიპის პოლიტიკური მოღვაწის გამოჩენამ გამოიწვია, იმ მიზნებს, რომელთა განხორციელებასაც აპირებდა რუსეთი ქართველებისადმი “მეგობრული გრძნობით” შეპყრობილი ეორონცოვის ხელით. ისინი პოლიტიკაში ამ ცელილებებს ეორონცოვის ქართველებისადმი სიყვარულს უკავშირებდნენ.

არ არის გამორიცხული, რომ ეორონცოვს მართლაც ჰქონდა გარკვეული სიმპათიები საქართველოსადმი, მაგრამ ეს სულაც არ უშლიდა ხელს უნარიანად და თავდადებით წარემართა ქართველთა საზიანო, იმპერიის სასარგებლო პოლიტიკა. ეორონცოვი თვითონ აღნიშნავდა: „საქართველო სულ სხვა ბაღია და მის ყვავილებს სხვაგვარი მებაღეობა ეჭიერება“ [65, გვ. 97]. მისი ქვრივი იგონებდა, რომ ეორონცოვს “აღტაცებით უყვარდა ქართველები, დიდ პატივსა სცემდა მათ წარსულს და მომავალზე იმედოვნებდა, სულ იძახდა ამბობდა: “ეს პატარა საქართველო დიდ რუსეთის ქარგაში უმშვენიერესი ფერადი და უმტკიცესი ოქრო-ქსოვილი იქნებაო” [65, გვ. 90]. სწორედ დიდი რუსეთის ქარგისთვის სჭირდებოდა და უყვარდა მას საქართველო.

ითვალისწინებდა რა ქართულ ხასიათს, ქართულ ბუნებას, ეორონცოვი მიმართავდა სხვადასხვა ეფექტურ საშუალებას. აწყობდა თავადაზნაურთა ათასგვარ გასართობებს, მართავდა ევროპულ სამეჯლისო საღამოებსა და წვეულებებს. დაუახლოვდა ქართველ არისტოკრატთა ოჯახებს, გააჩაღა მათთან მისვლა-მოსვლა, რაც პრესტიჟის ერთგვარ საზომადაც იქცა. მიზანი მიღწეულ იქნა და მართლაც საზეიმო, თვალისმომჭრელი, მიმზიდველი და პრესტიჟული გახდა მეფისნაცვლის სასახლის რუსული ატმოსფერო. სამშობლოს დასაცავად მუდამ იარაღშემართული, გამუდმებული ომიანობით მოღლილი და ახლა უფუნქციოდ და საკუთარი სახელმწიფოს გარეშე დარჩენილი ქართველი თავადაზნაურობა აიყოლია ევროპული ყაიდის ამ ახალმა ბრწყინვალე ცხოვრებამ, რომელმაც აიტაცა, გააბრუა და მიუყუჩა ეროვნული შეგნება და მოვალეობა. მოულოდნელად დ. ევრაგულად აღმოჩნდა ქართველი არისტოკრატია ამ ახალ, საცდუნებელ, დიდხარჯიან ცხოვრებაში ჩათრეული, რომლისთვისაც ადრე ომიანობით მოუცლელმა, ცხოვრება ისეთ ყაიდაზე ვერ ააწყო, რომ ფული და ქონება ეგროვებინა. არც ახლა აღმოჩნდა მზად იმისთვის, რომ მამულში

მომგებიანი მეურნეობა მოეწყო. ამაყი და პატივმოყვარე ქართველი თავადაზნაურობა იძულებული ხდება სესხი აიღოს ბანკიდან, დააგირაოს მამულები, რომლებსაც (ამ ქართულ მიწებს) ბოლოს არაქართველები ეუფლებიან. საქართველოს ხელიდან ეცლებოდა მარჩენალი მიწა. ვორონცოვმა საბოლოოდ მოსპო ქართული ფულის ტრიალიც. ცვლილებები შეიტანა საქართველოს საზიანოდ ამიერკავკასიის დანაწილებაშიც და სხვ.

მიხეილ ვორონცოვის კოლონიური პოლიტიკა, მთელი რიგი დადებითი ღონისძიების მიუხედავად, ქართველი ხალხის ეროვნული გადაგვარების ბევრად უფრო მეტ საშიშროებას შეიცავდა. მან ყურადღება გაამახვილა ერში გათიშულობისა და ურთიერთდაპირისპირებულობის გაღრმავებაზე. იგი მოქმედებდა "დაჰყავი და იბატონეს" პრინციპით. პოლიტიკის წარმატების უზრუნველსაყოფად ადგილობრიებშივე გამონახა საერთო ენა, მოიხიბლა მათი სუსტი წერტილები, მოისყიდა არაარსებითი შეღავათებით, დაარწმუნა სხვა სოციალური ფენიდან თუ კლასიდან გამომდინარე საშიშროების არსებობაში. რაც მთავარია გაიჩინა დასაყრდენი ძალა და ქართველები დაუპირისპირა ერთმანეთს. ასეთი დამუშავების შემდეგ ეროვნული გრძნობები დაჩლუნგდება და ყურადღება მოდუნდება იმ საფრთხის მიმართ, რომელსაც "მეგობრის" სამოსელში გახვეული დამპყრობელი უმზადებდა საქართველოს. ვორონცოვი ქართველ არისტოკრატიას ამ მეთოდით "დაუძმობილდა" (მოგვიანებით წითელი მეტროპოლია, იმავე სქემით, პროლეტარიატს "უძმობილდება"). მისი აზრით, ის, რაც ვერ შეძლო რუსულმა იარაღმა, რუსულ ყაიდაზე მოაზროვნე ქართველს უნდა გაეკეთებინა (სახეზე უკვე ჰქონდა გენერალ პაულე ციციანოვის მაგალითი). მართლაც, ქართველთა ნაწილი კარგ ცხოვრებასა და ჩინ-მედლებს აყოლილი, თვითონვე ჩაება ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გატარებაში. სწორედ მისი ასეთი შემპარავი, მოქნილი, თვალისამხვევი პოლიტიკის გატარებით ენერგიულად ისპობოდა ქართული სახელმწიფოებრიობის უკანასკნელი ნაშთები.

რასაკვირველია, ამიერკავკასიაში ვორონცოვის მოღვაწეობა, მათ შორის, მასინაც როცა კულტურის კერებს მფარველობდა, რუსეთის პოლიტიკის მიზნების განხორციელებას ემსახურებოდა და ეს კარგადაც იკითხება საკმაოდ თვალსაჩინო თბილისში თეატრის დაარსების ფაქტში. იგი 1849 წელს მეფის სასახლის მინისტრისადმი გაგზავნილ წერილში წერს: „თეატრის არსებობას უნდა შევხედოთ არა მარტო, როგორც სიამოვნებისა და გართობის საშუალებას, არამედ როგორც ისეთ დაწესებულებას, რომელსაც აქვს დასახული მნიშვნელოვანი მიზანი: ტუზემცებში გააცნოს რუსულ ენას, რუსულ ჩვეულებებს

და ასეთნაირად ხელი შეუწყოს და ისინი თანდათან გაითქვიფოს რუსებში“ [14] (ეორონცოვი ანალოგიურ აზრს გამოთქვამს ქართული თეატრის დაარსების თაობაზე ნიკოლოზ პირველისადმი გაგზავნილ მოხსენებაში). მაგრამ ისიც ცხადია, რომ პატრიოტი ქართველებიც ცდილობდნენ, მისი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის შედეგების თავის სასარგებლოდ გამოყენებას. ისინი ხელს უწყობდნენ ქართველთა ეროვნულ გათვითცნობიერებას, სულიერი და მატერიალური კულტურის განვითარებაში ეროვნული მუხტის შენარჩუნებას.

მეშვიდე თავი

ქართველი საზოგადოება XIX საუკუნის 30-50-იან წლებში

1. 1832 წლის დიდი მარცხის შემდეგ

XIX საუკუნის 40-იან წლებში რუსეთი თავისი ძლევამოსილების ზენიტში იყო. იგი ევროპის სულთამხუთავი უძლიერესი იმპერიაა, უცერემონიოდ ერევა ევროპის საქმეებში და საექსპედიციო კორპუსები მზად ჰყავს განმათავისუფლებელი მოძრაობების ჩასახშობად, ევროპის რომელ კუთხეშიც არ უნდა აღმოცენდეს. ირანთან და თურქეთთან ომებში ძლევამოსილი გამარჯვება, თურქეთთან სრუტეების თაობაზე 1833 წელს დადებული ხელშეკრულება, რომელიც რუსეთის სამხედრო ფლოტს ყველა ევროპულ ქვეყანაში სასიცოცხლო გზებს უკაფავდა, პოლონეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის დათრგუნვა, 1849 წლის ინტერვენცია უნგრეთში, გერმანიის საშინაო საქმეებში ხელისფასური - რუსეთის იმპერიის ამბიციები კიდევ უფრო ზრდიდა.

ამ პოლიტიკურმა გარემოებამ და 1832 წლის შეთქმულების მარცხის შემდეგ შექმნილმა რეალობამ ქართველი პატრიოტები მოცემულ ეტაპზე შეიარაღებული ბრძოლის გაგრძელების პერსპექტივობაში დაარწმუნა. არსებული რეჟიმის პირობებში საჭირო გახდა ბრძოლის ახალ ფორმაზე გადასვლა, რაც გულისხმობდა რუსეთის იმპერიისაგან შეფარულად და შენიღბულად ეროვნული საქმის კეთებას. ერთი შეხედვით, მათ წმინდა პროფესიულ საქმიანობას უნდა ჰქონდა გამოკვეთილი მიზანმიმართული ხასიათი - რუსული რეჟიმის პირობებში, როდესაც უკვე „ხმლის ქნევა" შეუძლებელი ხდებოდა, შენიღბულად თავიანთ სამოქმედო ასპარეზზე, ყველა ხელმისაწვდომი საშუალებით (წიგნი, თეატრი, თანამდებობა...) ხან შეფარულად, ხან აშკარად, ტოტალური გადაგვარების საფრთხის პირობებში, უნდა ეცადათ ერისათვის შეენარჩუნებინათ ქართული სული, ეროვნული იერსახე და მეობა, აეშაღლებინათ ეროვნული თვითშეგნება და ამ ფორმით გაეგრძელებინათ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ხელსაყრელი ვითარების დადგომამდე.

1832 წლის შეთქმულების მარცხის შემდეგ თითქოს გარკვეულმა "სიცარიელემ" დაისადგურა და მას ჩვენი ისტორიოგრაფიაც ნაკლებ ყურადღებას უთმობს. მაგრამ ეს ასე არ არის, ამ პერიოდში "მთელი სამი ათეული წლის

მანძილზე, ჩვენი წინაპრების ეროვნული თვითშეგნება არ ჩამკვდარა" [60]. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის XIX საუკუნის მთელ პერიოდში არსებობდა უწყვეტი იდეური კავშირი, ბუნებრივია, რომ "სიცარიელიდან" უცბად ვერ გაჩნდებოდა პატრიოტების მთელი დასი, რომელიც ილია ჭავჭავაძის მეთაურობით გამოვიდა ასპარეზზე 60-იან წლებში. იმ ხანებში, სანამ შეთქმულთა ერთი ნაწილი რუსეთში, გადასახლებაში იმყოფებოდა, საქართველოში საზოგადოებრივი ცხოვრება მთლად არ ჩამკვდარა, მეტნაკლებად სასარგებლო საქმიანობა მაინც მიმდინარეობდა, თუმცა წინანდელთან შედარებით ნაკლები ინტენსიობით.

უაღრესად მძიმე იყო იმდროინდელ ქართველ პატრიოტთა ბედი და ყოფა, ტრაგიკული იყო მათი სულიერი ვითარება, როცა "სიტყვასა მართალს გულში ჰკლავდა" და დღენიადაგ ნანობდა: "ან ის რაცა ვსთქვი, რათა ვსთქვი, თუ რაც მინდოდა ვერა ვსთქვიო" [39].

სასჯელმოხდილი ბევრი მოღვაწე მალე დაუბრუნდა სამშობლოს. ბევრ მათგანს არსებობისთვის სხვა გზა არ ჰქონდა, თუ არა მთავრობის სამსახურში შესვლა, მაგრამ ასეთ ძნელ პირობებშიაც ახერხებდნენ ისინი პატრიოტული საქმიანობის გაგრძელებას. შეთქმულებაში მონაწილე ბევრმა პიროვნებამ შემდგომი ცხოვრების მანძილზე გაელენა იქონია ჩვენს მწერლობაზე, ლიტერატურაზე, პერიოდიკაზე, თეატრზე. შეთქმულთა აქტივი ცდილობს სამშობლო წარმატებული იყოს როგორც კულტურის დარგში, ისე პრაქტიკულ სფეროში. შეთქმულთა წრეში დაიბადა დაქსაქსული ქართველების გაერთიანების იდეა და იგიეე წრე იყო ჩვენში დამაარსებელი პირველი საზოგადოებისა, ისინი იღვწიან აგრეთვე მრეწველობისა და მეურნეობის დარგში. შეთქმული დიმიტრი ყიფიანი ახალ თაობასთან ერთად ქმნის ეკონომიკურ ბაზას ქართველების კულტურული წინსვლისათვის: დაარსებს საადგილმამულო ბანკს. ყოველივე იმას ადასტურებს, რომ შეთქმულებამ შესამჩნევი კვალი დააჩნია ქართველების ცხოვრებას.

მოწინავე ძალები განაგრძობდნენ იმ საქმიანობას, რომელსაც XIX საუკუნის 20-30-იან წლებში ს. დოდაშვილი მეთაურობდა. დოდაშვილის წერილებს აცოცხლებდნენ თბილისის გიმნაზიის ქართველი მოსწავლეები თავიანთ ხელნაწერ ჟურნალებში, მისმა ყოფილმა მოწაფეებმა ნ. ბარათაშვილმა, მ. თუმანიშვილმა და სხვებმა 1833 წელს ქართულ ენაზე გამოსცეს ანთოლოგია, ხოლო 1835 წელს რუსულ ენაზე დაიწყეს ჟურნალ "თბილისის გიმნაზიის ყვავილის" გამოშვება, რომელიც ქადაგებდა სამშობლოსადმი სიყვარულს და

მიზნად ისახავდა მოსწავლეთა და ქართველი ხალხის გათვითცნობიერებას. მოსალოდნელი რეპრესიების საფრთხის მიუხედავად მათ გაბედეს ანთოლოგიასა და ჟურნალში გამოექვეყნებინათ პატიმრობასა და გადასახლებაში მყოფი შეთქმულების ცნობილ მონაწილეთა სოლომონ დოდაშვილის, ალექსანდრე ჭაეჭაეაძის, გრიგოლ ორბელიანის, გიორგი ერისთავის და სხვათა წერილები, რითაც გამოხატეს თანაგრძნობა ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეებისადმი.

როგორც აკაკი გაწერელია აღნიშნავს თავის მონოგრაფიაში "ნიკოლოზ ბარათაშვილი", ამ ახალგაზრდობის მხრიდან ეს იყო "ნამდვილი პოლიტიკური გამოსვლა", პოლიტიკური დემონსტრაცია, რომლის ყველაზე აქტიური მონაწილე იყო ნ. ბარათაშვილი, რომელიც "შეთქმულთა იდეური მემკვიდრე აღმოჩნდა ქართულ ლიტერატურაში" [იხ., 22, გვ. 225].

ამ პერიოდში საზოგადოებრივი აზრის ერთგვარი ცენტრი იყო მანანა ორბელიანის (1808-1870) სალონი. ლუკა ისრალიშვილის სიტყვებიო, მისი სალონი ნ. ბარათაშვილის შემდეგაც განაგრძობდა არსებობას, რამდენადაც აქ მიეცა დასაწყისი "ცისკრის" გამოცემას და ქართულ თეატრსო.

ამავე პერიოდში ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას ემსახურება შეკრებები ყოფილ შეთქმულთან, გადასახლებიდან დაბრუნებულ ალექსანდრე ორბელიანთან (1802-1869). ივანე კერესელიძის თქმით, იგი მოწაფეებს სისტემატურად აგროვებდა და მწიგნობრობისა და სამშობლოს სიყვარულს უქადაგებდაო.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მოტივები თავს იჩენდა მოწინავე ქართველი ინტელიგენციის მრავალმხრივ საქმიანობაში. ამ დროს გ. ერისთავის, დ. მაჩაბლის და სხვათა თაოსნობით ამზადებენ ახალი ქართული ჟურნალის "სინათლის"[38] გამოცემას. ამ მიზნით გამოშვებულ "განმაცხადებაში" (განცხადებაში) ისინი აღიარებენ ხალხის პატრიოტულსა და თავისუფლებისმოყვარულ მისწრაფებას. არსებული ჩამორჩენილობის შესახებ ჩივილში გამოსჭვიოდა პროტესტი ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. იგი ერთგვარი პოლიტიკური დეკლარაციაა: "საშუალ ბარბაროსთა მძვინვარებისა ქართველთა ჰქონდათ თავისი მოქალაქეობა, სამხედრო განწყობა და შეუპრყვილებელ უწმინდესი რელიგია", "აწ სადღა არიან ჩაროხაძენი, ვინა შაეთელნი, რუსთაველნი და პეტრიწნი? სადღა ისმის ტკბილხმოვანება ბესიკისა? სად გადმოიცემიან ფილოსოფიურნი და ღვთისმეტყველებითნი ტექსტნი

[38] მოგვიანებით, 1896 წელს დაიბეჭდა ჟურნალ "კვალში" (№35). ეს თქმა საფუძვლიანად დამუშავებული აქვს მ. ბერძენიშვილს წიგნში – მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრივობის ისტორიისათვის. გამომც. "მეცნიერება", 1980.

ანტონისანი? ყოველიეე დრომან მიჰჭარა და სიბრძნეცა ქართველთა, ვითა აჩრდილნი, მათთანვე წარხდნეს".

"გამოცხადებაის" ტექსტში სიტყვასა და სიტყვას შუა ადამიანი ადვილად ამოიცნობს, რა აწუხებს "სინათლის" დამაარსებელთ, რა სწყურიათ და რისკენ მიილტვიან ისინი. აქ თითოეულ სიტყვას თავისი დატვირთვა გააჩნია. "გამოცხადებაში" მოცემულია წარსულის გაიდიალებაც და დარდიც, რომ იგი, "ვითა აჩრდილი წარხდა". ამ დოკუმენტში ყველაფერი მკაფიოდაა თქმული: დიდებულ ქართველ მწერალთა ნაღვაწვეი მოწმობდა ერის "კეთილგონიერებასა", საუკუნიდან საუკუნეში გადადიოდა და არღვეედა უმეცრების წყედიადს. ბარბაროსთა მძვინვარების პერიოდშიც კი ქართველებს ჰქონდათ დამოუკიდებლობა, საკუთარი პოლიტიკა, ჰყავდათ საკუთარი ჯარი ("სამხედრო განწყობა"), გააჩნდათ შეუბღალავი სარწმუნოება. "აწ განათლებულნი საუკუნენი მოიწიენ", ე.ი. დადგა ვანთლებული დრო, ევროპა უმაღლესი განათლებით მოსილია და მისი შუქი მსოფლიოს ყველა კუთხეს ანათებს, ველური ხალხიც კი განათლდა. საქართველოს "სინათლე" სჭირდება... მიაჩნიათ, ყოფილ შეთქმულებს. ამ განცხადებას 27 კაცი აწერს ხელს (მათ შორის, სოლომონ დიდაშვილის მეგობარი და ყოფილი შეთქმულია ხუთი: ელიზბარ ერისთავი, დიმიტრი ერისთავი, გიორგი ერისთავი, გივი ამილახვარი, დიმიტრი მაღალაშვილი). იმ მძიმე პერიოდში ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილს არ სძინავს, ის აღმავლობის გზას ადგია და მიისწრაფვის უკეთესი მომავლისაკენ, ცდილობს გამოსცეს ჟურნალი, რომელიც მისი წარმოდგენით, არის "ღონე ჩვენის განვითარებისა, განჩინდრებისა და ცხოვრებისა ჩვენისა ,,ეთილმდგომარეობაში მოყვანისა" [7, გე. 85].

რუსეთის ხელისუფლება ახშობდა ქართული ინტელიგენციის ყოველივე პატრიოტულ ინიციატივას. ამიტომ იყო, რომ ვერ გამოიცა ჟურნალი "სინათლე". მიუხედავად ამისა ბრძოლა არ შეწყვეტილა.

მკაცრი ცენზურის პირობებში ბრძოლა მიმდინარეობდა ლიტერატურულ სარბიელზეც. ეროვნული და პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლაში იყენებდნენ საქართველოს ისტორიის გმირული ეპიზოდების პოპულარიზაციის ხერხს. 1846 წელს ალ. ორბელიანმა დაწერა დრამა "დავით აღმაშენებელი, ანუ უკანასკნელი ჟამი საქართველოსი", რომელშიც დაკვირვებული მკითხველი კარგად შეამჩნევს, რომ იგი ალეგორიულად გამოხატავს იმ პერიოდის საქართველოს პოლიტიკურ ვითარებას, განსაკუთრებით იმ მდგომარეობას, რომელიც საქართველოში 1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებით შეიქმნა. მკითხველი ადვილად შეიცნობს დრამაში შეთქმულების მონაწილეთა აზრებს.

სერაფიმ ბერი ნაწილობრივ მოგვაგონებს შეთქმულების აქტიურ მონაწილეს, შუამთის ბერს ფილადელფოს კიკნაძეს. აღმაშენებლის დროის ამბებს ამოფარებულმა ავტორმა ნაწარმოებში გაატარა კავკასიელთა გაერთიანებისა და რუსეთის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის იდეა.

მოწინავე ქართველები 30-40-იან წლებიდან უკვე აყენებდნენ თბილისში უნივერსიტეტის გახსნის საკითხს, მაგრამ რუსეთის მთავრობამ მათ მოთხოვნას მხარი არ დაუჭირა. მას ეშინოდა, რომ უნივერსიტეტი კიდევ უფრო გაუღვივებდა ქართველებს განმანათლებელ იდეებს და აქ იმპერიის ბატონობის საფუძვლებს შეარყევდა.

ქართველმა მოღვაწეებმა ნ. ბარათაშვილმა, დ. ყიფიანმა, ვ. ორბელიანმა, ზ. ფალავანდიშვილმა და სხვ. საკუთარი თაოსნობითა და ხარჯით მოაწყვეს კერძო საჯარო სამკითხველო.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში გაძლიერდა ინტერესი ისტორიისადმი. დაიწერა დავით ბაგრატიონის (1767-1819) „საქართველოს ისტორია", „ახალი ისტორია" და სხვ. ნიკოლოზ დადიანმა (1765-1834) დაწერა საქართველოს ისტორია ანუ „ქართველთა ცხოვრება". 30-40-იან წლების რუსეთისა და ევროპის ისტორიკოს მეცნიერთა შორის საკმაოდ ცნობილი გახდა თეიმურაზ ბაგრატიონი (1782-1846), პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, რომელმაც დაწერა „ივერიის ისტორია". მისი ხელმძღვანელობით დაიწყო საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლა ფრანგმა მეცნიერმა მარი ბროსემ, რომელმაც ფრანგულად დაწერილი ნაშრომებით საქართველოს ისტორია ევროპის მეცნიერებას გააცნო. მან, ქართველ მეცნიერ ზ. ფალავანდიშვილთან (1818-1845) ერთად, 1841 წელს გამოსცა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი". ქართველი ისტორიკოსები პ. იოსელიანი, ს. ბარათაშვილი, მ. ბარათაშვილი გულმოდგინედ აცნობდნენ საქართველოს ისტორიას რუსსა და ევროპელ მკითხველებს.

1845 წ. პეტერბურგის უნივერსიტეტში დაარსდა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა. ამ კათედრაზე მუშაობდა დ. ჩუბინაშვილი (1814-1891), რომელმაც შეადგინა ქართულ-რუსულ-ფრანგული, ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები. მანვე 1846 წელს დაბეჭდა ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ხოლო 1855 წელს – ქართული ენის გრამატიკა და სხვ.

დამოუკიდებლობის დაკარგვამ და საქართველოში რუსეთის გაბატონებამ დიდი გავლენა მოახდინა ქართული ლიტერატურის განვითარებაზე. XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ ლიტერატურაში გაბატონდა პოლიტიკური რომანტიზმი. ქართული რომანტიზმი წარმოადგენდა შექმნილი მდგომარეობით

გამოწვეული უკმაყოფილების გამომხატველ მიმდინარეობას, რომელსაც იმავე დროს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის პროგრესული იდეები ამოძრავებდა. ქართული რომანტიზმის მამამთავარი პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე (1786-1846) ილაშქრებდა კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ. იგი თავის ნაწარმოებებში დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვის გამო.

რომანტიზმის მეორე წარმომადგენლის გრ. ორბელიანის (1804-1883) შემოქმედებაში მთავარი ადგილი ეროვნულ საკითხს უჭირავს. XIX საუკუნის 30-იან წლებამდე იგი ამღერებდა საქართველოს პოლიტიკური თავისუფლებისათვის მებრძოლ სულისკვეთებას. 30-იანი წლებიდან კი, მას შემდეგ, რაც პოეტმა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლა წაგებულად ჩათვალა, მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი შეიქმნა მწუხარება-სევდის მოტივი. ხოლო 60-იან წლებში კი იგი თავისი კონსერვატორული იდეოლოგიით დაუპირისპირდა ახალ, პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების თაობას.

ქართული პოლიტიკური რომანტიზმის ბრწყინვალე წარმომადგენელმა, პოეტმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა (1817-1845) ქართული პოეზია უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა. კოლონიური რეჟიმით უკმაყოფილო პოეტი უჩივის „სულიერ ობლობას“, ემიჯნება მოწამლულ ატმოსფეროს, „ბოროტ სულს“ და ბუნებაში ჰპოვებს შვებას. ამავე დროს, პოეტი პროტესტს უცხადებს არსებულ უსამართლობას და ქართველ ხალხს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლისკენ მოუწოდებს. პოემაში „ბედი ქართლისა“ მან ახალ სიმაღლეზე აიყვანა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეები, რომელთაც საფუძველი ჩაუყარა 1832 წლის შეთქმულებამ. ნ. ბარათაშვილის პოლიტიკურად გათვითცნობიერების საქმეში განსაკუთრებული როლი ითამაშა მისმა მასწავლებელმა სოლომონ დოდაშვილმა. როგორც პავლე ინგოროყვა „ბედი ქართლისას“ ავტორის შესახებ აღნიშნავს, იგი: „არის მემკვიდრე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიისა, რომელმაც გამოსახულება პოვა 1832 წლის შეთქმულებაში, „მამულის გამოხსნის შეთქმაში“ [5]. ნიკოლოზ ბარათაშვილი, როგორც სამშობლოს ქვეყნის მგზნებარე პატრიოტი, ურყევად რჩება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოზიციებზე, იგი საქართველოში რუსეთის კოლონიური პოლიტიკისა და ეროვნული ჩაგვრის შეურიგებელი მოწინააღმდეგეა, საქართველოს პოლიტიკური და ეროვნული განთავისუფლებისათვის შეუპოვარი მებრძოლია [22, გვ. 268].

2. რუსული ხელისუფლების ტაქტიკური მანევრი და ქართველი საზოგადოებრიობა

ქართული საზოგადოებრიობა, ამიერკავკასიაში რუსეთის მთავრობის დიპლომატიურ მანევრს, ერთნაირი სულისკვეთებით არ შეხვედრია. გარკვეული ნაწილი, რომელიც თვალის მოსატყუებელი ეფექტებითა და ილუზიებით იყო გაბრუებული, აღტაცებით შეხვდა ცარიზმის პოლიტიკის ასეთ ცვლილებებს, ცბიერი ვორონცოვის მოღვაწეობას, რამაც ერთგვარი „მეგობრული“ ატმოსფერო შექმნა.

თვალის მოსატყუებელი ეფექტებითა და ილუზიებით გაბრუებული ქართული საზოგადოებრიობის ერთი ნაწილი, სამწუხაროდ, ხელშესახები ნივთიერი მხარის გარდა ვერაფერს ხედავს. მათ რუსეთის ხელისუფლების ამ ახალ პოლიტიკურ მანევრს ალღო ვერ აუღეს, კრიტიკულად ვერ შეაფასეს და ბრმად გაეხვივნენ მტრის ნასროლ ბადეში. მაგალითად, მწერალი, ვინმე მელანია ბადრიძე აღტაცებული წერდა: "...გალერეებზე დაჰკრიან გამოწყობილი ლაქიები, ფანჯრებიდან მოსჩანან მდიდრული ფარდები და ყვავილები, ჭერზე მოოქროვილი ჭაღები. ახდა ის, რაზედაც ეოცნებობდი; არა მჯეროდა, რომ თბილისში ჩემს თანამემამულეთა შორის ასეთი განათლება იყო. როდესაც ამაში დავრწმუნდი, კვლავ გაეცოცხლდი რაღაც დიდებით, თითქოს გადამრეცხა ძველი ანიური ჟანგი..." [32, გვ. 170, 241].

ისეთებიც იყვნენ, რომლებიც არა მარტო თანაგრძნობას უცხადებდნენ დამპყრობლებს, არამედ ხელისუფლების პოლიტიკის თავდადებულ და ეროგულ გამტარებლებად გადაიქცნენ. ქართველ თავადაზნაურთა ნაწილი თავგამოდებით ეხმარებოდა იმპერიას შამილის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობაში, ხელს უწყობდა რუსეთის ანექსიონისტური პოლიტიკის გატარებას კავკასიაში, რომელიც ისეთსავე ხვედრს უმზადებდა დაღესტანს, ჩეჩნეთს, მთელ ჩრდილოეთ კავკასიას, როგორიც წილად ხვდა საქართველოს. რუსებთან შედარებით ქართველებს მთაში ომის, მთიელებთან ურთიერთობისა და ბრძოლის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება ჰქონდათ, რაც ვერაგულად გამოიყენა იმპერიამ შამილის წინააღმდეგ ომში, როდესაც ქართველები რუსული იარაღით მთიელთა სოფლებს მიწასთან ასწორებდნენ, თავს იმით იმართლებდნენ, ვითომც ამას ლეკების წინააღმდეგ "ქართველთა სისხლის საზღაურად" შეასებოდნენ (მაგრამ იმას რა გამართლება შეიძლება მოეძებნოს, როდესაც რუსულ მუნდირში გამოწყობილი ზოგიერთი ქართველი სისხლში ახშობდა 1804 წლის მთიულეთის, 1812 წლის კახეთისა, 1810 და 1819 წლების იმერეთის, 1841 წლის გურიისა და რუსების წინააღმდეგ

მიმართულ თანამემამულეთა სხვა აჯანყებებს). უფრო მეტიც, ისინი მზად არიან მხარში ამოუდგნენ რუსეთის იმპერატორს და ევროპელებსაც ასწავლონ ჭკუა. 1848 წელს ნიკოლოზ პირველს მისწერეს: "ყოველი ჩვენთაგანი გრძნობს წმინდა სიყვარულს და თავდადებას ჩვენი რუსეთის თვითმპყრობელი მონარქისადმი... გესურს, რომ მოთხოვნილ იქნეს ჩვენი სამსახური გინდა ჩვენი ქვეყნის საზღვრებში, გინდ სახელმწიფოს საზღვრებს გარეთაც, თუკი იმ უწესობათ, რომელნიც აღელვებს დასავლეთ ევროპას, შეუძლია რაიმე საფრთხე მიაყენოს იმ სახელმწიფოს კეთილდღეობას, რომელსაც პატივი აქვს საქართველოს ამჟამად ეკუთვნოდეს" [19, გვ. 10].

ისეთებიც იყვნენ რუს მოხელეებზე მეტ ერთგულებას რომ იჩენდნენ ქართველი ერის გადაგვარებაში. მაგალითად, ცნობილი გიორგი მუხრანსკი, რომელსაც ილია ჭავჭავაძემ "ჭკუით და გულით მოცეთილი" უწოდა. ზაქარია ჭიჭინაძის დახასიათებით იგი არა მარტო გარუსებული იყო და მოძალადე ქართველთა, არამედ იყო ქვემძრომი და რუსეთის მთავრობის დიდი მომხრე. მუხრანსკი ქართველთა გარუსების აუცილებლობას "მეცნიერულად" ასაბუთებდა: "საქართველო რომ მოისპობა, ამაში ეჭვი არ უნდა, ამისი მსგავსი ბუნებაშიც ბევრია, დიდი თევზი პატარას ჭამს, დიდი მხეცი პატარას და ა.შ. ამიტომ ჩვენ მომავალი არა გვაქვს და უმჯობესია ჩვენი გადაგვარება და გარუსება" [68. გვ. 19-20]. მუხრანსკიმ თავისი "ნაშრომი" ფრანგულად ათარგმნინა და პარიზშიც გამოაქვეყნა.

სამწუხაროდ, ქართველების დამპყრობლების ლაქიებად გადაქცევაზე ოცნებობს ისტორიკოსი პლატონ იოსელიანიც, "მთავრობის წევრებზე და ბალებზე უნდა გახვიდოდეთ, მთავრობასთან ახლოს იყვნეთ, რომ მთავრობა თქვენზე კარგი თვალის იყვეს. აი ბედნიერი საქმე ჩვენთვის... თქვენს ლამაზად მორთულ სახლში შედიოდნენ და გამოდიოდნენ გენერლები, პოლკოვნიკები და სხვანი. თქვენც, რა საკვირველია, მორთულები დაუხვდებით ღირებულის ტანისამოსითა, ჩინებულის სერვისითა, გემრიელს ყავას მიართმევდეთ მოტკბოს კამეჩის ნაღებითა" [32, გვ. 171]. ოკუპანტებისადმი მლიქვნელობა და „კაი ჭამა-სმა" - აი რა გახდა უკვე ამ კატეგორიის ადამიანთა ცხოვრების აზრი. ამავე დროს მათ პატრიოტებადაც მოაქვთ თავი და პატივისცემითაც ეპარებიან საზოგადოებაში.

დამონების პროცესი ძირითადად სამი ეტაპისაგან შედგება. პირველ ეტაპზე შენზე ძლიერ მოძალადეს, დამპყრობელს გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევ და იბრძვი თავისუფლებისათვის; მეორე ეტაპზე მოძალადე, დამპყრობელი ვერ კიდევ გძულს, მაგრამ ამასთანავე შეგუებული ხარ უკვე იმ აზრს, რომ ის შენზე ძლიერია და ბრძოლას აზრი აღარ აქვს, და ბოლოს, მესამე ეტაპზე უკვე იმდენად ეჩ-


ვეჟეი. ეოვისები მოძალადეს, დამპყრობელს, რომ გიყვარდება კიდეც და სხვანაირად ვეღარც წარმოგიდგენია არსებობა (ეს პროცესი კარგად არის გადმოცემული მ. ჯავახიშვილის "ჯაყოს ხიზნებში", მარგოსა და ჯაყოს ურთიერთობის მაგალითზე).

ეორონცოვმა დააჩქარა ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილის ამ მესამე ეტაპზე გადაყვანის პროცესი (რომელმაც კლასიკური სახე საბჭოთა პერიოდში მიიღო). საზოგადოების ამ ნაწილისთვის აღარ არსებობს ეროვნული თვითშეგნება, ეროვნული ღირსება და თავმოყვარეობა, და თუ არსებობს, ისიც მორჩილი და მონური სულისაა. მათ სამშობლო გულწრფელად უყვართ, ბედნიერიცა ჰგონიათ და თვითონაც ბედნიერების ილუზიებში არიან გახვეულნი. ვერ გრძნობენ იმ ეროვნულ გადაგვარებას, რომელიც თავისუფლების დაკარგვას და რუსეთის "მფარველობაში" ყოფნას მოსდევს, მიუხედავად იმისა, თუ როგორი ფორმით იქნება განხორციელებული ეს მფარველობა. ამ ხალხს ეორონცოვის სიკვდილის შემდეგაც. დიდხანს არ განელებია მისდამი სიყვარული და თაყვანისცემა. აკაკი წერეთელი წერდა: "საზოგადოდ ქართველებს ისეთი სიყვარული და ხსოვნა ჰქონდათ ვარანცოვის, რომ, თუ რუსეთში მყოფი, ან მიმავალი ქართველი ვარანცოვის ქვრივს არ გაუვლიდა (ოდესაში - ჰ. კ.) და არ ნახავდა, ვერც კი წარმოიდგენდნენ" [65, გვ. 73].

საბედნიეროდ, საქართველოში იყო სხვა ძალაც - ქართული ინტელიგენციის პატრიოტული ფრთა. ეს ჯანსაღი ნაწილი საღად აფასებდა რუსეთის პოლიტიკის არსს, ანალიტიკური გონებით იხედებოდა მოვლენის ძირში, ეჭვის თვალით უყურებდა იმპერიის პოლიტიკურ სვლებს, არ სჯეროდა დამპყრობელთა "მეგობრული მზრუნველობისა". ისინი ფხიზელ გუშაგად დაუდგნენ საქართველოს ისტორიას და ცდილობდნენ მოჩვენებითი ბედნიერების ილუზიებით გაბრუებული ქართველობის გამოფხიზლებას. ისინი გადაიქცნენ ქართული სულის, ქართული მეობის და საერთოდ ქართველი ერის სახის გადარჩენისა და შენარჩუნების გარანტად.

პოლიტიკის შერბილებამ, ჟურნალის გამოცემამ, თეატრის დაარსებამ რუსეთის მთავრობის მიზნების საწინააღმდეგო შედეგები გამოიღო. შესაძლებელი გახდა გაზრდილიყო ინფორმაციის გადაცემის რადიუსი, საზოგადოებრივი აზროვნება გამოფხიზლდა. ჟურნალ "ცისკრიდან" (ქართულად სხვა ჟურნალი არ არსებობდა) დაიწყეს შეპარულად, ხანდახან აშკარად ეროვნული იდეების, ეროვნული თვითშეგნების გაღვივება.

ამ პერიოდში ფხიზელი გონებით გამოირჩევა 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, ყოფილი ფარული საზოგადოების აქტიური წევრი, გადასახლებიდან – (ორენბურგიდან) 1840 წელს დაბრუნებული ალექსანდრე ორბელიანი (1802-1869), სამწუხაროდ, ქართველ ბაგშვებს საბჭოთა სახელმძღვანელოებში ამ პიროვნებას უხატავდნენ, როგორც რეაქციონერ ფეოდალთა ლიდერს, რომელიც დ. ჭონქაძის "სურამის ციხეში" აღწერილი ბატონისა და ყმის ანტაგონისტური დამოკიდებულების საპირისპიროდ, ქადაგებდა საერთო მტრის წინააღმდეგ ქართველთა ერთიანობის აუცილებლობას და არა კლასობრივი შუღლის გაღვივებას. ალექსანდრე ორბელიანი იყო პოეტი, დრამატურგი (მან მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში დაამკვიდრა რომანტიკული დრამა), პუბლიცისტი და ისტორიკოსი. ა. ორბელიანი ცენზურის მოსატყუებლად, საკუთარი აზრის დაფარვის მიზნით, ხშირად მიმართავს ალეგორიას. იგი იყო დიდი პატრიოტი და სამშობლოსათვის თავდადებული, თავისუფლებისმოყვარე ადამიანი. ერეკლე მეორის შვილიშვილმა (თეკლე ბატონიშვილის უფროსი ვაჟი) კარიერის გაკეთებასა და განცხრომაში ცხოვრებას, მონობაში გადიდკაცებას თავისუფლებისთვის ბრძოლა არჩია. სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე 1869 წლის 3 სექტემბერს მან დაწერა „აღსარებანი", რომელშიაც იგი წერს: „თუ ესეც ითქმის ჩემს ცოდვათ, კიდევ ეს არის, რომ მე რუსები საქართველოში არ მიყვარან, მიდა აქედგან ისე გადაიკარგნენ, რომ საქართველოს სუნიც იმათ ვეღარ მიედინოს და რუსეთში კი ბედნიერად იყვნენ" [იხ., 8, გვ. 128].


ალექსანდრე ორბელიანი

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ა. ორბელიანის ნაშუარები. მასში გადმოცემულია მისი დროის საქართველოს ვითარების მისეული პოლიტიკური ანალიზი. თავის თავგადასავალში იგი ოსტატურად აქსოვს მაშინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დამახასიათებელ სურათებს. ამ მხრივ იგი წარმოადგენს შესანიშნავ წყაროს არა მარტო ისტორიკოსებისა და ფილოლოგებისათვის, არამედ პოლიტოლოგებისთვისაც.

იმ პერიოდში იმდენად ძლიერი იყო ეორონცოვის მიერ ქართველი საზოგადოებისათვის თავსმოხვეული ეიფორიული მდგომარეობა, რომ აღტაცებას იწვევს ამ კაცის პიროვნება, რომელმაც, სწორედ ამ საერთო ეიფორიაში შეინარჩუნა ფხიზელი გონება, მიმდინარე მოვლენათა პოლიტიკური ანალიზის, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრების სიღრმეში წვდომის უნარი. იგი წერდა: "სხვა წარსული მთავარმართებლები ხომ გვატყვილებდნენ, მაგრამ ისინი უფრო დესპოტური მძვინვარებით. მაგრამ ვარანცოვის დრო, სულ სხვაგვარი მოსატყუებელი იყო, ჩვენგან გამოუცდელი. ვარანცოვი ბევრს გვეალერსებოდა ვითომც კაი კაცობას გვიჩენებდა, ნამეტნავად უფრო კიდევ იმათ, ვინც რუსეთის ინტერესზე იქცეოდა. ამასთან ხელგაშლილი, ჩანებს და სხვაგვარ ჯილდოებს იძლეოდა, თან ბევრი შექცევა და განცხრომა ჰქონდა ხოლმე... და კიდევ რამდენი რამ მოიგონა ვარანცოვმა ჩვენი მოსატყუებელი". ალექსანდრე ორბელიანს არ დარჩენია გაუშიფრავი ეორონცოვის თითქმის არცერთი პოლიტიკური სვლა, იგი განაგრძობს: "ერთობ ქართველებსა ასე ეგონათ, იმისთანა განცხრომა შექცევანი სულ ასე დარჩებოდა, ამიტომ ვარანცოვის სახელს ადიდებდნენ, ეს რა ღეთიური კაცი მოგვივიდაო, მაგრამ მე კი ზედმიწევნით ვიცოდი, ესენი სულ მოჩვენება იყო ვარანცოვისაგან, რომ საქართველოს ხალხი გართულები იყვნენ დროებითად ამაებაში და მთავრობაზედ ცუდი ფიქრი აღარავის ჰქონდეს, ამისათვის რომ ვარანცოვის დროს შამილი და დაღესტანი გაძლიერებულნი იყვნენ: ქართველების ეშინოდა (რომ არ აჯანყებულიყვნენ), მაგრამ ვარანცოვმა იმ თავისი ცბიერულის გონებით ესენი სულ ჩაშალა და ბოლოს ისეე იმ ჭონებაში დარჩნენ ქართველები, როგორც ადრე იყვნენ რუსებისა" [8, გვ. 128].

ეორონცოვის აზრით, ქართველების გარუსებაში უმნიშვნელოვანესი როლი უნდა შეესრულებინა საქართველოში განათლების რუსული სისტემის დანერგვას, აქ გეგმიანად და მეთოდურად უნდა წარმართულიყო ქართველთა გარუსების პროცესი. ალექსანდრე ორბელიანს არც ეს საკითხი გამორჩენია მხედველობიდან: "ჩვენს ეხლანდელ სასწავლებლებსაც ვერას ვიტყვით კარგსა ჩვენი ქართველებისათვისა, ამისათვის, რომ ჯერ სრული განათლების სწავლა იმათში არ არის და მას უკან, რასაც ასწავლიან, სულ ერთიან ქართველებსა რუსებად ამზადებენ" [8, გვ. 170-171].

ქართველი ინტელიგენცია ხელეცადა ყველაფერი ის, რაც რუსეთის მთავრობას თავისი მიზნებისათვის უნდოდა გამოეყენებინა - ჟურნალი, თეატრი, სკოლა გონიერული მოქმედებით ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისა და გამოფხიზლების რეალურ ძალად გადაექცია. გერისთავის თეატრი რუსული ბიუროკრატიული

ადმინისტრაციის სამხილებელი ასპარეზი გახდა. საინტერესო ფაქტს გადმოგვცემს ს. გერსამია. 1850 წელს გამართულ გ. ერისთავის პიესის "დავის" პრემიერას ეორონცოვიც დასწრებია. პიესის ერთ-ერთი პერსონაჟის, მეფის მოხელის, გაქნილი, არამზადა და მექრთამე ვზიატკინის როლს ასრულებდა სამეფისნაცველოს უმაღლესი თანამდებობის პირი შერბინინი. პიესის პერსონაჟი ასეთი დიდი კაცის ენით აღიარებდა სახელმწიფო დაწესებულებაში გაბატონებულ უმსგავსოებას და იქაურ მოხელეთა გარყვნილება-გათახსირებას. ლოთი ივანეს როლს ასრულებდა აგრეთვე მეფის დაწესებულების მოხელე ბულგაკოვი. პიესაში ეზიატკინის სხვა დამქაშები და გაიძვერებიც მრავლად არიან.

ეორონცოვი პიესის მსვლელობის დროს ისეთსავე უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, როგორშიც ნიკოლოზ პირველი გოგოლის "რევიზორის" პრემიერაზე. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ მაყურებლები გაქვავებულნი იდგნენ თავიანთი სკამების წინ, არ იცოდნენ როგორ მოქცეულიყვნენ, ისინი უხერხული მდგომარეობიდან ისევ მეფემ გამოიყვანა, რომელმაც ხმამაღლა წამოიძახა: "აი პიესა, ყველას მოხვდა და ყველაზე მეტად მე". ტაში დაუკრა და მთელი დარბაზიც აჰყვა. გულით კი ცბიერ იმპერატორს ბოღმით ჰქონდა სავსე. ეორონცოვმაც თითქმის იგივე გაიმეორა, ოღონდ უფრო მცირე მასშტაბით. ტაში დაუკრა და მას სხვებიც აჰყვნენ. მაგრამ ეს იყო გაქნილი პოლიტიკოსის ტაში, ეითომც ნანახისა და გაგონილის არაფრად ჩაგდება.

ეორონცოვი რის ეორონცოვი იქნებოდა, რომ არ მოეთმინა და ქართული თეატრის იდეოლოგიური ხაზის გამოსწორება მომაელისათვის სასურველი გზით არ წარემართა. მართლაც, მალე გ. ერისთავის პიესებმა ოფიციალური პირების უმაყოფილება გამოიწვია და 1856 წელს "დავა" და "გაყრა" აკრძალეს, ხოლო მთავრობის ოფიციალური გაზეთი "კავკაზი" ჭკუის სწავლებას იწყებს და მითითებებს იძლევა: "აქაური ხალხის ინტერესები და მისწრაფებები ოდნავაც არ ეწინააღმდეგებოდეს იმ განათლებას, რომელსაც მთავრობა მათში თესავს. საქართველოსთვის დიდი ხანია დადგა ახალი ცხოვრება, ეს მოხდა მას მერე, რაც გულში ჩაეკრა მისთვის კეთილი სურვილებით აღსავსე რუსეთს, და თუ ქართველი დრამატურგები ამ რწმენას განამტკიცებენ თავიანთ სასცენო ნაწარმოებებში, მაშინ მათ შეუძლიათ იმედი იქონიონ ადგილობრივ მკვიდრთა დიდი თანაგრძნობისა" [95]. მთავრობა ურჩევს ქართული კულტურის მოღვაწეებს თავი ანებონ მამხილებელი პიესების წერას, და რუსეთის ძლიერებას, მისი პოლიტიკის "ჰუმანურობასა და კეთილ განზრახვებს" შეასხან ხოტბა.

მაშინდელ მოღვაწეთა შორის ინტერესს იწვევს მიხეილ თუმანიშვილის პიროვნება, რომელიც "მოლაყბის" ფსევდონიმით თანამშრომლობდა ჟურნალ "ცისკარში". მისი წერილების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ერთი შეხედვით იგი თითქოს მთავრობის მეხოტბეა, მაგრამ თუ ჩავუკვირდებით, მათში ნათლად იგრძნობა განგაშის ტონი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი ეროვნულ საკითხს ეხება. იგი ერთგვარ სტრატეგიას იჩენს, თან კიცხავს ქართული საზოგადობის ერთ ნაწილს, თან თითქოს ემადლიერება მთავრობას, თანაც ეროვნულ იდეებს ქადაგებს. მიხეილ თუმანიშვილი ერთ-ერთ წერილში წერდა: ჩვენ ენას ახლა არავინ ხმარობს, წამხდარი ენა არისო... ადრე მართლა დიდ პატივში იყო ჩვენი ენა [19, 223]. "ამისთანა მყუდრო მდგომარეობაში, კაცს არ შეეძლოს თავისი სამშობლო ენის მოხმარება! უბედურება არ არის? მე უბედურება მგონია ესა, და არა თუ უბედურება, უბედურებაზე უბედურებაა! მაგრამ ვის ველაპარაკები უბედურებაზე, განა იმდენი მხურვალება გვაქვს გულში, რომ ვიგრძნოთ უბედურება?" [63]. ერთ წინადადებაში შვიდჯერ დაბეჯითებით იმეორებს სიტყვა "უბედურებას", თითქოს ავტორი ეიფორიაში მყოფი საზოგადოებისათვის არსებული საფრთხის დანახვებას, მასზე ყურადღების გიქცევას და შთაგონებას ცდილობს.

მთავრობის ხოტბა მიხეილ თუმანიშვილისთვის მხოლოდ ნიღაბია, რათა ეროვნულ საკითხებს შეეხოს. "გელაპარაკებით ქართველთა... ღვთის გულისათვის იყავით ნამდვილი ქართველნი. გიყვარდეთ თქვენი ენა, თქვენი მამული, კიდევ გაგიმეორებთ თქვენი სამშობლო ენის მზეს (ამაზე უდიდესი ფიცი არა მგონია იყოს, ვისაც კი გრძნობა აქვს და ესმის). ყური დამიგდეთ, დრო არის გაღვიძებისა. ვეცადოთ გავისწოროთ ზნეობა ჩვენი. ვიფიქროთ მომავალზე, ვიფიქროთ ჩვენს შვილიშვილებზედ, ვიფიქროთ ჩვენს სიტყვიერებაზედ, დავუმტკიცოთ ჩვენს დიდ ხელმწიფეს, რომ ჩვენც გვესმის იმისი კეთილი განზრახვა. ვიყვეთ ჭეშმარიტი მამულისშვილები, დრო არის ხელი ავიღოთ ერთმანეთის გაკიცხვისაგან, ეჯინეისაგან, და შურობისაგან, არა ღვთის გულისათვის ეს რა ზნეობა არის, ზოგიერთი ქართველი მაღლის სასწაელებელში ნამყოფი განათლებაზედ თავსა სდებს და თავისი მამულის ღირსება არ იცის. განათლებულ კაცსა მამული სძულდეს! იმას განათლებული გონება კი არა უფრო დაბნელებული უნდა ქონდეს" [64].

მისმა ასეთმა გაბედულმა გამოსვლებმა, "კალმისათვის ასეთი თავისუფლების მიცემამ" მავანთა უკმაყოფილება გამოიწვია და რედაქციიდან გააგდეს. საინტერესოა მოლაყბის გამოქვეყნებული „საკვირველი" სიზმარი, სადაც ის ალეგორიულად აგვიწერს თავის, როგორც პუბლიცისტის მდგომარეობას, ამბობს: "...ვითომც ქაჯეთის ქვეყანაში ვიყავი..." [19, გვ. 197]. მაგრამ საზოგადოებამ ხმა აი-

მაღლა. ალექსანდრე ორბელიანმა "ცისკარში" მის დასაცავად გამოაქვეყნა სტატია. რედაქციაში გამოგზავნეს თერთმეტი კაცის მიერ ხელმოწერილი წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო: "მოლაყბეს რომ მოკლავთ, მას უკან გადარეული დასწერს, უფრო უარესად და გარკვეით, მასაც რომ მოკლავთ, მერე თაეხედი და ბოლომდე ასე ვიქლითო". მოლაყბე დაბრუნდა, მაგრამ განაცხადა: ახლა წერას იმ პირობით ეიწყებ, რომ უკეთუ დამიპირეს კიდეე ადრინდელივით ჩემის პირდაპირი და სიმართლით წერისათვის ხიდიდან გადაგდება, გაეცით პასუხი თქვენ, რომელთაც გიჭირავეთ ჩემი სიმართლის მხარეო [19, გვ. 195].

დასკვნა

საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორია მრავალი ბრწყინვალე და დადებითი მომენტებით არის სავსე, ამის არდანახვა არ შეიძლება, მაგრამ ისინი ვერანაირად ვერ გადაწონიან საქართველოს წინაშე ჩრდილოელი მეზობლის მიერ ჩადენილი ვერაგობის შედეგებს. რუსეთის არაცივილიზებული და იმპერიულ-მტაცებლური ქმედებები საქართველოს ძალიან ძვირად დაუჯდა, რადგან, მან ქართული მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობა შეიწირა, ანუ გააკეთა ის, რაც ვერ შეძლო ვერცერთმა სხვა დამპყრობელმა (რომაელები, ბიზანტიელები, სპარსელები, არაბები, თურქ-სელჩუკები, მონღოლები, თურქები, ირანელები). ამით იგი არსებითად გამოირჩა მათგან, როგორც საქართველოსთვის ყველაზე დიდი უბედურების მომტანი. როდესაც მავანი საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში განსაკუთრებულ ყურადღებას დადებით შედეგებზე ამახვილებს, არ უნდა დააეიწყდეს, რომ ასეთი აუნაზღაურებელი დანაკარგის (ქართული სახელმწიფოს მოსპობა, საქართველოს მსოფლიოს პოლიტიკური რუკიდან წაშალა) კომპენსირება მისი მხრიდან რაიმე სიკეთის ქმნით (რა შინაარსისა და მასშტაბისაც არ უნდა იყოს იგი) შეუძლებელია.

რუსეთმა თვითნებურად, ცალმხრივად დაარღვია საქართველოსთან (ქართულ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებთან) დადებული ყველა საერთაშორისო ხელშეკრულება: 1783 წელს დადებული ხელშეკრულება ქართლ-კახეთის სამეფოსთან, 1803 წელს – სამეგრელოს სამთავროსთან, 1804 წელს - იმერეთის სამეფოსთან, 1810 წელს - გურიის, 1810 წელს - აფხაზეთის, 1833 წელს - სვანეთის სამთავროებთან (მოგვიანებით, 1920 წლის - საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და სხვ.). ეს კი იმის დადასტურებაა, რომ ჩვენ სიმართლეს რუსეთთან დაპირისპირებაში საერთაშორისო სამართლებრივი და იურიდიული საფუძვლები გააჩნია.

რუსეთმა საერთაშორისო იურიდიული დოკუმენტით აღებული ვალდებულებების იგნორირებით, 1783 წლის ხელშეკრულების ხელახლად დარღვევის შემდეგ, 1801 წელს დაიპყრო ქართლ-კახეთის სამეფო და თბილისის, კავკასიის ამ უმნიშვნელოვანესი საკვანძო გეოპოლიტიკური ცენტრის, ხელში ჩაგდების შემდეგ, დაიწყო ამ ახლად შემოერთებულ ტერიტორიაზე მყარად დამკვიდრება და მტკიცე დასაყრდენი ბაზის შექმნა დანარჩენი საქართველოსა და კავკასიის მთლიანად დამორჩილების, თურქეთ-ირანის წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლისა და ახლო აღმოსავლეთში შემდგომი ფართო ექსპანსიისთვის.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება მხოლოდ შესავალი იყო საქართველოს ტრაგედიის დასაწყისისა. რუსეთის ხელისუფლებას მთლიანად საქართველოს დაპყრობა ჰქონდა განზრახული. ქართლ-კახეთის ბედი მალე გაიზიარა, უკანასკნელი ქართული სახელმწიფოს გადარჩენისთვის რუსეთის იმპერიასთან, 1810 წლის ოთხთვიან, სისხლისმღერელ ომში დამარცხებულმა იმერეთის სამეფომაც.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართველ საზოგადოებას შეადგენდა თავადაზნაურობა, გლეხობა, ქალაქის მოსახლეობა (წერილი ხელოსნები), ვაჭართა ფენა და ამათ ემატება რუსეთის ხელისუფლების მიერ ახლად შექმნილი სასულიერო წოდება და ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ინტელიგენცია.

სასულიერო წოდების შექმნით, რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს "ათეისებაში" ყველაზე წარმატებული პროექტი აამუშავა. იმ ეპოქის სპეციფიკიდან გამომდინარე (ცხადია, მაშინ არ იყო ტელევიზია და არც პრესა იყო მასობრივი), ეფექტური და მომგებიანი გათვლა გააკეთა იმ თვალსაზრისით, რომ ადგილებზე უშუალოდ ხალხთან კომუნიკაციის კუთხით, პოლიტიკური მიზნების რეალიზებისათვის საჭირო პოლიტიკური ინფორმაციის ფართო მასებამდე "ეფექტურად დაყვანა" ყველაზე უკეთ სამღვდელოების საშუალებით შეიძლებოდა. თანაც მღვდლის, როგორც საქართველოს ქრისტიანული მოსახლეობის სრულად მომცველი და ყველაზე კონტაქტური პირის საშუალებით გადაცემული ინფორმაცია მოსახლეობისთვის ყველაზე დამაჯერებელი და სარწმუნო იყო. ხელისუფლებამ სპეციალურად შექმნილი სასულიერო წოდების სახით აამუშავა მთელი სისტემა და, ცხადია, ცალკეული სასულიერო მოღვაწეების პიროვნული, პატრიოტული და ნათელი გამოელინებები სისტემის მიერ ადვილად ითრგუნებოდა.

საქართველოში ინტელიგენცია, როგორც ცალკე ფენა, რუსეთის იმპერიის სინამდვილისათვის დამახასიათებელი ფორმითა და შინაარსით, ახლად იწყებს ჩამოყალიბებას. საკუთარი სახელმწიფოსა და ეროვნული ხელისუფლების გარეშე დარჩენილი, სხვის (რუსების) სახელმწიფოში მოქცეული ქართველი ხალხი, უცხო ხელისუფლების მანიპულირების ობიექტად გადაიქცა და აღმოჩნდა გადაგვარების და გაქრობის საშიშროების წინაშე. ქართველი ხალხის გადარჩენას, მის პატრონობას კისრულობს, თვითონ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ქართველი ინტელიგენციის პატრიოტული ფრთა. რომელიც "უთავოდ" დარჩენილი ერის "სულიერი მთავრობა" ხდება. მან ეს საპატიო ტვირთი ღირსეულად ატარა XX საუკუნის 90-იან წლებამდე.

რუსეთის ხელისუფლება საქართველოს პოლიტიკურად დაპყრობის შემდეგ შეუდგა მის ათვისებას, დაისახა ინტენსიური კოლონიზაციისა და რუსიფიკაციის ფართო გეგმები, რომელთაც XIX საუკუნის 40-იან წლებამდე, ახორციელებდა ძარცვისა და ეროვნული ჩაგვრის განსაკუთრებული ძალისმიერი და უხეში მეთოდებით. სტრატეგიული მიზანი იყო დაპყრობილი ტერიტორიები შეერწყა მჭიდროდ იმპერიასთან, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა იძულებული გაეხადა „ენით, გონებითა და გრძნობით რუსი გამხდარიყო“.

მრავალისმეტყველია ის ფაქტი, რომ თუ 1800 წელს არაქართული მოსახლეობა საქართველოს მთელი მოსახლეობის მხოლოდ 11% შეადგენდა, თანდათან არაქართველთა ხვედრითი წილი 32%-მდე გაიზარდა. ხოლო თბილისში, მაგალითად, რუსების წილი 1803 წელს იყო 1.9%, ხოლო საუკუნის შემდეგ (1910 წ.) მიაღწია 30%-ს. ქართველები კი იმავე 1910 წლისათვის თბილისის მოსახლეობის მხოლოდ 16.6% შეადგენდნენ

უკანონოდ და ძალით დამყარებული რუსული რეჟიმი ქართველებისთვის უცხო და სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა. რუსული მმართველობის ანტიეროვნულმა და უხეშმა ხასიათმა, ეროვნული ჩაგვრის გაძლიერებამ, ქართველი მოსახლეობის მოთმინების ფიალა აავსო. საქართველოში აჯანყებებს პერმანენტული ხასიათი მიეცა: 1801 წლის შეთქმულება, 1802 წლის ამბოხი; 1804 წლის მთიანეთის აჯანყება; აჯანყება კახეთსა და მთიანეთში 1812-1813 წლებში; 1819-1820 წლების აჯანყება იმერეთსა და გურიაში, მღელვარება სამეგრელოსა და აფხაზეთში; 1832 წლის შეთქმულება; აფხაზების აჯანყება რუსების წინააღმდეგ 1821 და 1824 წლებში; გურიის აჯანყება 1841 წელს.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მამოძრავებელ ძალებში ძირითადად ორი ფრთა გამოიყოფა: პირველი, ე.წ. ტრაქტატისტები (საერთაშორისო სამართლის დარღვევის მოწინააღმდეგეები). მათი მიზანია ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა და რუსეთთან ურთიერთობა ე.წ. “გეორგიევსკის ტრაქტატის”, ანუ ამ საერთაშორისო სამართლის დოკუმენტის საფუძველზე. მეორე, შეურიგებელი რადიკალები. ამ ფრთის წარმომადგენლები რუსეთის პოლიტიკას უნდობლობას უცხადებენ და ფიქრობენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის ყოველგვარი საშუალება გამოდგებოდა. XIX საუკუნის პირველ ნახევარში საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ტრაქტატისტები და შეურიგებელი რადიკალები ადვილად პოულობდნენ საერთო ენას, ორივე დაპირისპირებული იყო ხელისუფლების ერთგულთა ვასის წარმომადგენლებთან – მერუსეთეებთან

როდესაც საქართველოში, XIX საუკუნის პირველი ნახევრის შეიარაღებულ აჯანყებებსა და გამოსვლებზეა ლაპარაკი, უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ მიუხედავად რუსეთის მიერ ჩადენილი დანაშაულებებისა და თვითნებობისა, ქართველი საზოგადოების წარმომადგენლები, საქართველოს ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურნი ხელში იარაღის აღებამდე ცდილობდნენ, სამართლებრივ ენაზე ესაუბრათ რუსეთის ხელისუფლებასთან, თხოულობდნენ რუსეთს შეესრულებინა საერთაშორისო ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებები. მაგრამ, როდესაც რწმუნდებოდნენ, რომ ოკუპანტებთან სამართლის ენაზე ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა, მხოლოდ ამის შემდეგ მიმართავდნენ ძალისმიერ მეთოდებს. ამას ბოწმობს შემორჩენილი უამრავი დოკუმენტური მასალა.

ქართველი ხალხის რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლას განაპირობებდა არა რუსების სიყვარული ან სიძულვილი, არამედ ის, რომ ქართველი ხალხი სხვის სახელმწიფოში, სხვა ხალხის კანონებითა და სხვის ნება-სურვილზე ცხოვრებას ვერ შეეგუა. საქართველოს მხოლოდ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების პირობებში ექნებოდა შესაძლებლობა მაქსიმალურად გამოეყენებინა ქართველი ერის სულიერი ენერგია, ინტელექტუალური, ბუნებრივი და პოლიტიკური პოტენციალი და შეექმნა საკუთარი კულტურული თვითმყოფადობის შესატყვისი სოციალური ორგანიზაციისა და პოლიტიკური წყობის შესაბამისი სისტემა. მაშასადამე, დამოუკიდებლობა ეროვნული სტრატეგიული მიზნის მიღწევის აუცილებელი და ყველაზე ოპტიმალური საშუალება გახდა, მისი მოპოვება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უპირველესი ამოცანა გახდა.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეოლოგიისა და მოძრაობის საფუძვლებთან დგანან და გამორჩეული ადგილი უჭირავთ ქართველი საზოგადოების ღირსეულ წარმომადგენლებს სოლომონ ლიონიძეს, ალექსანდრე ბატონიშვილს და სოლომონ დოდაშვილს. მათ სახელებთან არის დაკავშირებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიის ჩამოყალიბება XIX საუკუნის პირველ ნახევარში. სოლომონ ლიონიძე და ალექსანდრე ბატონიშვილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შეურიგებელ-რადიკალური ფრთის მამამთავრები, იდეოლოგები არიან. ხოლო სოლომონ დოდაშვილი – პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულებისა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 1832 წლის შეთქმულება, რომელიც იმეროინდელი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და პოლიტიკური აზრის

განვითარების თვალსაზრისით წარმოადგენდა ცალსახად დადებით მოვლენას არა მარტო იმიტომ, რომ პარტიის პრინციპებზე ჩამოყალიბებულ ფარულ საზოგადოებას, რომელიც შეთქმულებას ამზადებდა, სურდა რუსული სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის დამხობა, ქვეყნის განთავისუფლება და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, არამედ იმიტომაც, რომ ფარული საზოგადოება, მიზნად ისახავდა მაშინ რუსეთში არსებულზე უფრო პროგრესული მოწინავე ევროპული, პოლიტიკური წყობილების დამყარებას. ორგანიზებული შეიარაღებული გამოსვლის ეს ცდა ქართული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად არსებითად განსხვავდებოდა წინა პერიოდის მასობრივი აჯანყებებისგან იმით, რომ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენას და მის მოწყობას ითვალისწინებდა ფარული საზოგადოების მიერ მაღალ პროფესიულ-პოლიტიკურ დონეზე შემუშავებული პროგრამის საფუძველზე, ევროპული განმანათლებლობის პრინციპების მიხედვით.

ქართველ საზოგადოებაში გამოიკვეთა სამი პოლიტიკური მიმართულება: პირველი, პროგრესულ-დემოკრატიული, მასში, თავის მხრივ, გამოიყოფოდა ორი ფრაქცია: კონსტიტუციურ-მონარქიული და რესპუბლიკური. მეორე. მონარქისტული (კონსერვატორული) მიმართულება. მესამე, პრორუსული მიმართულება.

პროგრესულ-დემოკრატიული პარტიის სახელმწიფოს მოწყობის პროექტისა და XVIII საუკუნის საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების შედარება ცხადყოფს, რომ ქართული საზოგადოებრივი აზრი სახელმწიფო სამართლის საკითხებში ერთ წერტილზე არ იყო გაყინული, უფრო მეტიც, იგი იბრძოდა მაშინდელი მსოფლიოსათვის ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე წყობილების დასამყარებლად და "ქართველი ხალხის მიერ ევროპელ ხალხთა თანატოლი ადგილის მოსაპოვებლად". აღდგენილი ქართული სახელმწიფო უნდა ყოფილიყო ან კონსტიტუციური მონარქია ან საპარლამენტო რესპუბლიკა.

მიუხედავად ჩვენამდე მოღწეული მასალების სიმწირისა, არსებულიც იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ ფარული პოლიტიკური საზოგადოების ორგანიზაციული სტრუქტურა, სამუშაო დისციპლინა, კონსპირაციის მაღალი დონე, დახვეწილი პროგრამული იდეები მოწმობს იმას, რომ იგი თუ ორგანიზაციულად ჩამოყალიბებულ პარტიად არა, პარტიის ჩანასახად მაინც უნდა მივიჩნიოთ. ფაქტია, რომ არსებობდა საერთო ინტერესებით გაერთიანებული ბევრი ადამიანის დაჯგუფება, რომელიც პოლიტიკური ბრძოლისათვის მაღალ პროფესიულ დონეზე იყო ორგანიზებული. ეს კი ყველა ნიშნით, სხვა არაფერია თუ არა პარტია.

რუსეთის ხელისუფლების მიერ XIX საუკუნის 40-იან წლებამდე ამიერკავკასიის ასათვისებლად წარმოებულმა პოლიტიკამ, რომელიც უხეშ სამხედრო-საოკუპაციო ხასიათს ატარებდა, რუსეთს წარმატება ვერ მოუტანა, პირიქით, ამას ხალხის საყოველთაო დრტვინვა და აღშფოთებაც მოჰყვა. ცხადი ხდება, რომ მეტროპოლია სამხრეთ კავკასიაში პოლიტიკის შეცვლის აუცილებლობის წინაშე დადგა, უხეში სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი უნდა შეერბილებინა. 40-იანი წლებიდან იგი დაადგა ბრძოლის ჩვეული უხეში ფორმებისა და მეთოდების შენიღბვის, ერთგვარი მოფერება-დაყვავების პოლიტიკას. მიხეილ ვორონცოვის კოლონიური პოლიტიკა, მთელი რიგი დადებითი ღონისძიების მიუხედავად, ქართველი ხალხის ეროვნული გადაგვარების განუზომლად უფრო მეტ საშიშროებას შეიცავდა, ვიდრე მისი წინამორბედებისა.

პოლიტიკურმა გარემოებამ და 1832 წლის შეთქმულების მარცხის შემდეგ შექმნილმა რეალობამ ქართველი პატრიოტები იმ ეტაპზე შეიარაღებული ბრძოლის გაგრძელების უპერსპექტივობაში დაარწმუნა. თუ ერთგვარი, თითქოს სიწყნარე და მოჩვენებითი მორჩილება დამყარდა, ეს არ ნიშნავდა ქართველ ხალხში თავისუფლების იდეის გაქრობას. არსებული რეჟიმის პირობებში, საჭირო გახდა ბრძოლის ახალ ფორმაზე გადასვლა, რაც გულისხმობდა არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას თუ ძალით არა, იდეურად მაინც. ერთი შეხედვით, მათ წმინდა პროფესიულ საქმიანობას უნდა ჰქონდა გამოკვეთილი მიზანმიმართული ხასიათი - რუსული რეჟიმის პირობებში, როდესაც უკვე „ხმლის ქნევა" შეუძლებელი ხდებოდა, შენიღბულად თავიანთ სამოქმედო ასპარეზზე, ყველა ხელმისაწვდომი საშუალებით (წიგნი, თეატრი, თანამდებობა...), ხან შეფარულად, ხან აშკარად, ტოტალური გადაგვარების საფრთხის პირობებში, უნდა ეცადათ ერისათვის შეენარჩუნებინათ ქართული სული, ეროვნული იერსახე და მეობა, აემაღლებინათ ეროვნული თვითშეგნება და ამ ფორმით გაეგრძელებინათ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ხელსაყრელი ვითარების დადგომამდე.

რუსეთის იმპერია ძნელად ასათვისებელი საქართველოს დამორჩილებისა და შენარჩუნებისათვის იყენებდა ბრძოლის სხვადასხვა ფორმებსა და მეთოდებს (ეს პროცესი არც შეჩერებულა, შემდგომშიაც იმპერიამ ხან ფერი იცვალა, ხან გარეგნობა). ქართველებიც ასევე ცვლიდნენ პოლიტიკური ბრძოლის ფორმებსა და მეთოდებს. რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ ქართული საზოგადოებრივი აზრის ძირითადი ლაიტმოტივი, მამოძრავებელი მთავარი იდეა იყო ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმებით გამოწვეული სულიერი ტკივილი და სახელმწიფოებრიობის აღდგენის იმედი. XIX საუკუნის პირველ ნახევარში,

საოკუპაციო-კოლონიური რეჟიმის პირობებში საზოგადოების რჩეული ნაწილის ეროვნულმა ენერგიამ მაინც შეძლო ეროვნული მეობისა და იერსახის შესანარჩუნებლად საზოგადოებრივი აზრის წარმართვა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომ ეტაპს მოუმსადა სამართლებრივი, ინტელექტუალური და ზნეობრივი ნიადაგი.

სამწუხარო ფაქტია, რომ XXI საუკუნეშიც, საქართველო იძულებულია რუსეთისგან თავდასაცავად „თავშესაფარი" ეძებოს. მისი ძიების აუცილებლობას განაპირობს არა ქართველების რუსი ხალხისადმი სიმპათია ან ანტიპათია, არ ქართველ ხელისუფალთა პიროვნული ამბიციები, არამედ რუსეთის სახელმწიფოს მიერ როგორც პოლიტიკური პარტნიორის მხრიდან ისტორიულად გამოვლენილი არასაიმედოობა და ეერაგობა, მეზობელი ტერიტორიების დაპყრობით გამომჟღავნებული ავადმყოფური გაუმაძღრობა,[39] დაპყრობილ ტერიტორიებზე მცირერიცხოვანი ხალხების[40] განადგურება[41] და სხვ. ეს ის ფაქტორებია, რომელთა გამოც საქართველოს სახელმწიფო, XXI საუკუნეშიც კი, რუსეთის მხრიდან 1783 წლიდან დაწყებულ პერმანენტული თვითსებობებისაგან თავდაცვის მიზნით, ცდილობს ღირსეული "თავშესაფარი" იპოვოს ლიბერალურ-დემოკრატიულ ეერო-ატლანტიკურ სივრცეში. ეეროპისკენ ჩვენი ლტოლვის მრავალსაუკუნოვან გზაზე (ეეროპისკენ გაჭრილი ბიზანტიური ფანჯრისა და რუსული ;ისოსებიანი სარკმლის შემდეგ), იჭრება, ახლა უკვე, ეეროამერიკული "კარი", რ:ც საქართველოსა და აშშ-ის ინტერესების თანხვედრისა და ქართულ-ამერიკულ: დიპლომატიის ურთულეს პირობებში მუშაობის შედეგია (სავსე

---

[39] მდინარეე:ის - მოსკოვისა და ოკას აუზების ტერიტორიების ათ:ისების შემდეგ, რუსეთმა უკვე XVI საუკუნ:ში დაიპყრო: კარელია, კომი, ვოლგისპირეთი, ურალ:სპირეთი... XVII საუკუნეში – ციმბირი, უკ:აინა, ბელორუსია... XVIII საუკუნეში – ბალტიის ქვეყნები, პოლონეთი, მოლდავეთი, ყირიმი, შავ: ზღვის მთელი ჩრდილოეთი სანაპირო... XIX საუკუნეში – კავკასია, ცენტრალური აზია... XX :აუკუნეში – უკრაინა, აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო, ცენტრალური აზიის ქვეყნები... კ:რილიის კუნძულები, კენინგსბერგის ოლქი... XXI საუკუნეში – საქართველოს ორი რეგიონის (აფხაზეთისა და შიდა ქართლის ჩრდილო ნაწილის) ოკუპაცია...

[40] მდინარეე:ის ოკასა და მოსკოვის აუზებში მცხოვრები და დღეს გამქრალი ხალხი: მერები, მეშჩერები, მ:ურომები, პეჩორები, ვოდები, ვესები, გოლიადები, აგრეთვე, ბუდები, კარელები, ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში - კერეკები, ნანაელები, ორონ:ები, ნგანასანები, სელკუპები, ოროკები, იუკაგები, კეტები, ულჩები და სხვ., კავკასიაში XIX საუკუნეში ადიღეელების (ჩერქეზების), აბაზების, ყარაჩაელების, ნოღაელების, ყარაჩაელების... ეთნოწმენდა და გენოციდი (კავკასიაში არც ერთი უ:ისი აღარ ცხოვრობს), ჩვენ თვალწინ მოწყობილი ჩეჩნი ხალხის სასაკლაო...

[41] გენოციდ:ს კლასიკური მაგალითად გამოდგება ის, რომ რუსეთის იმპერიის (მათ შორის, საბჭოთა :მპერიის) ხელისუფლება მცირე ხალხებს წინასწარგანზრახვით, წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით ანადგურებდა. მაგალითად, რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ცნობილი სტრატეგიული დირექტივა, რომელიც 1829 წლის 25 სექტემბერს მიწერილ წერილში გენერალ პას:კევიჩს დაუსახა: "...кончив... одно славное дело, предстои: вам другое, в моих глазах столь же славное, а в рассуждении прямых польз гораздо важнейшее, – усмирение навсегда горских народов или истребление непокорных". [110], XIX ს-ში აფხაზურ-ადიღური ხალხების თურქეთში მუსაჯირობისათვის მიზანმიმართული ხელშეწყობა, 1944 წელს ჩეჩნებისა და ინგუშების წინასწარ დაგეგმილი ძალებითი გასახლება და სხვ. [რომ არაფერი ვთქვა სხვა გამოვლინებებზე, მათ შორის, დეპორტაციების პროგრამაზე...].

"ბეწვის ხიდზე სიარულით", ზოგჯერ ფილიგრანული და ზოგჯერ უხეში დიპლომატიური მანევრებით).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახელედიანი ხ.ა. "ნარკვევი აჭარის ისტორიიდან (მე-16-19 საუკუნეები)". აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა. ბათუმი. 1944, გვ.221.
2. ბაგრატ ბატონიშვილი. "ახალი მოთხრობა". თ. ლომოურის გამოც., თბ., 1941, გვ. 77-78.
3. ბაგრატიონი ი. "სჯულდება". თსუ-ს გამომცემლობა, 1957.
4. ბაგრატიონი ვ. "აღწერა სამეფოსა საქართველოსა". ქართლის ცხოვრება. ტ. IV, გამომც. "საბჭოთა საქართველო", თბ., 1973.
5. ბარათაშვილი ნ. "თხზულებანი". 1945, გვ. XXXVIII.
6. ბენდიანიშვილი ა. "ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წწ.". გამომც. "მეცნიერება", თბ., 1980.
7. ბერძენიშვილი მ. "მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის". გამომც. "მეცნიერება", 1930.
8. ბერძენიშვილი მ. "მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის". წიგნი II, გამომც. "მეცნიერება", 1983.
9. ბერძენიშვილი ნ. „საქართველოს ისტორიის საკითხები". II, გვ. 289.
10. ბერძენიშვილი ნ., დონდუა კ., დუმბაძე მ., მელიქიშვილი გ., მესხია შ., რატიანი პ. "საქართველოს ისტორია". ნაწ.1, თბ., 1958, გვ. 436.
11. ბურჭულაძე ე. "ყირიმის ომი და საქართველო". თბ., 1966, გვ.7.
12. გაზეთი "დროება", № 24, 1876.
13. გასვიანი გ. "დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება და რუსეთთან შეერთება, XVI- XIX სს". გამომც. "საბჭოთა საქათველო", თბ., 1988.
14. გერსამია ს. "გ. ერისთავის თეატრი". თბ., 1950, გვ.39.
15. გოზალიშვილი გ. "1832 წლის შეთქმულება". წიგნი I, თბ., 1935.
16. გოზალიშვილი გ. "1832 წლის შეთქმულება". წიგნი II, თბ., 1970.
17. გონიკიშვილი მ. "ბაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში". გამომც. "მეცნიერება", თბ., 1986.
18. გოცაძე მ. „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია". თბ., 1954, გვ.182, 198.
19. გუგუშვილი პ. „ქართული ჟურნალისტიკა". - ტ. 1, თბ., 1941.
20. გუგუშვილი პ. „საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX ს.ს.". ტ. 2, სახელგამი, თბ., 1956. გვ. 7.
21. გურული ვ. „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება (1811-1814)". | 13/11/2010; http://burusi.wordpress.com/2010/11/13/guruli/
22. ებანოიძე ლ. "ნიკოლოზ ბარათაშვილი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზოგიერთი საკითხი საქართველოში". თბ., 1968.
23. ვაჩნაძე მ., გურული ვ. "საქართველო და რუსეთი". გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", №95, 2001 წლის 27 აპრილი.
24. ვაჩნაძე მ., გურული ვ. "საქართველო-რუსეთის ურთიერთობა. ისტორია, შედეგები, გაკვეთილები". თბ., 2001. (ქართულ და რუსულ ენებზე) გვ.11.
25. ვაჩნაძე მ., გურული ვ. "რუსეთთან ერთად და ურუსეთოდ". თბ., 2007.
26. იოანე ბატონიშვილი. "კალმასობა". ტ. I, თბ., გვ. 128-131.
27. იოსელიანი პ. "ცხოვრება გიორგი მეცამეტისა". გამომც. "საბჭოთა საქართველო", თბ., 1978.

28. კაკაბაძე ს. "1847 წლის პროექტი საქართველოში გლეხთა განთავისუფლების შესახებ". ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ.VI, ნაკ. I, 1961, გვ. 233.
29. კაკაურია შ. "თბილისის მოსახლეობა 1803-1970 წ.წ.". გამომც. "მეცნიერება", 1979.
30. კაჭარავა ი. "კ. მარქსი და ფ. ენგელსი საქართველოს შესახებ". თბ., 1969.
31. კვესელავა ი. "საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორიის ზოგიერთი საკითხი". გამომც. "სამშობლო", თბ., 1999.
32. კოტეტიშვილი ვ. "ქართული ლიტერატურის ისტორია". თბ., 1959.
33. კუპრაშვილი ჰ. "ეროვნული მეობისა და იერსახის შესანარჩუნებლად, რუსეთის პოლიტიკა საქართველოში და ქართველი ინტელიგენცია XIX საუკუნის 40-50-იან წლებში". გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", №6, 1992 წლის 15 იანვარი.
34. კუპრაშვილი ჰ. „ჩვენი პოლიტიკის ზოგიერთი მომენტის შესახებ". თბ., 1997, გვ. 51.
35. კუპრაშვილი ჰ. „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გნოსეოლოგიური ასპექტები". გამომც. "საზოგადოება ცოდნა", თბ., 1999.
36. კუპრაშვილი ჰ. "ვიღაცას პარლამენტის დანგრევა და რუსული „სამხედრო დიდების ტაძრის" აღდგენა მოუნდა". გაზ. „რეზონანსი". № 043. 2001 წლის 15 თებერვალი.
37. ლუი ლე ფური. "საქართველო და საერთაშორისო უფლება" (თარგმანი ფრანგულიდან). „დამოუკიდებელი საქართველოს" გამოცემა, №3, პარიზი, 1933 (იხილე, გურამ შარაძის პუბლიკაცია. გაზ. "კომუნისტი", 19 წლის 1 სექტებერი.
38. მარკიზ დე კიუსტინი. "ნიკოლოზ I-ის დროინდელი რუსეთი". გამომც. "განათლება", თბ., 1990.
39. ორბელიანი გრ. "ლექსები". 1928. გვ. 102-103.
40. ორბელიანი გრ. თხზ., სრული კრებული. თბ., 1959. გვ. 111-112.
41. პაიჭაძე გ. "იმერეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის 1804 წლის შეთანხმება". იხ., ქართული სახელმწიფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან. ტ. II, გამომც. "მეცნიერება", თბ., 1973, გვ. 189-215.
42. რეხვიაშვილი მ. "იმერეთის სამეფო, 1462-1810". თსუ-ს გამომც. თბ., 1989.
43. "საქართველოს ისტორიის ნარკვევები". გამომც. "საბჭოთა საქართველო". თბ., ტ. IV, 1973.
44. "საქართველოს ისტორიის ნარკვევები". გამომც. "საბჭოთა საქართველო". თბ., ტ. V, 1970.
45. "საქართველოს ისტორია". შემდგენელ-რედაქტორი გ. მელიქიშვილი. თბ. 1990. გვ. 277.
46. სონღულაშვილი ა. "ისტორიული ნარკვევები". გამომც. "უნივერსალი", თბ., 2010.
47. სსცა. ფონდი 5, აღწერა 1, საქმე 7506, ფურცელი 41 და სხვ.
48. სსცა. ფონდი 545, აღწერა 1, საქმე 91, ფურცელი 21.
49. სსცა. საგამომძიებლო ფონდი, რვ IX, 1567; 1832 წ. შეთქმულება, გვ. 92.
50. სსცა. საგამომძიებლო ფონდი, რვ. XII, 2168; 1832 წ. შეთქმულება, გვ. 62.
51. სსცა. საგამომძიებლო ფონდი, რვ 1, 3-12, 78-79. 1832 წ. შეთქმულება, გვ. 134, 92
52. სსცა. საგამომძიებლო ფონდი, რვ. VII, 1211, 1832 წ. შეთქმულება.
53. სტურუა დ. "პეტრე I წარმოშობით ქართველი?" გაზ. "ლიტერატურული საქართველო", 1996 წლის 26 ივლისი- 2 აგვისტო.
54. სურგულაძე ა., სურგულაძე ჰ. "საქართველოს ისტორია". თბ., 1991, გვ. 16.

55. ტაბაღუა ი. "წერილი რედაქციას". გაზ. "სახალხო განთლება", 1990 წლის 26 აპრილი.
56. ტატიშვილი ე. "ქართველები მოსკოვში". თბ., 1957.
57. ტუხაშვილი ლ. "რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში". გამომც. "მეცნიერება", თბ., 1983.
58. ურუშაძე ლ. "რუსეთი და საქართველო: მე-18 საუკუნე". იხილე, "ბურუსი" http://burusi.wordpress.com/2010/04/27/levan-z-urushadze-2/
59. "ქართველ წმიდანთა ცხოვრებანი". თბ., 2004. http://www.ortho-doxy.ge/tveni/oqtomberi/26-aleqsandre.htm
60. ყორანაშვილი გ. „ეროვნული საკითხი. ზოგადთეორიული და კონკრეტულ-ისტორიული ასპექტები". თბ., 1997. გვ. 193.
61. შენგელაია ი. "მუჰაჯირობა, დეპორტაცია, დაკარგული ხალხი". 9.12.2008 წ. იხილე, http://internet.ge/index.php?action=news&category=1&news=33765 ხორავა, ბ. მუჰაჯირობა აფხაზეთში. თბ. : არტანუჯი, 2004.
62. შოშიაშვილი მ. "თბილისის გერმანული გაზეთი – "კაკაზიშე პოსტ" (1906-1921)". კრ. „საქართველო და ევროპის ქვეყნები", თბ., 1991.
63. ჟურნ. "ცისკარი". 1857, №12
64. ჟურნ. "ცისკარი". 1859. №2
65. წერეთელი ა. "ჩემი თავგადასავალი". თბ., 1935.
66. ჭიჭინაძე ზ. "სოლომონ დოდაშვილი". სტამბა ექვ. ხელაძისა, ტფილისი, 1893.
67. ჭიჭინაძე ზ. "სოლომონ ლეონიძე, მასჯული, ანუ ეიცე-კანცლერი მეფე ერეკლე და სოლომონ იმერთა მეფისა". ზ. ჭიჭინაძის გამომც., ტფილისი, 1910.
68. ჭიჭინაძე ზ. "საქართველოს მოსპობა და ქართველი ერის გარუსება და ამის შესახებ ისტორიკოსის პლატონ იოსელიანის წინასწარმეტყველება." ზ.ჭიჭინაძის გამომც., ტფილისი, 1919.
69. ჭიჭინაძე ზ. "ფარული საზოგადოების დაარსების ბიზეზები". ზ. ჭიჭინაძის გამოც., ტფილისი, 1919.
70. ხანთაძე შ. "მასალები ალექსანდრე ბატონიშვილის ბიოგრაფიისათვის". ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXII-B, თბ., 1961, გვ. 241-245.
71. ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. III, თსუ-ს გამომცემლობა, თბ., 1982.
72. ჯანელიძე ო. „საქართველოს ისტორია XIX საუკუნე". თბ., 2005. გვ. 7.
73. ჯაოშვილი ვ. „საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში". გამომც. "მეცნიერება", თბ., 1984.
74. ჯორჯაძე, ა. თხზულ., წიგნი V, ტფილისი, 1914, გვ. 9.
75. ჯოხაძე ა. "სიკვდილი ბიზანტიურად". გაზ. „რეზონანსი". № 021. 2001 წლის 24 იანვარი.
76. Allen W. "History of Georgian People". London, 1932.
77. Baddeley J. "The Russian conquest in Caucasus". London, 1908.
78. Kuprashvili H. "Georgia Searches for Stolen Golden Fleece at the Doorster of Europe". "Georgia today", #351, 6-7 April 2007.
79. Lang D. "The last years of the Georgian Monarchy: 1658-1832". Columbia University Press, New York 1957.
80. "Абхазия с древнейших времен до наших дней. Очерки из истории Грузии". Ред. Коллегия: Дж.Гамахария, Т.Бердзе, Т.Гванцеладзе, изд., «Интелекти», Тбилиси, 2009.
81. Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Издание Архива Главного управления наместника кавказского. Под ред. А. П. Берже, Тифлис, т. I.

82. Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Издание Архива Главного управления наместника кавказского. Под ред. А. П. Берже, Тифлис, т. II.
83. Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Издание Архива Главного управления наместника кавказского. Под ред. А. П. Берже, Тифлис, т. III.
84. Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Издание Архива Главного управления наместника кавказского. Под ред. А. П. Берже, Тифлис, т. V.
85. Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Издание Архива Главного управления наместника кавказского. Под ред. А. П. Берже, Тифлис, т. VI.
86. Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Издание Архива Главного управления наместника кавказского. Под ред. А. П. Берже, Тифлис, т.VIII.
87. Герцен А.И. Полное собранное сочинение и писем. Т. Ш, с.19.
88. Грибоедов А. С. Полн. Собр. Соч., т. 3, Птг., 1917, с. 34.
89. Гугушвили П.В. "К анексионистско-колонизаторской и аграрной политики царизма в Грузии". 1938.
90. Джавахишвили Н. Г. "Грузины под российским флагом". Изд. ТГУ, Тбилиси, 2003, с. 10.
91. Джавахов И. "Политическое и социальное движение в Грузии в XIX в.". СПб., 1906, с. 10.
92. Дзидзария Г.А. "Махаджирство и проблемы истории Абхазии в столетия". Сухуми, 1982.
93. Дубровин Н. "История войны и владычества русских на Кавказе". ТТ. I-VI. СПб., 1871-1888.
94. Зиссерман А.Л. "Двадцать пять лет на Кавказе". часть1, С-Петербург, 1879, стр.72.
95. გაზ. "Кавказ". 1854. №48.
96. Князь Давид Осипович Бебутов. «Кавказский сборник». Т.23, Тифлис, 1902, с. 20-31.
97. "Колониальная политика царизма в Азербаиджане". т.1, М-Л., 1936.
98. Маркова О.П. "Восстание в Кахетии, 1812 г.". Издательство Академии наук СССР. М., 1951.
99. Маркс К., Энгельс Ф. сочин., т.9, стр. 429.
100. Огарков В.В. "Воронцовы". С-Петербург, 1892.
101. Пестель П.И. "Русская правда". § 11.Народы Кавказские, т VII, Госполитиздат, 1958, стр. 48.
102. Потто В. "Кавказская война в отдельных очерках, эпизодах, легендах". Т. 4, вып. СПб., 1888, с. 494-500, 505-510.
103. Романовский В.Е. "Очерки из истории Грузии". Тифлис, 1902, стр.338.
104. Сталинский Е.С. "Юбилейный сборник к столетию присоединения Грузии к России". Тифлис, 1901, стр. 32
105. Хорава Б. "Абхазия в 1810-1820 годах". оь., "Абхазия с древнейших времен до наших дней. Очерки из истории Грузии". Ред. Коллегия: Дж.Гамахария, Т.Бурадзе, Т.Гванцеладзе, изд., «Интеллекти», Тбилиси, 2009, Глава XV, с. 386, 394.
106. ხორავა ბ. "კავკასიის ომი და აფხაზეთი". http://burusi.wordpress.com/2010/03/06/bejan-khorava-3/
107. Цагарели А. "Грамоты и другие исторические документы". Т. П, вып. 1. 1898, с. 300-301.
108. Шадури В. "Друг Пушкина А. А. Шишков и его роман о Грузии". Тбилиси, 1951.
109. Шишков, Александр Ардалионович. Большая биографическая энциклопедия. http://dic.academic.ru/dic.nsf/enc_biography/119838/Шишков Шишков А. А.: Библиографическая справка http://az.lib.ru/s/shishkow_aleksandr_ardalionowich/text_0050.shtml
110. Щербатов А. "Генерал-фельдмаршал князь Паскевич-Эриванский". т. III СПБ., 1891, с. 229-230.

111. ჯაფარიძე ა. "სამოციქულო ეკლესიის ისტორია". ქართული ეკლესია XIX-XX საუკუნეში. ტ. IV, თავი VIII, http://www.gtu.ge/Faculties/teology/books/eklesiis_istoriaIV.pdf
112. ურუშაძე ლ. "რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა რაობისათვის" (ეძღვნება 1924 წლის ეროვნული ამბოხების 85-ე წლისთავს). http://burusi.wordpress.com/2010/04/28/levan-z-urushadze-3/
113. "საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე". მთ. რედ ზ. კიკნაძე. თბ., არეტე, 2005. ISBN: 99940-810-8-X http://lib.ge/body_text.php?9182
114. შუბითიძე ვ. "ყველა დროის 100 უდიდესი ქართველი". "ინოვაცია", თბ., 2008.
115. ლომინაძე რ. "რუსული მართვა-გამგებლობა საქართველოში". რედ. ფ. ლომაშვილი, ემ-პი-ჯი, თბ., 2011.
116. უორდროპი ო. საქართველოს სამეფო. ინგლისურიდან თარგმნა მ.ურუშაძემ. თბ., 2001.
117. Kunz J. Die Staatenverbindungen. Stuttgart: V.Kohlhammer, 1929. https://portal.d-nb.de/opac.htm;jsessionid= A9B174C3E7579E72D683B2FF3E7C58BF.prod-worker5?now=1314730377051&currentResultId=Woe%253D135949548%2526any&method=showShortList&view=redirect%3A%2Fopac.htm&isInternal=false
118. Liszt F.Von, Das Volkerrecht. 6th ed. 1910. http://books.google.ge/books?id=kQwYY7whLxwC&pg=PR11&lpg=PR11&dq=lizt+das+volkerrecht&source=bl&ots=5E_0Y6WiLJ&sig=IBEyRU1LZCEkYb1wj5Ex1n-4fkw&hl=ka&ei=CzRdTs3bNOjN4QT9xogW&sa=X&oi=book_result&ct=result&resnum=19&ved=0CJ0BEOgBMBI#v=onepage&q&f=false
119. Oppenheim L. Future of International Law. 1921. http://books.google.com/books/about/International_law.html?id=G8NAAAAAIAAJ
120. Vattel. Droits des gens. 1830.
121. Verdrosa A. Die Verfassung der volkerrechtsgemeins. Wien, 1926.



ჰენრი კუპრაშვილი
ისტორიკოსი, ჟურნალისტი, პოლიტოლოგი. პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი. გადამდგარი პირველი კლასის სახელმწიფო მრჩეველი. ეიცე-პოლკოვნიკი. ომის ვეტერანი. მოცურავე...

არის ავტორი 80-მდე სამეცნიერო შრომის, პრესაში გამოქვეყნებული 400-ზე მეტი სტატიის, ინტერვიუსა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე გაკეთებული 42 მოხსენებისა.

დაცული აქვს **დისერტაციები**: საკანდიდატო – "საქართველოს ავტონომიური სტატუსი და პრიორიტეტები საგარეო პოლიტიკაში" (1999) და სადოქტორო - «სახიფათო ინფორმაციო პოლიტიკა პოლიტიკური მოდერნიზაციის პროცესში» (2003).

მიღებული აქვს **სერთიფიკატები**: ჯორჯ მარშალის უნივერსიტეტის შემსწავლელი ევროპული ცენტრის უმაღლესი სახელისუფლო კურსი (CISS Class: 00-2, 2000); საქართველოს ეკონომიკური უნივერსიტეტის პოლიტიკის ფორმირება (უნივერსიტეტის მოდელირების სინთეზური გარემო) - აშშ-ს ევროპის შტაბისა და თავდაცვის ანალიზის ინსტიტუტი (2000) და სხვ.

სამსახურებრივი კარიერა: 1968 წლიდან, საქართველოს **პოლიტექნიკური ინსტიტუტის** (სად. რაც უნივერსიტეტი) პრეპარატორი, ლაბორანტი, ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი, გაერთიანებული პროფკომის თავმჯდომარის მოადგ., ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სრული პროფესორი. სხვადასხვა დროს ეკავა თანამდებობები: **საქართველოს სახალხო ფრონტში** - საარჩევნო განყოფილების ხელმძღვანელი (1989-1992); **მინისტრთა კაბინეტში** - ცხინვალის რეგიონის პრობლემათა სპეციალური სამთავრობო კომისიის პასუხისმგებელი მდივანი (1992); **საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატში** - მთავარი სახელმწიფო მრჩეველი. სახელმწიფოს მეთაურის დავალებების კონტროლისა და ცენტრალურ მმართველობით ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი (1992-1996); **საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოში** – საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურის უფროსი (1996-2003), უშიშროების მიმდინარე მდგომარეობის მონიტორინგის, ანალიზისა და ინფორმაციის დეპარტამენტის დირექტორი (2003), ინფორმაციის ანალიზის განყოფილების უფროსი (2004); **სახელისუფლებო სპეციალური კავშირებისა და ინფორმაციის სააგენტოში** - სიტუაციური ცენტრის კოორდინაციის განყოფილების უფროსი (2005-2008), შიდა უსაფრთხოების ინსპექტორი (2008-2010) და სხვ.

იგი **საქართველოს სახელმწიფოს წარმომადგენელი** იყო დსთ-ს წევრი სახელმწიფოების ინფორმატიზაციის საკოორდინაციო საბჭოში (1996-2001).

1997 წ-ს იყო საერთაშორისო სემინარის «რეფორმების კოორდინირება საჯარო სექტორში: საქმიანობის გაუმჯობესება და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა» კოორდინატორი საქართველოს მხრიდან (მიღებული აქვს მადლობის წერილი მსოფლიო ბანკის ვაშინგტონის ოფისიდან).

მისი ხელმძღვანელობით საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატში შეიქმნა სტრატეგიული ანალიზისა და მოდელირების ინფორმაციული უზრუნველყოფის ავტომატიზებული სისტემა «დიდგორი»; პოლიტიკური პროცესების პოლიტმეტრიკული ქსეროდიო ანალიზის კომპიუტერული პროგრამა «აისი» და სხვ.

იგი არის: 1973 წელს შექმნილი «წმინდა დავით» აღმაშენებლის ხოხოსანთა კავშირის - ხოხოსნები-1973»-ისა და 1990 წელს შექმნილი საქართველოს ზღვისპირეთის დამცველთა ასოციაციის «აიეტის» დამაარსებელი და თავმჯდომარე; საქართველოს ცურვის ეროვნულ სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი; ეკრანალისტთა ფედერაციისა და სპორტსაზოგადოება «დინამოს» ვეტერანი.

მსოფლიო მასმედიის მიერ მისთვის შერქმეული მეტსახელები: ადამიანი დელფინი (ტვ/კომპანია სი-ენ-ენი 17.02.01, 05.11.02), დარდანელის გმირი, წელის პრომეთე და სხვ., მიიღო მას შემდეგ, რაც ევროპის ისტორიაში პირველმა, ქართული სამხედრო-საზღვაო ფლოტის წესით, ანუ ოთხგან ხელფეხშეკრული კოლხურით 2002 წლის 30 აგვისტოს გადაცურა დარდანელის სრუტე ევროპიდან აზიაში - 12 კმ. ამ უნიკალური მსოფლიო რეკორდის თანამონაწილენი არიან კობა ნარჩემაშვილი, ეკა გოიაშვილი, მამუკა შონავარდისაშვილი, გვანჯი მანია, ტელეკომპანიები "რუსთავი 2" და "იბერია". განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამ საქმეში სპორტკომპლექს „ლაგუნა ვერეს" ხელმძღვანელობის მიერ მისადმი გამოჩენილი ყურადღება, რომელიც დღესაც არ აკლია.

ჯონ თავი გამოირჩია, როგორც მწერთნელმაც, მისმა მოშადებულმა S11 კატეგორიის მოცურავე ნინა ალექსეევამ მსოფლიო რეკორდზე (ქ. ალანია, თურქეთი, 04.04.2011) ბრასით სტილით ცურვაში მოიპოვა ბრინჯაოს მედალი, ხოლო 11 წლის ჯიმიკო ბრეგვაძემ „ხელფეხშეკრული კოლხურით" (ცურვის სამხედრო-საზღვაო ტიპი) გადაცურა თბილისის ზღვა.

2003 წელს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით მინიჭა პირველი კლასის სახელმწიფო მრჩეველის საკლასო ჩინი. იყო გამარჯვებული გაზეთ «ახალი ეპოქის» ნომინაციაში, წლის ადამიანი - 2002. მიღებული აქვს: ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი და მედალი «მხედრული მამაცობისათვის», ბაირონის საერთაშორისო საზოგადოების ბაირონ ოქროს მედალი.

რედაქტორი ი. მეგრელიშვილი

გადაეცა წარმოებას 05.09.2011. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.09.2011. ქაღალდის ზომა 60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 7,5. ტირაჟი 100 ეგზ.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77

